ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალი

## 1902 წლის სარჩევი.

### I. მეთაური წერილები.


გასული წელი, მოსაუბრისა . . . . . . . 1
შკოლა, ჰ. ს—ძისა . . . . . . . . 57
მასწავლებელი, მისივე . . . . . . . 93
საუბარი სხვა და სხვა საგნებზე, მოსაუბრისა . . . 109
ეროვნული კითხვა, მისივე . . . . . . . 141
შეუსაბამო სახელი (სამეურნეო ბანკი), ფ. გ—სა . 157
პლაგიატობა ჩვენ მწერლობაში, მოსაუბრისა . . 160
დღევანდელი იუბილეის გამო, ,, . . 173
ქალაქის მართვა-გამგეობა, ფ. გ—სა . . . . 175
189, 205, 221, 237.
რაჟამს გესმოდენ ბრძოლანი.. მორბ-ლისა . . . 253
აღდგომა, მოსაუბრისა . . . . . . . . 254
ორი ნიმუში ჩვენი პუბლიცისტიკისა, მისივე . . 287
თფილისის საქალაქო არჩევნები ფ. გ—სა . . . 289
ქალთა დასაცველათ მოსაუბრისა . . . . . 303
წერა-კითხვის საზოგადოების მომავალი კრება X-სა . 317
ახალ მოვლენილი პუბლიცისტი მოსაუბრისა . . 429
მაქარი და მაქრის საექსპორტო პრემიები ფ. გ—სა . 431
წრევანდელი არჩევნების დასასრული ქუთაისში, მ—სა 445
ძველი მოწინაალმდეგე მოსაუბრისა . . . . . 478
სასოფლო სამეურნეო კომიტეტები ნ. ელიავასი . . 493
სამშობლო ენა აღზრდის საქმეში X—სა . . . 525
მეურნე და მეურნეობა გ. მარმალაძისა . . . . 781
798, 813, 829.


### II. მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.


ფრიდრიხ ნიცშე ა. ჩხენკელისა . . . . . . 50
მარი ბროსე ,, . . . . . . 77
ვიკტორ ჰიუგო ,, . . . . . . 125
ნიკოლოზ გოგოლი ,, . . . . . . 144
კარლ ფონ-ბერი X—სა . . . . . . 269
ლამარკი ,, . . . . . . 285
ჩარლზ დარვინი ,, . . . . . . 301
კარლ ფოხტი ,, . . . . . . 413
ლუი პასტერი ,, . . . . . . 461
ოგიუსტ კონტი ,, . . . . . . 477


### III. პუბლიცისტიკა დ ქრონიკა.


შინაური მიმოხილვა . . . . . . . . 27
42, 78, 171, 126, 163, 177, 320, 334,
351, 399, 417, 480, 494, 542, 720, 749,
765, 784, 803, 815, 833.
რუსეთი 1901 წ. . . . . . . . . . 35
მცირე შენიშვნა განჯელ ქართ. საყურადღებოთ . 21
რუსეთის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წ. . 37
დროებითი წესები სტუდენტთა ორგანიზაციებისა . 45
გურიის შუამავლის კრება მო—ნისა . . . . 53
,, ,, ,, Nina—სი . . . . 87
მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ ა. მირიანოვისა . . 103
მიწის ძვრა შემახაში ,, . . 112
საერო განათლების მინისტ. ბრძანება ,, . . 127
ჩვენი თეატრი და დილეტანტიზმი ვ. შავდიასი . . 135
ვ. ა. აბაშიძე ,, . . 174
ფინლანდიის ამბები ,, . . 184
პატარა წერილი №—ისა . . . . . . . . 185
ქალაქის გავლენა ადამიანზე ექიმისა . . . . 193
ჭიათურის ამბები K—სა . . . . . . . 201
მთავრობის განკარგულება . . . . . . . 211
ძველი სენაკის სამრეწველო ამხანაგობის შუამავლის
კრება არა წევრისა . . . . . . . . 226
თფილისის სამეურნეო კრედიტის საზ. კრება . . 232
მიწის გამიჯვნის საქმე ჩვენში, მეძმარიაშვილისა . . 234
შენიშვნა ქალთა კითხვის შესახებ ერთი ქალთაგანისა . 251
ქუთაისის ქალაქის საბჭო Parole-სი . . . . 251
ქუთაისის გუბერნიის მებრეშუმეთა პირველი ამხა-
ნაგობა Z—სა . . . . . . . . . 273
ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიუ-
რი კრება Parole-სი . . . . . . . 293
ქუთ. გუბერნ. თავად-აზნაურთა კრება Parole-სი . 307
რა არის მოდა გრ. რობაქიძისა . . . . . . 327
ქუთაისის გუბ. მეაბრეშუმეთა, პირველი ამხანაგო-
ბის კრება ნ. ჩ—სა . . . . . . . . 331
გურიის შუამავლის კრება წევრთაგანისა . . . . 342
სოფლის მასწავლებელთა კრება ი. ბახტაძისა . . 342
,,კოლხიდის'' წლიური კრება Parole-სი . . . 342
საყურადღებო პროექტი . . . . . . . . 343
მომხმარებელი ამხანაგობანი ევროპაში . . . 347, 361
მთავრობის განკარგულება . . . . . . . 351
წერა-კითხვის საზოგად. კრება Ibid. . . . . 372
ორიოდე სიტყვა პარკის ყიდვა-გაყიდვის შესახებ . 375
წ.-კ. საზოგადოების კრების გამო ურნობისა . . 376
სალამო ქუთაისში Parole-სი . . . . . . 378
ქუთაისის სააზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება
Parole-სა . . . . . . . . . . 391
ქუთაისის ქალაქის არჩევნების გამო არა ჭომელისა . 410
გულ-მავიწყობა თუ უმადურობა, კ. გ—ძისა . . 423
პაწია კაზაკევიჩი და მისი ამხანაგები ნ. ელიავასი . 440
ქ. წიგ. გამ. ამხ. წლ. კრება, Parole-სი . . . 451
ქალთა სტიპენდიების გამო, ე. ქ—ძესი . . . 470
სერგეი მესხის ხსოვნას . . . . . . . 494
სამუშაო არტელების წესდება . . . . . . 495
ადამიანთა უფლებების დაცვა და ეროვნული საკით-
ხი თარგმ. ისისა . . . . . . . . 504
ქალთა კითხვის დღევანდელი მდგომარეობა და მისი
მომავალი საზღვარ-გარეთ პ. კ—ნისა . . . 519
სოფლის მასწავლებლებზე გრ. ცენტერაძისა . . . 520
სანატორიებსა და ზღვის სანიტარ. სად. შესახებ ექიმისა 522, 539
თფილისის სტამბები . . . . . . . . 534
ზოგიერთი ცნობები სასოფლო სამეურნეო წარმოე-
ბიდან პ. შავდიასი . . . . . . . . 536
წერილი ბათომიდან კატოსი . . . . . . 548
სამრევლო სკოლების ძველი და ახალი პროგრამა . 551
წერილი ოზურგეთიდან იუპიტერისა . . . . 579
საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი . . 597
ჩვენი ცხოვრებიდან დ. კოლხიდელისა . . . . 611
629, 638, 653, 686.
ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა მომავალი კრე-
ბის გამო ი. კაკაბაძისა . . . . . . 613

ქუთაისის ქალ. საქმეები განახლებულ საბჭოს ხელ-
შიისის . . . . . . . . . . 613
ქალაქის მომავალი არჩევნები ბათომში ონ—ლიძესი 631
ქუთ. გ. თავ.-აზნ. რწმუნებულთა კრება Parole-სი . 642
პოლიტიკური მიმოხილვა . . . . . . . 658
ბამბის მწარმოებელთა საყურადღებოთ ი. ქუთათელაძესი
და სხვა . . . . . . . . . . 666
ჭიათურის შავი ქვა რიოხელისა . . . . . 679
წერილი ჭიათურიდან ბედკრულისა . . . . . 692
კიდევ ერთჯერ დ. კოლხიდელის . . 701, 717, 733.
წოდების არა მქონე . . . . . . . 709
წერილი ნავთის სამეფოდან გ. ასალციხელისა . . 710
წერილი ბათომიდან გ. ნატოშვილისა . . . . 726
სინდიკატების მნიშვნელობის შესახებ . . . . 742
ამიერ კავკასიის რკინის გზის სად. ი. ო - ლისა . 743
სამეურნეო საზოგადოებაში . . . . . . 759
შავი ქვის მრეწველთა მომავალი კრება . . . 768
მთავრობის გამოცხადება . . . . . . . 770
საქართველოს ეკონომ. განვითარება მე XIX საუკ.
ფ. გ—ისა . . . . . . . . . . 782, 800
ბეჭდვითი სიტყვის 200 წლის იუბილეის გამო
ასოთამწყობისა . . . . . . . . 791
მცირე მოგონება შავი ქვის ისტორიიდან მველი ს—ლისა 791
ჭიათურის ვითარება მ. მარილაძისა . . . . . 798
პატარა წერილი ალფასი . . . . . . . 809
მცირე შენიშვნა აკაკისა . . . . . . . 810
კავკ. ფარმაც. საზ. და ალხაზიშვილის მოღვაწეობა
ტ. ლუკაშვილისა . . . . . . . 811
სამწუხარო სურათები პროვინციის ცხოვრებიდან
ჰ. კიკალიშვილისა . . . . . . . . 822
შავი ქვის სამეფოდან ეულისა . . . . . . 823
სხვაგან და ჩვენ'ში, ა. წულუკიძისა . . . . . 831


## IV. მეცნიერება.


მიწათმფლობელობის წესი საქართველოს სამეფოში
ა. ხახანაშვილისა . . . . . . . . 16
პიროვნება და საზოგადოება გრ. რობაქიძისა 101, 119, 154
გერმანიის სინდიკატები. პაულ ლუმბრეიტისა მ. წ. 134, 153
ოჯახის წარმოშობა და განვითარება გრ. რობაქიძისა 170
186, 202, 217.
ახალი ფორმა ოჯახისა ევროპაში №-სა . . . . 333
ტუბერკულოზის შესახებ . . . . . . 216, 234
თავისუფლება ნებისა თუ აუცილებლობა? ივ. გ—ლისა 247
264, 282, 299, 314.
ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობელობის შესახებ
ჩვენში, მოსაუბრისა . . 319, 265, 381, 415, 509
დარვინიზმი X-სა . . . . . . . . 333, 349
გადასახადები და მათი კლასიფიკაცია Z-სა . 383, 397
ადამიანის უჩინარი მტრები ი. გ—ლისა . . . 410
424, 442, 459, 473, 489, 505.
ცოტა რამ მეცნიერებიდან გრ. რობაქიძისა . . . 471
დიალექტიკა და მეტაფიზიკა თარგ. ა. ჩ—ლისა 592, 521
რაოდენობა მომუშავეთა და მათი ხელფასი კ. რაიტისა 535, 550
სოციოლოგიური ეტიუდებიდან დ. თ. . . . 554, 565
ვახტანგ მ-VI-ს კანონები და ქართველი ქალი ა.
ჩხენკელისა 581, 599, 616, 633, 650, 683, 700, 713
ლიტერატურა და ეკონომიური პირობანი ზრ. რენარისა 586
598, 730.
ცხოვრება და მეცნიერება დ. თ. . . . . 589, 605, 621
მონობა და ბატონყმობა ა. სეისისა . . 60', 614, 632
ორიოდე სიტყვა წაწლობის შესახებ აბუკინოსა . 743


## V. პოლიტიკა და საზღვარ-გარეთის ამბები.


უცხოეთი გასულ წელს . . . . . . . . 25
წერილი პარიჟიდან . . . . . . . . 32
უცხოეთი გასულ წელს . . . . . . . 41
წერილი მიუნხენიდან ჰ. კ—ნისა . . . . 46
წერილი ბელგიიდან ლ. დ - ლისა . . . . . 66
,, ,, მისივე . . . . . 85
წერილი ჟენევიდან ქართველი ქალისა . . . . 101
წერილი მიუნხენიდან ჰ. კ—ნისა . . . . . 131
,, ,, მისივე . . . . . 152
უცხოელი სტუდენტები გერმანიაში მისივე . . . 198
ბავარიის პირველ დაწყებითი სკოლის მომავალი მ - ძისა 215
წერილი პარიჟიდან №-სა . . . . . . . 262
წერილი ბელგიიდან №-სა . . . . . . . 280
პარიზის უნივერსიტეტი ა. გაბუნიასი . . . . 310
არჩევნები პარიზში №-სა . . . . . . . 329
უბედურება ანტილიის კუნძულზე იელისა . . . 345
წერილი ამბები მისივე . . . . . . . . 427
წერილი საფრანგეთიდან Duprat-ისა . . . . 487
წერილი პარიჟიდან №-სა . . . . . . . 502
უანგარო სიყვარული . . . . . . . . 557
მარსი №-სა . . . . . . . . . . 559
მუსიკალური კონკურსი ქართველი ქალისა . . . 564
ახალი ზელანდია . . . . . . . . . 566
ზოლას დასაფლავება . . . . . . . . 654
,, ,, Duprat-ისა . . . . 669
კლემანსოს სიტყვა . . . . . . . . . 723


## VI. პოეზია.


ახალწლის გამო დ. ხუნდაძისა . . . . . . 3
საახალწლო ნაპერწკლები ლექსი ისარისა . . . 6
საკია-მუნი თარ. კ. ჯაფარიძისა . . . . . 11
ახალწლის ღამეს ი. ევდოშვილისა . . . . 30
სიჩუმე კ. გოგოლაძისა . . . . . . 48
ძმობა ადა ნეგრისა თარგ. კ. ჯაფარიძისა . . . 64
თამარა ქუჩუკაშვილის ხსოვნას კ. მიქელაძისა . . 98
Sinito parvulos—ადა ნეგრისა, თარ. კ. ჯაფარიძისა 98
*** ლექსი კ. გოგოლაძისა . . . . . . 117
გაზაფხული. დარია ხუნდაძისა . . . . . 132
დილის ნიავს. მისივე . . . . . . . 146
*** ,, ,, . . . . . . 168, 324
*** ლექსი ნინოსი . . . . . . . . 181
გაზაფხული ი. ევდოშვილისა . . . . . . 196
*** მისივე . . . . . 255, 340, 370
იალქანი ლერმონტოვისა თარგ. იაძისა . . . . 242
გაზაფხულის სურათი კ. გოგოლაძისა . . . . 256
*** ლექსი თომაშვილისა . . . . . . 279
*** ადანეგრიდან თარგ. ნაპერწკალისა . . . 294
იმედი ნინო ნაკაშიძისა . . . . . . 353
მჭედელი დ. თომაშვილისა . . . . . . 438
ფიქრები ი. ევდოშვილისა . . . . . . 452
მემი მეგობარი კ. გოგოლაძისა . . . . .
*** ლექსი სოლ. გ—ძისა . . . . . . 501
*** ლექსი დ. თომაშვილისა . . . . . . 514
გლახაკი კ. რუხაძისა . . . . . . . 532
ა. ცაგარელს ი. ევდოშვილისა . . . . . 542
ჩემს მერცხალს მისივე . . . . . . . 546
*** ლექსი კ. გოგოლაძისა . . . . . . 560
მაწანწალას საფლავზე ბ. ახოსპირელისა . . . 576
როდესაც მოვკვდე მისივე . . . . . . 642
ჩამოწყვეტილი ფოთოლი ი. ევდოშვილისა . . . 659


ეროვნული ბიბლიოთეკა

* * * ლექსი ცატურიანისა თარგ. კ. გოგოლაძისა . 660
* * * ლექსი ი. ევდოშვილისა . . . . . . . . . 670
ორი წამი მონისა . . . . . . . . . 670
გარეწრობა აკაკისა . . . . . . . . . 694
ჩონგურს ი. ევდოშვილისა . . . . . . . . 695
დაკრავს საათი კ. გოგოლაძისა . . . . . . 709
იუდა ბ. ახოსპირელისა . . . . . . . 709
შახაბაზის დროს კ. გოგოლაძისა . . . . . 720
* * * ი. ევდოშვილისა . . . . . . . . 754
მეგობარს დარია ხუნდაძისა . . . . . . 773
მეგობრებს ბ. ახოსპირელისა . . . . . . . 773
მეგობარო სადა ხარ ამ დროს კ. გოგოლაძისა . . 789
ზამთარში ი. ევდოშვილისა . . . . . . . . 819

## VII. ბელეტრისტიკა.

ახალ წლის ღამეს ია ეკალაძისა . . . . . . . 7
სამწუხარო შედეგი ნინოშვილისა . 14, 30, 117, 133, 147
დაიწვას ჩემი საძირკველი იონა ოლუღელისა . . 64
მისივე ბრალია ი. ფრანკოსი თარგ. კ. ჯავჭრიძისა . 65, 83
მირონა. მოთხრობა ფრანკოსი თარგ. იელისა . . 168
დოსტები მ. გორკისა თარგ. ვ. გიუნაშვილის 181, 196, 211
ჩინოვნიკის სიკვდილი ა. ჩეხოვისა, თარ. ი. გოცელაურისა 213
მაწანწალა მ. გორკისა თარგ. იელისა 229, 242, 258, 275
მოხუცი ვირის ჩივილი. იონა თლუღელისა . . 232
ერთი ბატკანის ნაამბობი ი. ევდოშვილისა . . 256
ზაზუბრინა მ. გორკისა თარგ. იელისა . . . 294
შაქროს ახსარება ია ე—ძისა . . . . 308, 340, 352
სურათები ჩვენის ცხოვრებიდან, ცეცისა . . . 324
აბა რათ გიკვირს რათ გეცინება ნატოსი . . . 370
სიცილი ლეონიდ ანდრეევისა თარგ. იელისა . . 370
სარდაფში ანდრეევისა თარგ. მისივე . . . . 386
ორი სურათი გ. რ—სა . . . . . . . . 404
წირვაზე სკიტალეცისა თარგ. იელისა . . . 418
ბუნებამ თავისი ქნა პირიმზისა . . . . 421
ციგნები მოთხ. ფრანკოსი თარგ. ნ—ინისა . 438, 466
ციხის კედლებ შუა სკიტალეცისა თარგ. ილისა . 452
,, ,, ,, ,, ,, ,, . 468
ალიაქოთი ჩეხოვისა თარგ. ი. გ—სა . . . 485
მაგრამ. ამბავი ბ. Fritz-ისა თარგ. გ. ახალციხელისა 515
ლექსი პროზათ ს. მცირიშვილისა . . . . . 516
ორდენი ა. ჩეხოვისა თარგ. Andalas-ისა . . . 532
წყაროს ნაკადული ი. იმედაშვილისა . . . . 533
გვიანლაა ესკიზი ია ეკალაძისა . . . . . . 546
დღესი ა. ფრანსისა თარგ. იელისა . . . . . 561
რეპეტიტორი ა. ჩეხოვისა თარგ. გაიოზიშვილისა . 562
კომპოზიტორი სკიტალეცისა თარგ. იელისა . . 576
წერილები ია ეკალაძისა . . . . . . . . 593
მასწავლებელი ა. ჩეხოვისა თარგ. მითაიშვილისა . 602
ქუჩის ბავშვები ა. ნემიროვსკისა თარგ. გ. რ—სა . 608
სიხარული ა. ჩეხოვისა თარგ. მ. შემოქმედელისა . 624
ბიძია არქიპო და ლენკა მ. გორკისა თარ. გ—ლისა 626
644, 661.
ნიღაბი ჩეხოვისა თარგ. ლოლასი . . . . . 643
ალსარება ესკიზი სპირიდონ მცირიშვილისა . . . 674
ზინოჩკა ა. ჩეხოვისა თარგ. ს—სა . . . . . 677
ოხ მეგობარო განა დამტოვე ბედთან მებრძოლისა . 681
სამი სურათი ქრისტიანესი . . . . . . . 696
უკანონობა ა. ჩეხოვისა თარგ. სიმ—სა . . . 697
მონოლოგი სიგენტინსკიდან თარგ. ბ. ღმთაძისა 706
უსათაურო ა. ჩეხოვისა თარგ. ა. მითაიშვილისა . . 707
სასაპართლოში ა. ჩეხოვისა თარგ. ლ. ჭ—შვილისა . 724
იონიჩ ა. ჩეხოვისა თარგ. ოლიმ. ბაქრაძისა . . 739, 754
ერთგული დედა ტრ. რამიშვილისა . . . . . 774
ღუმილი თარგ. დ—ისა . . . . . . . . 776
ესეც შენი საზოგადოება ა. ჩეხოვისა თარ. ს—ძისა 789
გზაში ვერესაევისა თარგ. არიოსისა . . . . . 807
მთვარიან ღამეს ია ეკალაძისა . . . . . . 819
სანახსოვრო ღამე, ია ეკალაძისა . . . . . 835

## VIII. ფელეტონები.

საახალწლო ვიზიტები . . . . . . . . 4
სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი 36, 72, 104, 136, 153, 186, 200, 214, 247, 280, 359, 375, 390, 458, 552, 567, 580, 839.
პატარა ყარამანიანი ი. ევდოშვილისა . . . . 121
ნაპერწკლები ნაპერწკალისა . 625, 660, 676, 691, 738

## IX. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წ. ი. გომართელისა 17
43, 48, 69, 88.
ბიბლიოგრაფია. Богдановъ. Познаніе съ историч. точки зрѣнія, ъ—სა . . . . . . . 53
ბიბლიოგრაფია სალიტერატურო ქართული სიღ. ხუნდაძისა ა. ხახანაშვილისა . . . . . . . . 296
ბიბლიოგრაფია ა. ბიკოვისა. ამბები ინგლისის ისტორიიდან გრ. რობაქიძისა . . . . . . 363
,, დავით კლდიაშვილის მოთხრობანი—ი. გომართელისა . . . . . . . 379, 394
,, Г. Н. Тумановъ. Замѣтки о городскомъ самоуправленіи ნ. ელიავასი . . 426
,, ზღაპრები, ია—სი . . . . 473
თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი პოეზია ი. გომართელისა . 569
ბიბლ. თანამედროვე ქალაქი. ვანდერველდესი. თარ. განდელისა . . . . . . . . . . 649
შილლერის პოეზ. ძირ. თვისებანი. ი. გომართელისა . 665
682, 698, 711, 728, 760, 826, 842.

## X. ნეკროლოგები.

თამარა ქუჩუკაშვილის ხსოვნას, ან. წერეთლისა . . 21
შარლ ლეტურნო, პარიზელ ქალისა . . . . 143
ალ. არ. დავიდოვისა . . . . . . . . . 186
გლებ ივანეს-ძე უსპენსკი გ. რ—სი . . . . 223
ერნესტ ლიბერი X—სა . . . . . . . . 263
ავქსენტი ცაგარელი . . . . . . . . 541
რუდოლფ ვირხოვი, ექიმისა . . . . . . 573
ემილ ზოლა . . . . . . . . . . 621

## XI. კორესპონდენციები.

კორესპონდენციები: წერილი ბათომიდან . . . 21
დ. ხონი, ქ. ქუთაისი . . . . . 30
დ. ცხინვალი, დ. ჩოხატაური . . . 44
ქ. ბათომი . . . . . . . . 60
ჭიათურა, ს. ხორში . . . . . . 61
წერილი ქუთაისიდან ისისა . . . . 63
ბათომი . . . . . . . . 80
ხონი, შორაპანი . . . . . . 81
ს. აცანა . . . . . . . . 82
დარაკვეთიდან საჩხერემდე სამტრედია, გორი 96
ბათომი, ს. ქარელი . . . . . . 114
ს. მათხოჯი . . . . . . . 115
გურია, ხონი . . . . . . . 129
ს. საქარა, ბათომი . . . . . . 145
დ. ხონი, დიდი-ჯიხაიში . . . . . 146
ს. სამლვთო, ლეიხანდრავა . . . 165
სამტრედია, ზესტაფონი, საჩხერე . . 179

ს. სნო . . . 180
ლანჩხუთი, ბახვი . . . 193
ლანჩხუთი, ხაშური . . . 208
ასკანა . . . 224
წერილი გორიდან Sandaman-ისა . . . 224
წერილი ლენქორანის მაზ. გ. ახ—ლისა . . . 225
ძველი სენაკი, განჯა . . . 241
ხაშური, ქუთაისი . . . 261
ქუთაისი, გურია . . . 272
√ ბათომი, ხონი, რაჭა . . . 292
ს. სამლვთო . . . 293
ბათომი . . . 306
ქუთაისი, ეწერი . . . 322
ს. მათხოჯი, პერევისა . . . 323
ზემოჩიბათი . . . 336
ს. ხაშმი, ჭიათურა . . . 337
ქუთაისი, ბათომი . . . 352
ს. კასპი, ზეგანი, აცანა . . . 368
ჭიათურა . . . 369
ჭიათურა . . . 385
სამტრედია, ძველი სენაკი, ნიგოითი, საჩხერე . . . 400
ჩხარი, ქვიშხეთი . . . 418
ლანჩხუთი . . . 435
სურამი . . . 436
თელავი, ს. მათხოჯი . . . 447
ტობანიერის საზოგადოება . . . 448
ს. ზეგანი, შუქრუთი, ხუნჯულისი . . . 464
ჭიათურა . . . 483
ბათომი, ქუთაისი . . . 498
ჩიბათი . . . 499
სურამი . . . 512
ქუთაისი, ბათომი . . . 513
ქუთაისი . . . 528
ივრის ხეობა, თელავი, ლანჩხუთი . . . 529
ზესტაფონი . . . 530
√ ქუთაისი, ხონი . . . 544
ზემო რაჭა, თელავი . . . 555
ქუთაისი, ბათომი, ჭიათურა . . . 558
თელავი . . . 559
წყალტუბო . . . 560
აკეთი, კლდიეთის საზოგ., ოზურგეთი . . . 576
ლანირი, ჭიათურა . . . 590
საჩხერე . . . 591
თელავი, ხონი . . . 592
ბათომი . . . 606
ჭიათურა . . . 607
ჩიბათი . . . 608
ეწერის საზოგადოება . . . 623
ჭიათურა, ს. იანეთი . . . 624
გურია, ლანირი, ქუთაისი . . . 639
სოხუმი . . . 640
ბათომი . . . 657
ჭიათურა . . . 671
ქუთაისი . . . 672
ფოთი . . . 673
ს. მათხოჯი . . . 687
საყულია, ქუთაისის მაზრიდან, ქუთაისი . . . 688
სოხუმი, ჭიათურა . . . 689
ბათომი . . . 703
დიდი ჯიხაიში, ქუთაისი . . . 704
ზემო რაჭა . . . 719
ეწერის საზოგადოება . . . 720
ხონი . . . 735
ს. ციხის-ფერდი, ქუთაისი . . . 736
ბათომი, სამტრედია . . . 751
ჭიათურა . . . 752
ს. აკეთი . . . 768
ს. კონტუათი, სამტრედია . . . 769
სოხუმი, რაჭა . . . 786
ხონი, ბათომი . . . 805
ს. ლესა . . . 817


## XII. პოლემიკა და წერილები რედაქციის მიმართ.


წერილები რედაქ. მიმართ: გრ. ელიავასი . . . 37
გ. მოდებაძისა . . . 73
ქველმოქმედისა . . . 74
ი. პ—ასი . . . 91
ი. გოგიჩაიშვილისა . . . 91
ნ. რამიშვილისა
წვერთაგანისა
დ. ფაღავასი
ს. რამიშვილისა
ი. ჭელიძისა . . . 107
ალ. მგელაძისა . . . 139
გრ. ურატაძისა . . . 156
ელენე ჯინორიასა . . . 171
სიმონ ბერეჟიანისა . . . 188
მიუნხენელი ქართველებისგან . . . 219
ან. რ—სა, დიმ. ნინიძისა
შ. თენიეიშვილისა . . . 236
კატო ფხაკაძისა . . . 252
დ. ქარცივაძისა
ჟღენტისა, კალანდაძისა . . . 268
მცხოვრები ქართველებისა . . . 284
ერ. სირბილაძისა . . . 364
კ. კალანდარიშვილისა
შ. ჯანაშვილისა
შ. თენიეშვილისა . . . 476
ს. კვიცარიძისა, ს. მ—ძისა . . . 557
ბ. ჩხიკვიშვილისა . . . 558
პ. კახიანის და სხვებისა . . . 620
პ. გ—ლისა . . . 635
ნალბანდიშვილისა . . . 636
ი. ბელიაშვილისა და სხვების
გულწრფელი ადამიანისა . . . 667
აპ. წულაძისა . . . 668
ნ. ალექსეევ-მესხიშვილისა . . . 684
ვ. ალექსეევ-მესხიშვილისა . . . 715
ნ—ლისა, გ. მ—შვილისა . . . 731
Paroles-სი . . . 776
გიორგი კაკაბაძისა . . . 779
პ. კიკალიშვილისა . . . 872
ჟურნალ-გაზეთებიდან—19, 54, 71, 105, 122, 138, 297, 357, 422, 506, 553, 568, 609, 630, 647, 793, 825.
„ივერიის“ თავხიანობა, ნ. ელიავასი . . . 139
ცოტა რამ ფარმაცევტთა მდგომარეობის შესახებ სარდ. მამაცაძისა . . . 171
ღია წერილი მოსაუბრისა . . . 184
თფილისის საკ. კ. მასწ. ქალ. პ. ს—ძისა . . . 217
ცოტა რამ საჭიროს სამკითხველოზე ყორანისა . . . 300
პასუხათ ბ. კალის მოსაუბრისა . . . 325
კუხში მომხდ. მბრ. კრების გამო დასჯილისა . . . 357
ოპოზიცია და „ნოვ ფურ.“ სიყალბე X . . . 366
ახირებული გარეოების გამო მოსაუბრისა . . . 385
პასუხათ ბ. დასჯილს პ. კიკალიშვილისა . . . 393
ოპოზიცია თუ პოზიცია ნ. ელიავასი . . . 402
„ცნ. ფურც.“ ცნობისა . . . 408
ღია წერილი მეილ თოფურიას, ი. დუნდუასი და ბერძნიშვილისა . . . 412
მცირე შენიშვნა მოსაუბრისა . . . 440
ძველი ცოდვა ალ რედაქციაში მანუჩარისა . . . 456
შენიშვნა მოსაუბრისა . . . 471
ქუთ. წ. გამ. ამ გამგ. წევ. საპ. Paroles-სი . . . 490
პასუხათ ს. ბერძენის მემკვ . . . 555, 763


შენიშვნა: მუდმივი განყოფილებანი.
1) რუსეთი ყველა ნომრებში, გარდა პირველი ორასა.
2) საზღვარ-გარეთ ყველა ნომრებში, გარდა პირველი სამისა.
3) სხვა და სხვამბები ყველა ნომრებში, გარდა პირველი ნომრისა.

# კვალი

X წ. საყოველკვირაო გაზეთი. X წ.

№ 1. სამშაბათი, 1 იანვარი 1902 წ. № 1.


VI/165


გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში — «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ".



შინაარსი: გასული წელი, მოსაუბრისა — ახალი წელი, ლექსი დარია ხუნდაძისა. — საახალწლო ვიზიტები, რიგოლეტოსი — საახალწლო ნაპერწკლები, ისარისა. — ახალწლის ღამეს (ფანტაზია) ია ეკალაძისა. — ბუდა, ლექსი, თარგ. კ. ჯაფარიძისა — მშობლები, მოთხ. ლალიონისა. — სამწუხარო შედეგი, რომანი ე. ნინოშვილისა. — მიწათმფლობელობის წესი საქართველოს სამეფოში, ა. ხახანაშვილისა. — სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წ., ი. გომართელისა. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — წერილი ბათომიდან, ნ. ჩ. — თამარა ქუჩუკაშვილის ხსოვნას, ან. წერეთლისა. მცირე შენიშვნა — წერილი რედ. მიმ.


## გასული წელი.

ჩვენ ვემსგავსებით მგზავრს, რომელიც, გაივლის თუ არა რამოდენიმე მანძილს, შეჩერდება, მიიხედ-მოიხედავს და ცდილობს წარმოიდგინოს, თუ რამდენი გაუვლია და ან რამდენი დარჩენია გასავლელი, ვიდრე დანიშნულ ადგილას მიახწევდეს. ყოველი წლის ბოლოს, თუ დასაწყისს, ჩვენ თითქო ვჩერდებით და ვაპყრობთ თვალს განვლილ წელიწადს იმის გასათვალისწინებლათ, თუ რა მანძილი გაგვივლია საზოგადოებრივი განვითარების გზაზე, ე. ი. ყოველი წლის დასასრულს, მსგავსათ კარგი მეოჯახე კაცისა, ჩვენ ვცდილობთ ანგარიში მივცეთ ჩვენ თავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაზე, ემჩნეოდა ამ ცხოვრებას სიცოცხლის და წარმატების ნიშან-წყალი, თუ იგი უკან მიდიოდა; რა პირობები უწყობდენ ხელს საზოგადოებრივ წინმსვლელობას, ან რა აფერხებდა მას, და დასასრულ ყოველივე ეს რომ სასწორზე დავდოთ, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ჩვენ, რამდენიმეთ მაინც, მივუახლოვდით საზოგადოებრივ ცხოვრების იმ იდეალს, რომლის განხორციელებას ხალხის უმრავლესობა მოუთმენლათ ელოდება.

საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობის გასათვალისწინებლათ ერთათ ერთი კრიტერიუმი, ანუ საზომი არის საზოგადოებრივი თვითცნობიერების გაფართოება და ზრდა. რამდენათ მეტი პირი იგებს თავის უფლებას, ე. ი. თავის ფასს და მნიშვნელობას საზოგადოებაში, იმდენათ ფართოვდება და იზრდება საზოგადოებრივი თვითცნობიერება.

გასულმა წელმა ამ მხრით მეტათ თვალსაჩინო და წაუშლელი კვალი დატოვა მთელ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მას სიამოვნებით და პატივისცემით მოიგონებს ჩვენი შთამომავლობა, მიუხედავათ მრავალ ტკივილებისა და სიმწვავისა. გასულ წელს თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვამჩნევდით ჩვენ ხალხის გამოფხიზლებას, მის მეცადინეობას. . . გასულმა წელმა დაგვანახვა, რომ ჩვენ ხალხში თანდათან მტკიცდებიან მოქალაქობრივი გრძნობანი, თავისი ინტერესების და თავისი ვინაობის შეგნება. წარსულმა წელმა ყველას აშკარათ დაუმტკიცა, რომ ჩვენი ხალხი ისე გულ-ცივათ და უდარდელათ აღარ უყურებს საზოგადო საქმეს, როგორც ეს წინეთ იყო. აი ამას ვეძახით ჩვენ საზოგადოებრივ თვითცნობიერების გაძლიერებას და ზრდა-მატებას. რასაკვირველია, არც გასულ და არც წინა წლებში ისეთი დიდი და მძლავრი მოძრაობა არა მომხდარა-რა ჩვენში, რომელშიაც საზოგადოების ყველა გაფანტულ და იმავე დროს შეგნებულ ელემენტებს თავი მოეყაროთ.

გასული წელიწადი ჩვენთვის მით იყო შესანიშნავი, რომ მან ამ მომავალის მოახლოება დაგვანახვა. გაიხსენეთ, მაგ., სახალხო კითხვების, თეატრის და ბიბლიოთეკის დაარსების გარემოებანი თფილისში გასული წლის დასაწყისში. ყოველივე ეს გარეგნობით ისე თვალსაჩინო როდია, მაგრამ მეორე მხრით თქვენ აქ ხედავდით იმ დიად ძალას, რომელიც უნდა გამოიჩინოს საზოგადოებრივმა მოძრაობამ ახლო მომავალში. გაიხსენეთ აგრეთვე წარსული წლის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრება, რომლიდანაც სრულიად ახალი ხანა იწყება ხსენებული საზოგადოების ისტორიაში. აქ შეეჯახენ ერთი ერთმანეთს ორი სხვა-და-სხვა მიმართულება, ორი სხვა-და-სხვა ძალა. ერთ იმათგანს წარმოადგენდა ჩვენი ეგრეთ წოდებული ინტელიგენცია, ყველაფერში წელმოწყვეტილი და უილაჯო. მას არა რწამს ხალხი, როგორც მომქმედი ელემენტი; იგი უარყოფს ხალხის მონაწილეობას ყველა საზოგადო საქმეში. მართალია, იგი ვითომ კიდევაც ზრუნავს ხალხის სასარგებლოთ, მხოლოთ იმ პირობით, რომ თვით ხალხმა კრინტი არ დაძრას ამის შესახებ, ხმა არ ამოიღოს, მსჯელობა არ იქონიოს... თანამედროვე ცხოვრებასთან ამ ინტელი[illegible] საერთო არაფერი

აღარ აქვს, მათ შორის ყოველგვარი კავშირი სამუდამოთ გაწყვეტილია. მეორე მიმართულება ანუ ძალა, რომელმაც გასული წლის წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზე იჩინა თავი, მომდინარეობს ხალხის გულიდან, იგი თვით ხალხია, ის ხალხი, რომლისთვის სიტყვა და საქმე ერთი და იგივეა და რომელსაც ვერ წარმოუდგენია, რომ სიტყვის თქმა და საქმის არ გაკეთება შეიძლებოდეს. ერთი სიტყვით, ხალხსა და ჩვენებურ ინტელიგენციას შორის აი რა განსხვავება არსებობს: ხალხი ბევრს აკეთებს და ცოტას ლაპარაკობს, პირიქით, ინტელიგენცია ბევრს ლაპარაკობს და თითქმის არაფერს არ აკეთებს. და აი ეს ორი მიმართულება შეხვდენ ერთმანეთს პირისპირ წერა-კითხვის საზოგადოების გასული წლის კრებაზე, და იმათი შეტაკება აუცილებელი შეიქნა. ერთ მხარეზე იდგა «საზოგადოების» გამგეობა, რომელიც ხმამაღლა გაიძახოდა: ჩვენ ვილაპარაკებთ, თქვენ კი გაჩუმდით და მხოლოთ ყური დაგვიგდეთო; მეორე მხარეზე იდგა ხალხი და აი რა პასუხს ეუბნებოდა გამგეობას: თქვენ თქვენი მოვალეობა დაგვიწყებიათ; თქვენი მოვალეობა საქმის გაკეთებაა და არა მარტო ლაპარაკი. თუ გსურთ, საქმე გააკეთეთ, თუ არა და ადგილი დაგვითმეთო! მაგრამ ეს ორი მიმართულება ლაპარაკობდენ ერთმანეთისთვის სრულიად გაუგებარ ენაზე. ამიტომ წინანდულათ მორიგება შეუძლებელი შეიქნა და მშვიდობიანობა დაირღვა.

თუ ჩვენ აქ შედარებით დიდ ხანს გავჩერდით წერა-კითხვის საზოგადოების გასული წლის საზოგადო კრებაზე, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ, რა მოვლენამაც ხსენებულ კრების დროს იჩინა თავი, იგი მოვლენა დამახასიათებლათ უნდა ჩაითვალოს მთელი იმ მოძრაობისა, რომელიც დღეს ჩვენ საზოგადოების გულში ღვივის. ეს მოძრაობა არ დაწყებულა გასულ წელს და მას არც მარტო შარშან უჩენია თავი. მხოლოთ ამ განვლილმა წელმა ჩვენ დაგვანახვა, თუ რამდენათ გაძლიერებულა და ღრმა ფესვები გაუდგამს ამ მოძრაობას ჩვენ ცხოვრებაში. ხანგრძლივმა კრიზისმა ერთ და იმავე დროს ნავთის და მარგანეცის (შავი-ქვის) წარმოებაში არა ერთ და ორ ათას მუშას გამოაცალა პირიდან ლუკმა პური. ამ ორი მთავარი წარმოების კრიზისებს მარტო ადგილობრივ მუშებზე არ ჰქონიათ გავლენა. მათი მავნე შედეგები მთელ ამიერ-კავკასიის მუშა ხალხს დაატყდა თავზე. თითქმის ყოველგან იმატა უსაქმოთ დარჩენილ მუშების რიცხვმა და იმავე დროს შესამჩნევათ იკლო სამუშაო ხელფასმა, რაც საყოველთაო კანონია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კრიზისი წარმავალი მოვლენაა, როგორც დარს ავდარი მოდევს და ავდარს—დარი, ისე კრიზისს გაცხოველება და აღორძინება მოდევს ხოლმე მრეწველობასა და აღებმიცემობაში. ამ მხრით საშიში არა გვაქვს-რა.

ყურადღების ღირსია ჩვენი ქალაქების თვითმართველობებიც. არ იქნა და არა: იმათ გაუმჯობესობას და წარმატებას ვერაფერმა ვერ უშველა. გასულ წელს ქალაქის თვით-მართველობათა საქმეები კიდევ უფრო გამწვავებული იყვნენ. საქალაქო არჩევნები ყოველგან საპირადო ანგარიშების გასასწორებელ იარაღათ გარდიქცენ. კავკასიის დედა ქალაქის თფილისის საბჭომ ფეხქვეშ გათელა თვითმართველობის დედააზრი ხმოსნების არჩევნების საქმეში, რითაც აშკარათ უღალატა მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებს, თუმც არც სხვა [illegible] მორჩენიან მას ამ მხრით. რაც შეეხება [illegible]ნეობის წარმოებას, იგი როგორც წინეთ, ისე გასულ წელსაც ყოვლად უვარგისი და გამოუსადეგარი იყო. მაგრამ ვცდებით: იგი გამოუსადეგარი იყო მხოლოთ ღარიბებისთვის, ხოლო ძლიერ სასარგებლო და გამოსადეგი ერთი მუჭა მდიდრებისთვის. ღარიბი ნაწილისთვის, რომელიც ყველა თანამედროვე ქალაქში დიდ უმრავლესობას შეადგენს, არავითარი გაუმჯობესობა არ არსებობს. ქალაქის თვითმართველობას მცხოვრებთა ეს ნაწილი მხოლოთ მაშინ გაახსენდება, როცა მას გადასახადს ადებს ან ახდევინებს. მოხდება ხოლმე, თუმც ძლიერ იშვიათათ, რომ ქალაქი ღარიბთა, ე. ი. მუშა ხალხის სასარგებლოთ, ორიოდ გროშს ხარჯავს, როგორც მოწყალებას, მაშინ, როცა იგი ვალდებულია ყველასათვის, როგორც მდიდრისთვის, ისე ღარიბისთვის, თანასწორათ იზრუნოს. არც ერთ ჩვენ ქალაქების თვითმართველობას გასული წლის განმავლობაში არაფერი არ შეუქმნიათ ისეთი, რისთვისაც რომელიმე იმათგანი ღირსი იყოს მოგონების. საერთოთ ისინი კიდევ უფრო დაქვეითდენ, და ასე იქნება მანამდის, სანამ იმათი ბედ-იღბალი უმრავლესობის ხელში არ გადავა და ნამდვილ მოღვაწეთ არ მოიპოვებენ.

ახლა გადავიდეთ ჩვენ ჟურნალ-გაზეთობაზე და განვიხილოთ მოკლეთ მაინც, თუ როგორ აღიბეჭდა მაში გასულ წელს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი მიმართულება, გავიგოთ, თუ როგორი გამომხატველი იყო ეს ჟურნალ-გაზეთობა ცხოვრების უმთავრეს მოთხოვნილებათა. განვლილი წელიწადი ჩვენი პრესსის ისტორიაშიაც მოსაგონებელი იქნება. იმ მხრით მაინც, რომ ამ დროს მას მიემატა ერთი ყოველდღიური გაზეთი («არგონავტი») რუსულ ენაზე და ერთი თვიური ჟურნალი („მოგზაური“) ქართულ ენაზე. მართალია, პერიოდიული გამოცემის სრული პროგრამა არც ერთ იმათგანს არა აქვს, მაგრამ ახალ გამოცემათა დაარსება რაც უნდა იყოს, მაინც პრესსის, პუბლიცისტიკის კალაპოტის გაფართოებას ნიშნავს. გარდა ამისა, ორმა ქართულმა ყოველდღიურმა გამოცემამ („ივერიამ“ და „ცნ. ფ-მა“) რედაქტორები გამოიცვალეს და ერთმა იმათგანმა, სახელდობ „ივერიამ“, ფორმატიც გაადიდა! „კვალის“ გამოცემაც გასულ წლის დამდეგიდან სხვა პირობებში ჩადგა. ყოველივე ეს *) საკმარისათ მოწმობს, თუ რამდენათ შეიცვალა, რასაკვირველია, გარეგნობით, ჩვენი პრესსის მდგომარეობა გასულ წელს. მაგრამ, სამწუხაროთ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ცვლილება მარტო გარეგანი გამოდგა. არც ახალ დაარსებულთ და არც ფორმატით გადიდებულ ორგანოთ არავითარი ახალი საკითხი არ წამოუყენებიათ, არავითარი ახალი აზრის თუ მიმართულების შექმნა არ უცდიათ. როგორც „არგონავტი“, ისე „მოგზაური“ ჩვენი პრესსისთვის დაბადებიდანვე მკვდარი არიან, და ამნაირათ ყოვლად უმნიშვნელო. ერთი წლის არსებობამ ეს საკმარისათ დაამტკიცა. არც ჩვენი უხუცესი გაზეთის „ივერიის“ მდგომარეობაა მაინცდამაინც სახარბიელო. ამ ორგანოს იმ დროს სახელი აქვს შერჩენილი, როცა ჩვენში, კარგი იყო თუ ავი, მხოლოთ ერთათ ერთი ყოველდღიური გამოცემა არსებობდა. შეეჩვია რა ასეთ მონოპოლიას, „ივერიის“ რედაქტორმა

*) ასეთი ცვლილება ადგილობრივ სომხურ პრესაშიაც მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებით მიანება თავი გაზეთის წაყვანის საქმეს, რასაც ის შედეგი მოყვა, რომ ეს ორგანო ცხოვრებას სრულიად დაშორდა. დღეს მისი განახლებული რედაქცია იუწყება, რომ „დროთა ვითარების გამო „ივერიას" პროგრესიული ელფერი დაედება", და ამით ალბათ სურს იგი ისევ ცხოვრებას დაუახლოვოს. ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს, ხოლო თუ წარსულის მაგალითს დავეფუძნებით, დავრწმუნდებით, რომ ეს ტყუილი ოცნებაა. გასული წლის განმავლობაში «ივერიას» არ წამოუყენებია და არ გამოურკვევია არც ერთი ახალი საკითხი, რომელსაც კავშირი ჰქონებოდეს ჩვენ დღევანდელ ცხოვრებასთან. მთელი წლის განმავლობაში ჩვენ იქ არ შეგვხვედრია ისეთი სახელმძღვანელო წერილი, რომელსაც დაკვირვების და ნიჭის ნიშანი ჰქონოდეს. არც ერთ ჩვენი ცხოვრების საჭირ-ბოროტო კითხვების გამორკვევაში „ივერია" მონაწილეობას არ იღებდა, და თუ როდისმე ხმას ამოიღებდა, ეს მხოლოთ იმისთვის, რომ თავისი პირით დაეგმო და გაეკიცხა ახალი დრო, რომელმაც ძველი „ზნეობა შელახა", ძველი კერპები და ავტორიტეტები დაამსხვრია და მტვრათ აქცია და სამაგიეროთ ახალი ზნეობა და ახალი იდეალები შექმნა. მოხდებოდა აგრეთვე ისიც, რომ პირველ შემთხვევისთანავე „ივერია" თავის დასამცირებლათ სომხებსაც გამოკრავდა ხოლმე კვანტს და მაშინ უნდა გეყურებინათ მისი თავდაყირა ტალახში ჩაფვლა. სულ სხვა ჯურის გაზეთია «ცნობის ფურცელი», ეს ახალი დროს ბალღი. იგი ახალფეხადგმულ ბალღივით ცქაფი და მარდია. მცირეწლოვანობის გამო იგი ადვილათ ეჩვევა და ეგუება დროს და მიდამოს; პატარა ბალღივით იგი ადვილათ იცვლის პოზიციას, აზრს და მხედველობას: რასაც გუშინ ფიქრობდა და თაყვანს ცემდა, დღეს უარყოფს და აძაგებს, თუმც შეიძლება ზეგ ისევ წინანდელ „პოზიციას" დაუბრუნდეს. ასეთია ბალღის ბუნება. მიუხედავათ ამისა, გასული წლის განმავლობაში „ცნობის ფურცელში" მრავალი საყურადღებო კითხვა იყო წამოყენებული, რომლების გარჩევამ ცხარე გამწვავებული კამათი გამოიწვია ჩვენ პრესსაში. რადგანაც „კვალში" თავის დროზე გარჩეული და დაფასებული იყო ეს კითხვები, ამიტომ იმათ ჩვენ ახლა აღარ ვუბრუნდებით. აღვნიშნავთ აქ მხოლოთ ერთ არა დიდმნიშვნელოვან გარემოებას, სახელდობ იმ წვრილმან კინკლაობას, რომელსაც აყოლიან ჩვენი ორივე ყოველდღიური გამოცემანი: «ივერია» და „ცნობის ფურცელი". ყველასათვის აშკარაა, რომ ეს კინკლაობა მარტო პირადულ ანგარიშზეა აგებული და ამიტომ მკითხველ საზოგადოებაზე მეტათ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა, თორემ განა ჩვენ არ ვიცით, რომ „ივერია" და «ცნობის ფურცელი» პრინციპიალურათ არც ისე დაშორებული არიან ერთიერთმანეთისაგან, როგორც ეს პირველი შეხედვით გეგონებათ. უამისოთ ძნელი ასახსნელი იქნებოდა ის გარემოება, რომ ამ ორი რედაქციის თანამშრომლები ხან ერთში იკეთებენ საბუდარს და ხან მეორეში, იმის მიხედვით, ზენა ქარი უბერავს თუ ქვენა. ასე ჩქარ-ჩქარ ადგილის გამოცვლა მარტო შემთხვევით და თავისი საკუთარი აზრის უქონლობით არ უნდა იხსნებოდეს. ასეა თუ ისე, წარსული წლის გამოცდილება საკმარის საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ცნობის ფ-ლის" რომელიმე დღევანდელი თანამშრომელი „ივერიის" ხვალინდელ თანამშრომლათ გადიქცეს და პირიქით.

ადგილობრივ რუსულ ჟურნალ-გაზეთობაზე ლაპარაკი ჩვენ აქ სრულებით უადგილოთ მიგვაჩნია. მართალია, რიცხვით იგი არა თუ არ ჩამორჩება ადგილობრივ ენებზე არსებულ ჟურნალ-გაზეთობას, არამედ კიდევაც აღემატება მათ, მაგრამ თავის შინაარსით და ღირსებით იგი ბევრათ უფრო დაბლა დგას. საერთოთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობის, როგორც რუსულის, ისე ადგილობრივი ენების, განხილვას ჩვენ იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ ჩვენ პრესსას ჯერ კიდევ ბევრი უკლია, რომ ხალხს დაუახლოვდეს; საჭიროა მისი ძირიანათ შეცვლა, რომ მან ხალხის გულის წადილი, მისი სულის კვეთება, მისი მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი გამოხატოს. ამ დანიშნულების განხორციელებას ჯერ კიდევ მრავალი გარემოება უშლის ხელს, და ვინ იცის, შეიძლება ამ ახალი 1902 წლის განხილვა და მისი ნაამაგარის დაფასება ბევრათ უფრო სანატრელ პირობებში მოხდეს. ამიტომ რაღაც გამოურკვეველი სიხარულით ვეგებებით ძველი წელიწადის სიკვდილს და ახლის დაბადებას!

მოსაუბრე.

---

## ახალწლის გამო

(ვუძღვნი ჯ—ს ახულს ე—ს.)

სიყრმიდან დღემდი ყოველ ახალ წელს
აღტაცებული ვეგებებოდი;
სრული იმედით გარემოცული,
მის სამასპინძლოთ ვემზადებოდი.

როს წუთისოფლის უსამართლობით
სიცოცხლე შხამათ მეჩვენებოდა,
მაშინაც, ახალწლის იმედით დამტკბარს,
მწარე სიკვდილი მენანებოდა!

გულიც, იმედით აღფრთოვანებული
სულის სიმშვიდეს გრძნობდა, ტკბებოდა,
და სანეტარო მომავლის მრწამსი,
ტკბილი ოცნებით მალ-მალ თვრებოდა.

ნეტავი იმ დროს რას გრძნობდა გული?
რას მოელოდა ის ახალწლიდან?
ნუთუ ხსნას, შველას დაჩაგრულ ერის!
მართალთ გამოხსნას ბნელ საკანიდან?!

უსამართლობის, შურის და მტრობის,
ბოროტებისა პირქვე დამხობას,
წმიდა სიმართლის ცად ამაღლებას
და ხალხთა შორის ერთობას, ძმობას?!.

დიახ, დროთაცვლის იმედით დამტკბარს,
გულს ეს ფიქრები ატკბობდენ მარად
და იდუმალათ ჩამჩურჩულებდენ
ტკბილ მომავალზე გულ გასახარად!

მაგრამ წელი წელს მოსდევდა სწრაფათ
და მე იმედით ცოცხალს, მხიარულს—
შავბედი უღვთოთ გამიქარწყლებდა
ჩემი ცხოვრების ნუგეშს, სიხარულს.

სიცოცხლის ნაცვლათ მომანატრებდა
სულის შემხუთველს, შავ-ბნელ საკანს
და ჭყვენდა მაშით, გლოვისა მაშით...
ჩემს გარემოცა მთლათ არე-მარეს.

წარვიდენ წელნი კვლავ უმნიშვნელოთ,
ამაოდ შველას ელოდა გული.

ჩაქრა და დავრჩი კვლავ უბედურათ,
იმედისგანაც მოტყუვებული.
აწ არ მახარებს ახალი წელი—
დამაშვრალს, უმლურს, ღონე მიხდილსა,
ვეღარ გამართობს მისი სტუმრობა,
მისგან მრავალჯერ გულგატეხილსა.
მო ისევ, დაო, ტკბილ მეგობარო,
კვლავინდებურათ მომეცი ხელი,
მოუსალბუნე ამ გულს დაჩაგრულს,
გამიცისკროვნე ახალი წელი!
გამიხსენ შენი სპეტაკი გული
მართალთ მოყვარე, ღვთიური, წრფელი,
მით დამიბრუნე რწმენა, იმედი...
სასოწარკვეთილს მიეც ნათელი.

დარია ხუნდაძისა.

---

## საახალწლო «ვიზიტები».

სწორეთ კაი დროს მოგვესწრო თფილისელებს რობის ფუნიკულერი. აი ეხლა კი მოგვეცა ნება ჩვენ თავს ნამდვილი ევროპიელები ვუწოდოთ და შევდგეთ რა ფუნიკულერით პროგრესის გზაზე ვიაროთ და ვიაროთ ასე, აზიური შიქასტით და ევროპიული ტურნეთი.

ხოლო რობიზე არა ნაკლები სიყვარული და მზრუნველობა თფილისის გამგეობამ გამოგვიჩინა, ვინაიდან აგვაცდინა საშინელ განსაცდელს თფილისის ჯურღმულებში კისრის მოტეხისას და სამოგზაურო ფუნიკულერს მიაკრა ზედ კომპასი, რათა შეგვეტყო, საიდან ამოდის მზე თფილისში და საიდან ჩადის იგი თფილისს გარეთ. შევიქენ რა ასეთი უზრუნველ ყოფილი ყოველივე განსაცდელისაგან, რასაკვირველია, მეც თამამათ დავიწყე ვიზიტობა. უპირველესათ ჩემი ეტლი, ე. ი. რობის ფუნიკულერი, გავაჩერე თფილისის გამგეობის დარბაზთან და მეც წარვდექ მათ წინ სწორეთ იმ დროს, როდესაც გამგეობა არჩევდა ერთ უმწვავეს საკითხს. სახელდობრ: დაარსდეს თუ არა თფილისის ქუჩებზე ესრეთ წოდებული „თავფეხ საწმენდი სადგური", სადაც ყოველ მგზავრს შეძლება მიეცემა შეიძინოს ცოცხი მტვრისაგან საწმენდელათ და საფხეკელა ტალახისაგან განსათავისუფლებლათ. კაპლები გულმოსაბრუნებლათ და აბონიმენტი რამდენიმე მუშისა, რათა კურტანის საშუალებით შეეძლოს გაიდეს მეწამულ ზღვას თფილისის ქუჩებისას წარღვნის დროს. ყოველი ზემოხსენებული წინადადებანი შეწყნარებულ იქმნენ საშინელი ტაშის გრიალით, ცილინდრების მაღლა სროლით და „კეცე ახპერჯანის" ძახილით. ამას ზედ დაურთეს ერთი სანუგეშო პროექტიც, სახელდობრ ის, რომ ახალი წლიდან თფილისმა ყოველ შაბათობით იაროს ერეკლეს აბანოში და გაზაფხულზე გაიგზავნოს თფილისის გამგეობა განახლებულ გამოფენაზე, რომელზედაც აბდულ-ბალიმ მიიღო გატეხილი ტაშტისაგან ჩამოსხმული მედალი.

კაი მოგეცეთ კაი ფალუსტაკის გუნებაზე მე შევიქენ ამ გვარი პროექტების მოსმენით და მეც ჩემთვის იქავე შევადგინე მარშრუტიცა და პროექტიც ჩემის საახალწლო დარბაზობისა. უპირველესათ ყოვლისა, გადავწყვიტე მთელი ღამე სიმღერაში გამეტარებინა, მაგრამ ისე კი, რომ არ დამერღვია თფილისის მყუდროება და უცებ «ინსტიტუტში» არ ამომეყო თავი. ამიტომ მე თავი უბეში ჩავყავ და ვმღეროდი ასე ჩემთვის, ჩემ უბეში ჩაფარული და დამალული. მაგრამ მაშინ კი სწორედ [illegible] მოვითმინე, როდესაც დავუახლოვდი კუკიის ხიდს [illegible]თი ნამდვილ ქართველურათ და გმირულათ შევძახე:

«ვაშა, ვაშა, საქართველოს,
მაყრიონი ადღეგრძელოს,
გაუმარჯოს «ივერიას»,
საპროგრესო და საბრძენოს!

საქმე იმაში გახლავთ, ბატონო, რომ «ივერიის» რედაქციაში ამ ღამეს ქორწილი იყო:

გაუშალათ ლურჯი სუფრა,
ზედ დაუსვათ პატარძალი,
თავს „ჩიორა" დაგალობდა—
არვინ არსო შენი ტოლი.
მეფეთ იჯდა ასლან ბეგი,
ბიჭობაში ათის ცალი,
ინძრეოდა ცა და მიწა,
შექმდა თოფი განაცალი.

სწორე მოგახსენოთ, ფალუსტაკის სულმა შემიზიდა და მეც ჩემის ქამანჩით წარვსდექ მეფე-პატარძლის წინ. აქ იყვენ ყველა რჩეულნი და სხვათა შორის ხიზინბარელიც, მომნელებელი ასი არტალისა, მას ხელ ეპყრა ქაფჩა პატარძლის ლოყების დასაკოწიწებლათ. იყო აქ ვინმე თავბერაძე, რომელიც თლიდა კამეჩის ძვლებს, პატარძლისათვის კბილების დასაცვლელათ და რამდენიმე მოენენი და პირის ფარეშნი, რომელთაც ხელთ ეპყრათ პატარძლის სხვა-და-სხვა საფალუსტაკო საწესონი.

ვიჯერე რა გული სიმღერით, ველარ მოვითმინე, რომ «ცნობის ფურცლისთვისაც» არ მეხარებინა სამოთხის ალმოჩენა და გავეშურე მისკენ. მართალია, აქ ნიშნობაცა და ქორწილიც უკვე გაეთავებინათ «ცნობის ფურცელს» და „მოამბეს", მაგრამ სამაგიეროთ წავაწყდი ნათლობას. ესენი ნათლავდენ „დამატებას". ა. ჯორჯაძეს სამზარეულო კოვზი მოემარჯვა, ლალს ფართუკი აეფარებინა და ორივენი ერთათ კი დაგალობდენ ტკბილის ხმით:

გამოცანას მოგახსენებთ
დიდი არაფერიაო,
ზოგან არჩილ, ზოგან გიგო
ზოგან „ლალის" ფერიაო,
დომხალიც გვაქვს, შილა-ფლავიც,
ორივ გემრიელიაო,
სხვა კი არა გეგონოთ რა
ეს «ცნობის ფურცელიაო».

ჩავატკბარუნე რა პირი ამისთანა ტკბილეულობით, ახლა „მოგზაურს" დავუკაკუნე კარები, მაგრამ დიდათ შევწუხდი, როდესაც შემატყობინეს, რომ „მოგზაური" ვითარცა რაინდი უშიშარი და უზაკველი უფარნოთ გაემგზავრა ბნელაში და გვეშინიან, რომელსამე ძველ ციხის ნანგრევებზე არ გადაიტეხოს კისერიო. მე ფრიად შემაწუხა ამ ამბავმა, და ჰირისუფალის თხოვნით რედაქციას კარებზე მივაწერე შემდეგი ეპიტაფია, რომელიც მ. გობეჩიას მოვპარე ლექსების რვეულიდან:

დადის ჩვენი „მოგზაური"
აქა-იქა ღრე და გლდეში,
პოეტები უპოვია,
ერთ მგელის მგელ საგიჟეში!
ნაზუქი რო შემოაკლდა,

შევიწროვდა მეტათ ყელში;
საქართველო დაიარა,
გადავიდა სათათრეთში,
და მკითხველო გებრალებოდეს
აქ მდებარე სასუდრეში..!

ვიფიქრე, მას თუ იპოვის, ისევ ჩვენი, ე. ი. ჩვენი ზოილის, „არგონავტი“ მეთქი და გავეშურე მისკენ, რომ მეცნობინებინა ამისთანა სამწუხარო ამბავი. «ზღვაში თუა სადმე დამხრჩვალი, უეჭველათ ამოვათრევო» დამაიმედა მან და რადგანაც მეც მადლობა მინდოდა გადამეხადა, ამიტომ თან სხვა არა გამაჩდარა გარდა უბის წიგნისა, საიდამაც შემდეგი სიმღერა შევთავაზე:

წყალ ქვეშით და წყალ ზევიდან
უველგან „არგონავტი“ დადის,
ერთხელ ცირკშიც ითამაშა,
გაბმულ თოკზე კარგათ გადის,
„ლისტოკს“ გვერდზე ჩაუხველა,
თუმანოვს კი ჩხუბს უქადის,
მაგრამ არ აქვს გასავალი
ნოეს გემის კარაბადიმს!

მოვიხადერა ჩემი ვალი „არგონავტის“ წინაშე, გამოველ ქუჩაზე და აქ კი მართლა რომ კაი სანახავი რამ ვნახე. «ლისტოკი» და „ობოზრენიე“ ფორთხავდენ მტვერში, ხან ერთი იყო ქვეშ, ხან მეორე. ორივენი ხელში სტაცებდენ ერთმანეთს რაღაც ქაღალდს, რომელიც, შემდეგ როგორც პოლიციის ოქმიდან აღმოჩნდა, «ობიავლენიე» იყო. როგორც ქართველს, ჩხუბის დანახვაზე, ომის სურვილი აღმეძრა და რადგანაც, როგორც ქართველსავე, ხელის გამოღებისა კი მეშინოდა, ამიტომ მხოლოთ პოემით ლა მოვიოხე გული და ასე შევაქე ეს თავგანწირული გმირები:

ბაროვ, ახპერკან, ყოფილხართ გმირი,
კარგათაც უკრავს ეგ თქვენი სტვირი,
შენ იმასა და იმან კი შენა,
ორთავ ერთმანეთს ადინეთ ბლღვირი!
და გაიფანტოს მაღლა ჭერში
ნაგვის გოდორი—ორივეს ტუში,
ჩაიხედეთ კი ორთავ სარკეში:
როგორ გიხდებათ ქუჩებზე სკუპი!

სწორეთ კაი სიმღერის გუნებაზე ვიყავ, მაგრამ გაუწყრა ჩემი გამჩენი, არ ვიცი საიდან მიპოვნა ფოსტის შიკრიკმა, რომელმაც ხელში შემდეგი დეპეშა მომაჩეჩა. ბათუმიდან მწერდენ: «ძმაო რიგოლეტო! ვიცი აქეთ გამოემგზავრები და ვინძლო შეიარო საყასბოში. აარჩიე ერთი რიგიანი თავი და წამოუღე ჩვენ ქალაქსაო». მეორე დეპეშაში ეწერა: «ოზურგეთლები გთხოვენ აცნობო გაზეთის პირით ნაცნობთა და ნათესავთ გარდაცვალება, მათის უსაყვარელესის პირმშო შვილისა „შუამავლისა“, პანაშვიდები ყოველ დღე, დილითა და საღამოთი ოზურგეთის ქუჩებზე, დაკრძალვა მოხდება ჭეიშვილის სავანეში. გაასვენებს ძველი გამგეობა, ხოლო ახალი უკან მიჰყვება, რაც შეეხება დანარჩენ წესს, ამას ოზურგეთულათ გადავიხდით. ქელეხზე ტირილი და ღრიალი მოვალეობას შეადგენს ყოველი დამსწრისა. სუდარა დავიბარეთ მაჩხაანის დეპოს საფარჩლეულოდან, მაგრამ ჯერჯერობით სადეზინფექციო კამერაშია, ფრთხილობენ ვირთაგვები არ გამოყოლოდენ თან“.

ჩავვარდი ბატონებო ერთ საგონებელში, მოდი და აარჩიე ისეთი თავი, რომელიც სწორეთ ბა[illegible] კალაპოტზე უნდა იქნას გამოჭრილი. მოდი [illegible] ასეთი სამწუხარო ამბავი, ასეთ შვენიერ დღეს ფალუსტაკ გარეშემო «ნაცნობთა და ნათესავთ“. ეჰე, რას იზამ, მაშინვე დავფაცურდი მეც. დაკლებული ფასით ვიშოვე რიგიანი თავი, გავაქან-გამოვაქანე განცხადებანი ლისტოკსა“ და «ნოვოე ობოზრენიეს» შუა და გავიჭერ ვაგზალზე. ვიფიქრე გავემგზავრები კორტოხისაკენ და თუ რომელიმე წმინდანი მაინც არის ჩემი მწყალობელი, იქნებ ბათუმისაც და ჩემი თავიც მშვიდობით ჩავიტანო ადგილამდე-მეთქი. ხუმრობა ხომ არ არის? მე მინდოდა გამგზავრება ჩვენი რკინის გზით, ე. ი. იმ საიქიოს ეტლით. ალსარება ჩვენ რედაქტორს ჩავაბარე. ვუთხარ, რომ ვინიცობაა ცოტაოდენი უბედურება შემემთხვას და გარდავიცვალე, მოზარეთა მეთაურათ ერთი ჩვენი პოეტთაგანი დაებარებინათ, ვინაიდან მინდოდა ქართულათ მოვმკვდარიყავ. ქელეხში ნაცნობ-ნათესავთ მოეტანათ შესაწევარი და მკვდრისთვის სასიამოვნო სხვა-და-სხვა სანოვაგენი. ვინაიდან რაც დიდს იყვირებდენ, რაც მეტ ფლავს დახარჯავდენ და ნუნუას მიირთმევდენ, იმდენათ კაი ხსოვნა წამყვებოდა მათი იმ საიქიოს, სადაც არ არის არცა ფლავი, არცა ფალუსტაკი, არამედ ყოველივე სათნოება და სულიერი სიყვარული ქართული ძველი წესებისამები. გადავიწერე რა სამას სამოცდასამი პირ-ჯვარი, გულში კი შიშით და კანკალით, ავდგი ფეხი ვაგონში და დაუგდე ყური, აბა როდის მოვკვდები-მეთქი. მიქელ-გაბრიელი თვალს არ მაშორებდა. ყველგან ჩამტვრეული ხიდი და ფეხმარდი რელსები მელანდებოდენ. მეგონა ან რელსები გაექცევიან პოეზდს, ან პოეზდი გაექცევა [illegible]ლსებს სხვა რომელიმე პოეზდის საპოვნელათ და საკ[illegible]ცნელათ მეთქი. მაგრამ მიხსნა ღმერთმა და ვტკუცე თავი შიგ კაკალ ქუთეისში. მივიკითხ-მოვიკითხე, აქ ნაცნობს წავაწყდი, და გზა ავუქციე, ე. ი. თვითონ ამიქცია გზა, ვინაიდან განქრა უწინდელი ქართული პურ-მარილობა, იქ უცნობს შევეკითხე რავარ მიდის ქუთაისში თეატრის საქმე, სასუდოთ ხომ ალარავის ეძახიან-თქვა და ბოლოს კი ამოვყავ თავი ისევ რედაქციაში: დიახ, ვინახულე ქუთაისის ახალი გაზეთი, სახელათ „მაჭახელა“. ღმერთო ჩემო, რა არ ეწერა შიგ! ახალი ამბები: «ქუთაისის ბულვარის ზემოთა ნაწილში მეორე სკამის პირველ ნახევარზე გუშინ ერთი კაცი და ერთი ქალი ისხდენ. ქალი ლამაზი იყო, კაცი ეარშიყებოდა. ამბობენ, მალე ჯვარი უნდა «იფსკვნანო».

„ჩვენს სობრანიაში დიდი მითქმა-მოთქმაა იმის შესახებ, თუ სილოვანის „ფიქრები და აზრები“ როგორ მოეწონა ბურების გამოჩენილ სარდალს დევეტს. ამბობენ, დიდებულ მგოსანს კრიუგერისაგან სამადლობელი ადრესი მოუვიდაო“.

„გამოვიდა ქურიდან შემწვარი კართოფილი და სტაფილო, რომელსაც ქვარიანის ლექსთა კონა ეწოდების. ავტორს პარიჟის ბასტილიის კედლებთან უწერია ზოგიერთი ლექსები, ვალდეკ რუსოს მოუწონებია შიგ გატარებული პოლიტიკური აზრები, ხოლო ვიქ[illegible] უთქვამს: „ეგ პოეტი ძლიერ წინ წავა და იქნება ჩემამდეც მოაღწიოსო“. წიგნი პოეტის ესტეტიურ გემოზე დაბეჭდილი, და ღირს 1 ფრანკი და 2 სუ“ („სუ“ ფრან-

გული სახელია, ქართულათ კომპრესებსა ნიშნავს პოეტებისთვის).

„გუშინ რიონმა ყელმოჭრილი წალები ჩამოატარა. ამბობენ, ყელები ეკუთვნოდა ექიმ ნ-ს და პალოშები კი საპოჟნიკსო. ხოლო რადგანაც საპოჟნიკს ყელების მოკვრებაში ფული უთხოვია აქიმისათვის, მას საცოდავი წალები დანის მსხვერპლათ გაუხდია. იმედია ვისგანაც ჯერ არს ყურადღებას მიაქცევს“.

ჭიათურის ნააქიმარს ვ. წერეთელს ჭიათურას გარეთ გამოღვიძებია, და მოგონებია, რომ ერთხელ მას ჭიათურაში ეძინა. ბ-ნი ზდანოვიჩი ამოწმებს ამას ქვა-ნახშირის ბეჭედით.

მარგანეცის სინდიკატს ბერლინიდან მიუღია ორი გემი ოქრო, ამბობენ ამ ფულით თოკები უნდა დაგრიხონ სინდიკატის წევრების კისრებისთვის (ალა «სახრჩობელა»).

ქუთაისის მამამთავრებს შთაგონებით დაძინებიათ, ხმა დადის ოპოზიცია მახათებს ამზადებს მათ გასაღვიძებლათო.

ქუთაისში ერთ ადვაკატს რეჩის დროს ცხელი კართოფილი ჩაუდვია პირში, რისთვისაც ამხანაგებს თხოვა, დაენიშნათ სამედიატორო სამართალი. პასუხის გებაშია მიცემული: პირი, ენა და კუჭი.

ბ-ნ ექიმ თიკანაძეს ახალი საშუალება გამოუგონია გადასადებ სენის შესატყობ-გამოსაკვლევათ. ეს არის მეტის მეტი ზრდილობა ავათმყოფის პატრონებთან. იმავე აქიმს აღმოუჩენია, რომ ავათმყოფი უეჭველათ მზიან დღეში უნდა გაისინჯოს. რადგანაც წვიმიან დღეს და ბნელ ღამეს აქიმური ტერმინით «არ მცალიან» ქვია. და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, სულ ახალი ამბები და ახალი აზრები. ასე იცის ქუთაისმა! ის დუღს და გადმოდის, გადმოდის და დუღს, მაგრამ მეც რომ მის დუღილს არ ვემსხვერპლე, მალე გავეშურე ქვევით ბათომისაკენ გზაზე კიდევ ოზურგეთს წავაწყდი, მაგრამ საბათუმო თავი დავძალე, რადგანაც მეშინოდა ეს ალალ-მართალი თავი სასამართლოში არ ეკრათ.

— თავიანათ დამიბერდი-მეთქი, მივაძახე ბათომს და შევალე მისი ბჭე. ყვავილები ქალაქის ბაღიდან ივანოვმა უფასოთ მიფეშქაშა, მეც უფასოთ დავუთმე თავი ბათომს და შემდეგ კი გავეშურე ქართული სკოლისაკენ, სადაც წერა-კითხვის გამგეობამ გამატანა მათრახი და თოკი. მათრახი ბავშვების სკოლიდან გამოსარეკათ და თოკი კი მასწავლებლის ჩამოსახრჩობათ. შევასრულე რა ჩემი მარშრუტი, ისევ თფილისს დავუბრუნდი და მივაშურე თფილისის დიასახლისებს მისალოცათ-სავიზიტოთ შემდეგი რომანსით:

დღეს ქალები ფუსფუსებენ
ფალუსტაკის გარეშამო,
მათი ლხენა და ჭიკჭიკი
გულისათვის არს საამო.
აქ მითქვია, იქ მითქვია,
იმის გამო, ამის გამო.
ნეტა, ღმერთო, ახალწლის დღე
რომ მალე არ დაღამო,
მთელი წლისა ჭორის ბოხჩა
ერთ დღეს უნდათ გადაშალონ
კასპიის ზღვა შავ ზღვასა კრან
ორივ ერთათ დაამშრალონ,
ათამაშონ თვალ-წამწამი
და ნერვები აიშალონ!

რიგოლეტო.

---

## საახალწლო ნაპერწკლები.

უთაურ მეთაურებს:

მათრახი არა სჭირია
გამოწვრთნილ ბედაურსაო;
მაგრამ რაღა ქნათ, როს გხედავთ
უთაურ მეთაურსაო?..

ზნეობის ჩალანდარს:

სოფელი ნახა უმაღლო,
უჯოხოთ იარებოდა,
დაბალ ღობეზე მხტუნავი
მაღალს ვერ ეგარებოდა!
კოდო-ბუზების მხედველსა
სპილო ვერ შეუმჩნევია:
და თვისი ჩლუნგი მახვილი
წვრილებზე მოუქნევია!..

მათ, ვინც აქ თავს იცნობს:

გზათ მიდიოდა გლახაო,
გაჭხედა—ნალი ნახაო!—
„თუ სარგინეთი დაიქცა,
თქვა—ბედი გამეჩარხაო!“

ზოგიერთ ქველმოქმედთ!

რას დავაბრალო, რომელ სენს—
ნერვთ აშლილობას, დამბლასა?
თვარა შინ ბალღებს ჭშიოდესთ,
გარეთ რა უნდა ტაბლასა?!.

„ცნ. ფ.“ პუბლიცისტს:

რეცეპტებს წერთ, მაგრამ ჯერე
დაადგინეთ დიაგნოზი,
თორემ სნეულს ვერ განკურნავს
თქვენისთანა ჯანაოზი!..

ჟურნ. „მოგზაურს“:

დღეს ჩვენში გზები ცუდია,
ხან ყოვლად უვარგისია
და, თუ ერთ ჯაგლაგს იყიდი,
არ დაგჭირდება ხისია!
შეჯდები, თანვე წაგყვება
მგ შენი ბარგი-ბარხანა!
ფრთხილათ კი—არსად დაგიმტვრეს,
სარედაქციო ქარხანა!..

„ჯეჯილს“:

ქართველ მშობლებსა რომ მინავთ,
შენ ვერ გერევა მილიო,
გსურს აღუზარდო სამშობლოს
კარგი მამულისშვილიო;
ქართველ ყრმას შეაგნებინო
ქართული ანა-ბანაო...
იგურთხოს, ვინცა აღგზარდა,
ჩვენ ყრმებთან გამოგგზანაო!..

„ისარი“

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალწლის ღამეს

(ფანტაზია).

## I.

იმ დროს, როდესაც ქრისტეშობისთვის უკანასკნელმა დღემ თვალი მოხუჭა და აწმყოისა და წარსულის შუამავალმა ღამემ წყვდიადით დაჰფარა არე-მარე, გამოვედი ჩვენი მყრალი კანტორიდან და თავ-ჩაღუნულმა გავსწიე ბინისაკენ. მივდიოდი უგემურათ, მანქანასავით. არავითარი აზრი, არავითარი სურვილი, გარდა იმისა, რომ მალე მივთრეულიყავ სახლში და მივგდებულიყავ დასაძინებლათ, ჩემ გულ-გონებაში არა ტრიალებდა. მთელი დღე ვმუშაობდი, როგორც ხარი, როგორც პირუტყვი! აუარებელი რიცხვები ჩამოვთვალე ამ დღეს, აუარებელი სიმდიდრე ვიანგარიშე, ათასჯერ ავწონ-დავწონე შესავალ-გასავალი იმ დაწესებულებისა, სადაც მე ვმსახურებდი და ამ მუშაობით ისე გამოვყეყეჩდი, რომ სულ მთლათ გადამავიწყდა ჩემი თავიცა და შინიდან დანაბარებიც.

— ხვალ ახალწელიწადია, ტკბილეულობა არ დაგავიწყდეს, უთუოთ იყიდეო,—დამაბარეს დილით რომ სამსახურში მივდიოდი. ღვთის წინაშე ერთხანს კი ვფიქრობდი დანაბარების ასრულებაზე, მაგრამ უთვალავმა საანგარიშომ ყველაფერი გადამავიწყა. «ათი ათასი, ასი ათასი, მილიონი», ვბუტბუტებდი ჩემთვის; სად მიდის, სად ამდენი სიმდიდრე, რა გვრჩება ჩვენ დღე და ღამ თავს რომ ვაკლავთ-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემ თავს, ხოლო პასუხის ნაცვლათ თვალწინ ისევ ის წყეული რიცხვები დამიხტოდენ. მთელი დღე თავ-ჩაღუნვით მომუშავეს სისხლი თვალებში მქონდა მოწოლილი და თავი ისე დამძიმებოდა, გეგონებათ ტვინის მაგივრათ შიგ ტყვია ჩაუსხამთო. მთვრალივით მოვფრატუნებდი ქუჩაზე და მწვავე საკითხავების ნაცვლათ, ისევ და ისევ ნაანგარიშევი რიცხვები მელანდებოდა. ისე ვიყავ გაჟღენთილი ციფრებით, როგორც სირაჯი რუმბების სუნითა.

წინ ვიღაც მსუქანი კაცი შემხვდა. მუცლათ იყო ის ოჯახქორი გადაქცეული: თავი, კისერი და ბეჭები გასწორებული ჰქონდა და ისე სწრაფათ მიგორავდა, როგორც ღელოზე გადასროლილი ბურთი. გზა მივეცი, მაგრამ თვალი კი გავაყოლე. ზურგიდან ეს კაცი ვეებერთელა ნულათ (0) მეჩვენა. ერთი, ორი, სამი... გამახსენდა ქაღალდზე ჩამოწერილი მილიონები და ერთხელ კიდევ რომ გავხედე მიმგორავ კაცსა, კაცი ვეღარ გავარჩიე, ჩემ წინ ქუჩაზე მრავალი იმისთანა მრგვალი ხალხი იდგა, მათ წინ კიდევ ვიღაცა ახმახი კაცი ამართულიყო და ისე დამწკრივებულიყვნენ, როგორც 1.000,000. თვალები მოვიფშვნიტე და მწარეთ ჩავიცინე. დალახვროს ღმერთმა, უაზრო და უმიზნო შრომა სწორეთ ჭკუიდან გადარევს-მეთქი ადამიანსა, წავიბუტბუტე და ფეხი ავაჩქარე.

— კაცო, სადა ხარ აქამდისა?—მისაყვედურა ჩემმა დედაკაცმა, როდესაც სახლში შევედი.

— მილიონებში, ჩემო კარგო, მილიონებში!—გავეხუმრე ჩემ მაროს და მოჭრილ ხესავით ტახტზე დავეშვი.

— თვალი მილიონებსაც დაუდგება, ცოტა რამ ტკბილეულობა მოგეტანა, მე ის მერჩივნა. დაგავიწყდა, ყეყეჩო? ღიმილით მისაყვედურა მარომ და ისეთი ალერსიანი თვალით შემომხედა, რომ გული გამინათლდა.

— აი ტკბილეულობა-მეთქი, შევძახე ჩემ მაროს, წამოვიწიე და თვალებში ჩავკოცნე. ცოდვილი კაცი გახლავართ. ეს იყო ჩემი ერთათ ერთი [illegible] დღის უაზრო შრომაში აღებული.

მარომ ბუზღუნი დამიწყო, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ცოლის ბუზღუნი ერთგვარი არშიყობაა. მალე შევრიგდით, რაც ბედმა მოგვცა იმას დავჯერდით და ცოტა ხანს უკან ცეცხლზე ჩვენი მამა-პაპური გოზინაყი შიშინებდა. ფარვანასავით დატრიალებდა თავს გოზინაყის ტაფას მარო-ქალი და ისე გაერთო გოზინაყის ხარშვაში, რომ მე აღარც კი მოვგონებივარ. მე კი წამოვწექი ტახტზე და ფიქრებში გავები. მაროს ბუზღუნის ბრალი იყო თუ, არ ვიცი, ისე მოვითართე, ძილი გამიკრთა და ნელ-ნელა ოცნების მორევში შევტოპე. ლამპარი ოდნავ ბჟუტავდა, ოთახში სიჩუმე გამეფებულიყო. თვალებ დაჭყეტილი მივჩერებოდი ოთახის ერთ კუთხეს და ვფიქრობდი. რას, ან რაზე? მართალი მოგახსენოთ, გადაწყვეტით ვერ გეტყვით. ვფიქრობდი ყველაფერზე, რაზედაც კი შეუძლიან ფიქრი სხვას ხელ-ფეხათ გადაქცეულ ადამიანსა. დრო გამოშვებით ფიქრთა დენა შეიწყდებოდა ხოლმე და თვალ-წინ ქეშლებოდა თვიური «ანგარიში» ჩვენი კანტორისა. იქ ხაზი არაა სწორეთ გასმული, აქ მეტის-მეტი მჭლე რიცხვი ჩამისვამს, ერთ ადგილას წყალმანკიანი კაცივით გაბერილი ნული ჩამინასკვავს, ერთი სიტყვით უაზრობა, უშნოობა, უშინაარსობაა მთელი ჩემი „ანგარიში“. აქტივი, პასსივი, ბალანსი. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა, რისთვის მოვიკალ თავი, თუ კი ასეთი უშნო ანგარიში გამოვიდოდა. ნეტა შეცდომები მაინც არ მქონდეს. მაგრამ განა მთელი ჩემი ცხოვრება შეცდომა არაა!.. რას ვაკლავ თავს ამ უაზრო სამუშაოს, ვისთვის რა ხელსაყრელია ჩემი შრომა?.. ლუკმა პურს მაძლევს? ოხრათამც დარჩება პირუტყვობით ნაშოვნი ლუკმა პურისა. მაგრამ ეს ოხერი მუცელი! ნეტა მალე მაინც დაიწყონ კუჭის ამოჭრა, მგონი ვიღაცა ჭკვიან კაცს მოუგონია ასეთი დოსტაქრობა! რა კარგი იქნება და! აქ ისევ შემიწყდა ფიქრთა დენა და ისევ ის წყეული რიცხვები ამითამაშდენ თვალწინ. სწორეთ გადამრევენ ეს სატიალონი!.. ოხ მე!..

— რა მოგივიდა, კაცო! შემომძახა სამზარეულოდან მარომ.

— ჰა, მე? ჰო! არაფერი! მუნჯივით წავილუღლუღე და თვალები მოვიფშვნიტე.

— ნუ დაიძინებ, გოზინაყი ახლავ მზათ იქნება. კიდევ გამომეხმაურა მარო.

— მოთმინებათა ვარ მეთქი გადაქცეული, ორ აზროვანათ გავძახე ოთახიდან და ახლა ამ სიტყვამ «მოთმინებამ» დამაფიქრა. მოთმინება, მოთმინება, ეს ხომ რაღაც უცნაური შემეცნებაა, ეს ხომ შეზღუდვაა ყოველივე უპირველეს მოთხოვნილებათა, ეს ხომ ადამიანის გამაბეჩავებელია. მაშ რა უნდა ვქნათ? დავეკითხე ჩემ თავს.

— რასა ბურტყუნებ, კაცო!—გამაწყვეტინა ფიქრი ისევ მარომ.

— თუ კაი ქალი ხარ, ამიხსენ რა აქვთ საერთო ერთმანერთში მოთმინებასა და გოზინაყის ხარშვასა-მეთქი,—დავეკითხე მაროს.

— რა უცნაური რამა ხარ!—გაიკვირვა მარომ და გულიანათ გადიხარხარა. მეც ტახტზე დავიწყე ხითხითი. მართლაც სასაცილო იყო ჩვენი მდგომარეობა. მარო მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეშიაც ვერ მიხვდებოდა მაშინდელ ჩემ გულის თქმასა. მე კი ვფიქრობდი: მოთმინება ისევე ხარშავს კაცსა, როგორც ცეცხლი გოზინაყსა-მეთქი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო შორიდან მომავალი ყრუ სიმღერის ხმა არღვევდა მკვდრულ მდუმარებასა. ყური დავუგდე. მღეროდა ჩვენ ქვევით სართულში მცხოვრები მუშა კაცი. მღეროდა ისე გულ-საკლავათ, ისეთ მწარე ჰანგზე, რომ სულ ერთიანათ დავიშალე. სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ თვით ჰანგი, თვით კილო სიმღერისა მოწმობდა, რომ მუშა იგი მოთქვამდა თავის ტანჯულ ცხოვრებასა. შორით გადმოხვეწილი, უპატრონო, უთვისტომო მუშა იგი, ვინ იცის, რა ჯოჯოხეთს ატარებდა გულით. იქნებ ტიროდა თავის სამშობლოს უბედურებას, თავის ამხანაგთა უმწეობას, ან იქნება ოცნებობდა საყვარელ არსების შესახებ, იქნება შიოდა კიდეც და მწარე სიმღერით თავს იტყუებდა. ძნელია, ძნელი ადამიანის გულის თქმათა გამოცნობა, მხოლოთ ჩემთვის კი ცხადი შეიქნა, რომ მუშა იგი ბედნიერი არ იყო. მისმა მწარე ჰანგმა მეც მომაგონა ჩემი წარსული და აწმყო, მეც შემსვა ოცნების ფრთებზე და გამიტაცა მეცხრე ცაში.

ოცნება ხელმოკლე, სუსტი ადამიანის საქმეა, მაგრამ ტკბილია, ტკბილი დედის ძუძუსავით. დროთა ბრუნვისა და გარემოებისაგან გათახსირებულ ადამიანს ოცნებაც რომ არა ქონდეს, პირუტყვს აღარაფრით ჩამორჩებოდა. ოცნება დაფერადებული დვრიტეა მომავალისა და თუ გული გულობს, იქნება ოდესმე განხორციელდეს კიდეც ის, რაზედაც მარად ოცნებობს დატანჯული ადამიანი.

მეტის მეტი ფერადი ოცნება მომივიდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ცოტა მშიშარა გახლავართ. ბევრათ თუ არა ცოტათი მაინც მეზარება საკუთარი ძალით იმის მოპოვება, რაც ყველა ადამიანს ეკუთვნის. ჩემი მამა-პაპა იმ თავით ამ თავამდისინ მოწყალებითა ცხოვრობდენ და მეც მათ[illegible]შვილი არა ვარ? ეს ოხერი დროც რომ ისეთია?! ყველას სხვისი ხელით უნდა ნარის მოგლეჯა და ნარის მომწყვეტები კი ძალიან ცოტანი არიან, ან ნეტა ვაფასებდეთ მაინც!.. ჰო, იმას ვამბობდი, ძალიან ფერადი ოცნება მომივიდა-მეთქი.

ვოცნებობდი: ნეტა რას მოგვიტანს ახალი წელიწადი? რასა? ვეკითხებოდი ჩემ თავს. რა უნდა მოგვიტანოს, თუ კი ისეთები დავრჩებით, რაც დღესა ვართ. გამაჟრჟოლა, ჩვენი ყოფა რომ გამახსენდა, შიშის ქარმა ამიტანა, ჩემი თავი რომ მებრძოლათ წარმოვიდგინე. არა, ძმავ, ყველა შავწყალმსაც უზიდნია, თუ კი მეც აღარ ვიქნები-მეთქი. სუსტ ადამიანებს სამარცხვინო სიცოცხლე გვირჩევნია სასახელო სიკვდილსა. სიკვდილი! არარაობა! გაქრობა დედამიწის პირიდან! ცუდი რამ გახლავთ. მე მიყვარს მზე და მთვარე, მიყვარს ვარსკვლავებით მოჭედილი სამშობლოს ცა, მიყვარს ბუნება, ჩემი ქვეყნის ხე, ტყე, მთა და მდელო საიქიოს მირჩევნია. არა, მე სიცოცხლე მწყურიან, სიცოცხლე, გესმით! მაშ ნება მომეცით ვიცოცხლო, ვიცხოვრო ადამიანურათ. მერე ვინ გიშლის? ვინა?! ადამიანისავე ვერაგობა და გაუტანლობა!

ოხ, რა კარგი იქნება უჩინმაჩინის ქუდი რომ მქონდეს-მეთქი, სულ მთლათ გადავტოპე სასუფეველში. დი[illegible] იქნება უჩინმაჩინის ქუდი. დაიხურე, ბატონო, თავზე და სადაც გინდა მიბრძანდი. რაც გინდა გააკეთე, როგორიც გნებავს ისეთი ბრძანება გაეცი, მე თქვენ მოგახსენოთ ხელათ არ დაგიჭირონ და პირში ბურთი არ ჩაგჩარონ!

გამოეცხადე, მაგალითათ, რომელიმე მტარვალს და უბრძანე: მე მიქელ-გაბრიელი ვარ, ამ წუთში სულს ამოგხდი, თუ მტარვალობას თავი არ დაანებე-თქო. ახ, რა კარგია უჩინმაჩინის ქუდი. ჩემისთანა მცონარას სხვა არა უშველის-რა!

## II.

აღარ მახსოვს მეძინა თუ მღვიძა, მე მგონია ბურანში უნდა ვყოფილვიყავი. ეს კი მახსოვს, რომ უჩინმაჩინის ქუდზე მეოცნებე უცბათ დროთა ბრუნვის საბძანებელში გავჩნდი.

უკვდავების სავარძელზე წამომხართეძოვებული დროთა ბრუნვის გამგე ნაღვლიანათ გადმოცქეროდა მიძინებულ სოფელ-ქალაქებს და მოპირქუშებული ღრმა საგონებელს მიცემოდა. ცის მნათობნი კატასავით შეცქნაოდენ თავის მბრძანებელს და ხმაგაკმენდილნი ოდნავ, სულ ოდნავღა ბჟუტავდენ. მე? მე ხომ სულ არარაობათ გადავიქეცი.

ენით გამოუთქმელი საიდუმლოება სუფევდა დროთა ბრუნვის გამგებლის გარშემო, კალმით აღუწერელი მედიდურება და სიბრძნე იხატებოდა თვით ბატონის სახეზე. დრო და ჟამი, თვით მეფე მეფეთა და მბრძანებელი ყოველივე არსისა ქვეყნის ავკარგზე ფიქრობდა.

საბრალო „ძველი წელიწადი“ დასჯილი ჯარისკაცივით გამოჭიმულიყო დროთა ბრუნვის წინაშე და ერთი რაღაც აყლარწული და აბრანძული, სწორეთ შეგებრალებოდათ. ქიაყელასავით გაძაფული, ლანდივით გაკვროდა მიდამოს და არარათ ქცეული მორიდებით ღრუბლებს ეფარებოდა.

— მოხვედი?—დაიგრგვინა დროთა ბრუნვის გამგემ და ძველ წელიწადს ზურგი შეაქცია.

— ღირსი არა ვარ თქვენი სახის ხილვისა, გიახელით! კანკალით წამოილუღლუღა ძველმა წელიწადმა.

— რა ამბავია ქვეყნათ.

— მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

— ციც! ნუ სტყუი!

— ტყუილი როგორ გეკადრებათ.

ბატონს ხმა აღარ ამოუღია. ცოტათი შეიშმუშნა, თვალები გადააბრიალა და ხელ-უკუღმა ისეთი სილა სტკაცა საბრალო მოხუცს, რომ იქვე სული განუტევა.

აირია მთელი სამყარო. ვარსკვლავები ერთმანერთს ეცენ, ზოგი მათგანი თავდაჭერილის სიცილით თავქვე დაეშვენ და პირბადე გადახდილ მთვარეს ამოეფარენ. ცის დასავალზე მოსრიალე ღრუბლებმა კამარა შეკრეს და გაფითრებულნი დრონი წელიწადისა რიგ-რიგათ ჩამოწკრივდენ. მეც, როგორც მოგეხსენებათ ადამიანის სიმხდალე, მწყერივით გავინაბე და ზამთარს ამოვეფარე. თეთრებში გამოწყობილი ბებერი ზამთარი ცივი იყო, როგორც სამარე და სპეტაკი, როგორც მყინვარი.

დიდხანს დუმდა დროთა ბრუნვის მბრძანებელი, მერე მშვიდათ მიმოიხედა და მის თვალთა შუქი სვეტ-სვეტათ ჩამოდგა ცის ტატნობზედა.

— ზამთარო! დაუძახა ბატონმა.

— აქ გახლავართ ნატერფალი თქვენი ფეხისა, ჩემო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფეო! ამოილულღულა ზამთარმა.

— დრო არის წახვიდე შენ საბძანებელში.—ყრუთ უთხრა ბატონმა, ფეხის კუნთიდან ვეებერთელა ნაჭერი ხორცისა გამოიჭრა და შიგ კბილებში სტკიცა.

— აჰა წაიყვანე ქვეყნათ. ეს იქნება ახალი წელიწადი. უბრძანე ტყუილები არ ისწავლოს. პირდაპირი იყოს, როგორც შურდული და შეუპოვარი, როგორც შავარდენი. ახლა კი მოშორდით, მოსვენება მჭირია.

ჩამობნელდა. გაბატონებულმა ზამთარმა ყველას თითო მუჯლუგუნი უთავაზა და მერანივით მოუსვა თავდაღმართზე. ერთი მუჯლუგუნი მეც მომხვდა გვერდებში და ისეთი მეტკინა, რომ კინაღამ არ დავიყვირე. მაგრამ შემეშინდა მეორეც არ მითავაზოს მეთქი და ისეთი მოვძურწე, რომ სად თავი მქონდა და სად ტანი ველარა გავიგე-რა. გამოვრბოდი და თან უკან-უკან ვიხედებოდი. საშინელება რამ შევნიშნე. გაავზნევებულ ზამთარს ერთი ფეხი ცის ერთი კიდისათვის მიებჯინა, მეორე ფეხი—მეორე კიდისათვის. ყბები საზერველათ გაეხადნა, ხელები არნადათ და ისეთი კორიანტელი დაეყენებინა, რომ საბრალო ჩვენი ქვეყანა თავზარდაცემული დამბლასავით ცახცახებდა. გულ-გახეთქილმა სახლის გზას ველარ მივაგენი და თოვლით დაფენილ მინდორზე ბატივით დავიწყე ყიალი. მციოდა, მეშინოდა, თან გზისა ველარა გამეგო-რა.

— შეგეშინდა? მომესმა ვიღასიც ხმა. ჩემ გვერდით ჭაბუკი დავინახე.

უმანკო იყო როგორც მტრედი და შვენიერი როგორც იესო.

— რას დახეტიალებ აქა, ვინა ხარ? დამეკითხა უცნობი.

— მე... მე უჩინმაჩინის ქუდს ვეძებდი. ძლივს წამოვილულღულე.

— ხა, ხა, ხა, მცონარა ყოფილხარ! ვაჟკაცურის უდარდელობით მიპასუხა ჭაბუკმა და ხელი მხარზე დამადო, ისეთი მძიმე ხელი ჰქონდა, როგორც ტყვია. მეწყინა მისი თავხედობა. ხანჯალი რომ მქონოდა უთუოთ გამოვფაშვამდი, მაგრამ საბედნიეროთ ამ ჟამათ ევროპიულ ტანისამოსს ვატარებდი.

— ნუ ფაფხურობ! გულდინჯათ მიპასუხა ჭაბუკმა, მომკიდა ხელი და ისეთი შემბერტყა, რომ სულ თავს ბრუ დამესხა. გონს რომ მოვედი, ტრიალის მინდვრის ნაცვლათ ჩემს ნაცნობებსა და მეგობრებს შორის ვიჯექი და ქვეყნის ავ-კარგზე ვსაუბრობდით. ის ჭაბუკიც თან მახლდა. ჩვენ უკვე დავძმობილდით.

## III.

უცხო ჭაბუკს ჩვეულებისამებრ წვეულება გავუმართე. დიდი და პატარა ჭკვიანი და რეგვენი, ნასწავლი და უსწავლელი ყველა მოვიპატიჟე. რა ვქნა, ხელიდან არც ერთი თითი არ მოიჭრება. ყველა ჩვენები იყვენ, ყველა მინდოდა მეჩვენებინა უცხო კაცისათვის. აქ ბრძანდებოდენ ჩვენი მწერლები, მასწავლებლები, საზოგადო მოღვაწეები, მღვდლები, ბერები და სხვანი და სხვანი. დავსხედით ჭამათ, მოვემზადენით სასმელათ. თამადათ ერთი ახირებული კაცი ამოვარჩიეთ, იმ დალოცვილის შვილმა სულ წელები დაგვწყვიტა ღვინის სმითა. ვსვამდით ხარივით და ვჭამდით მარხულებივით. ბოლოს ისე ამოვიჟუჟენით, რომ ერთი ერთმანეთისა აღარა გვესმოდარა.

ერთი ალთას გავრბოდით, მეორე ბალთას, ვლაპარაკობდით საერთოთ, ერთმანერთს სიტყვას პირში ვაცლიდით, ვცდილობდით ერთი-ერთმანერთზე დიდი გულშემატკივრობა გამოგვეჩინა ქვეყნისა და ერისადმი, თუმცა კი (ჩვენში კი დარჩეს) თითოეულს თავისი თავი უფრო მოგვწონდა, გვიყვარდა და გვიღირდა. როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, ჩვენმა სუფრამაც უსიტყვებოთ არ ჩაიარა. სადღეგრძელო და სიტყვა, სამადლობელი და სამაგიერო სიტყვა ერთი მეორეზე გადავაბით. მეტის მეტათ ვმხიარულობდით. მართალია ათასგვარი ხასიათისანი შევიყარენით, მაგრამ ერთმანერთს მალე აულეთ ჰანგი და მივხვდით, ვის რა და როგორი სიტყვა ეკადრებოდა. იყვენ ჩვენ შორის იმისთანებიც, რომელთაც გაზვიადებულათ ჩათვალეს მათი ღვაწლის ქება, იყვენ ისეთნიც, რომელთაც კინაღამ არა გვცემეს, მარტო იმიტომ, რომ მათი ღვაწლი მოკლეთ, ან სულ არ მოვიხსენიეთ. ერთის სიტყვით ნადიმი გვქონდა ჩვენებური, ძველებური და ამ ნადიმზე მთელი ჩვენი გულის თქმა გადმოვბეჭდეთ.

ყველაზე ბევრი ქება-დიდება რასაკვირველია ტოლუმბაშსა ხვდა წილათ და დიდათ ნასიამოვნებიც დარჩებოდა, რომ ბოლოს არ დაგვემლაშებინა. მოგეხსენებათ, რომ ნასვამსა და გულ-ზვიად კაცს ცოტა რამ ეწყინება და აი ამ „ცოტა რამ“ თავისი გაატანა.

— შენ, დიდებულო მწერალო, მიჰმართა თამადამ ერთ ახალგაზრდა მწერალს (ჩვენში მწერლები და მოღვაწეები არ ბერდებიან), მე ვსვამ შენ სადღეგრძელოს. დიდებული ხარ, დიდებული, მეტი ლაპარაკი რა საჭიროა, ქვეყანა შენგან მოელის ხსნასა. მე ვამბობ ამასა და იმედი მაქვს სხვებიც დამეთანხმებიან.

ყველამ ტაში დაუკრა.

სიამოვნებისაგან დამდნარი მწერალი ზეზე წამოდგა, ჩაახველა აქეთ იქით მიიხედ-მოიხედა და როდესაც ტაშის ცემა შეწყდა, მიჰმართა თამადას.

— მე, ჩემო, ბატონო, მართალი მოგახსენოთს ბოროტათ არა ვხმარობ ჩემ ნიჭსა და ვცდილობ სარგებლობა მოვუტანო ქვეყანასა, მაგრამ... ჰო, მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ შემდეგი: დიახ, შემდეგი. მე თუ ერთ კოცნაზე მთელ მოთხრობას ავაშენებ ხოლმე, სამაგიეროთ თქვენ, ბატონო თამადა, მეთაურობთ არამც თუ თქვენ თავობას, არამედ მთელ სუფრასაც და აქა მბძანებელთაც. მაშ ღმერთმა გვიცოცხლოს თქვენი თავი. ალერსიანათ გადაუხადა მადლობა მადლობისათვის აღელვებულმა მწერალმა და იქვე ჩაჯდა.

— მაგაზე უკეთესი სხვაც ბევრი გვყავს. წაიბურტყუნა ვიღამაც.

— სმა-ჭამაში, რასაკვირველია, გესლიანათ დაუმატა სხვამ.

— რაო, რაო! იწყინა მესამემ.

— ბატონებო, ისევ დაიწყო თამადამ, როდესაც ჩოჩქალი და ტაშის ცემა შესწყდა, ეს ღმერთმა აცოცხლოს ვინც ჩვენ უზრუნველ ცხოვრებას ხელს არ შეუშლის; გაუმარჯოს ბატონებს, მღვდლებს, ბერებს და ამ უკანასკნელთა ლოცვა-კურთხევა ნუ მოგვაკლოს.

— ამინ, წამოიძახეს მღვდლებმა და ერთმა მათგანმა მგონი რაღაც ქადაგებაც კი თქვა.

ნება მიბოძეთ მეც მოგახსენოთ ერთი ორი სიტყვა დაიწყო უცხო ჭაბუკმა. ყველამ სული განაბა.—მე მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალია უცხო ვარ თქვენში, განაგრძო სტუმარმა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ რომ ძალიან ცუდათ ირჯებით, რომ მარტო ერთმანერთის ქებაში ხართ. მე კერძოთ არავის სადღეგრძელოს არ ვსვამ. ერთი უმეორროთ გზა აბნეული ცხვარია, რომელსაც მგელი ადვილათ წაავლებს პირსა. ერთი კაცი რაც უნდა ნიჭიერი იყოს, ბევრის ოდენას ვერ გააკეთებს, ამიტომ მე ვსვამ ყველა მშრომელთა სადღეგრძელოს. ვისურვოთ, რომ ყველას ერთმანერთისათვის ხელი მიეცეთ და...

— რაო! როგორ ბედავთ თავხედო ყმაწვილო, ჩემ წინ ლაპარაკსა, მე თამადა ვარ და რაც მე ვთქვი, ის უნდა გაგემეორებინა. არა, როგორა ბედავ მეთქი შე... შე... თამადას სიბრაზისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა, მაგრამ მას მიეშველენ მისი დამქაშნი და ისეთი აურზაური შეიქმნა, რომ მეორეთ მოსვლა გეგონებოდათ. ჯამები, თასები, ჯიხვები, ჭიქები დანაჩანგალი ერთმანერთში აირია. ისროდენ აქეთ იქით და თან საშინლათ ილანძღებოდენ. ყველაზე ხმა მაღლა უცხო ჭაბუკი ყვიროდა: მე ახალი წელიწადი ვარ და ჩემ საბრძანებელში უერთმანერთოთ დაიღუპებითო. მაგრამ ვიღას რა ესმოდა? მე შიშისაგან დავილიე, შევძვერ მაგიდას ქვეშ და რომ ვეღარ მოვახერხერა, გმინვა დავიწყე და კბილებს ვაკრაჭუნებდი.

— რა გაბღუვლებს ადამიანო, ადექი დაბერდი გოზინაყითო. შემომესმა მაროს ხმა. თვალები გავაჭყიტე და გოზინაყის ნაჭერი ჩამოვართვი.

ღმერთმა გაამოთ ყოველივე სიკეთე, როგორც მე ის გოზინაყი მიამა, იმიტომ რომ მის ღეჭვაში გამოვფხიზლდი და ვიგრძენ, რომ სიზმარში ვყოფილვარ. უცნაურ დღის სიცხადეს უცნაური სიზმარი ცოდნია!..

ია ეკალაძე.

ჭ. ბაქო.

## საკია-მუნი (ბუდა)

მერეჟკოვსკისა.

მთა-გორათ შორის, დაბურულ ხევში,
სად შემოდგომის ქარნი ღმუიან,
უსახლ-კარონი, ღარიბ-ღატაკნი
მდიდარ განგისკენ ეშურებიან.
დასნეულ ძონძთ ქვეშ სიცივით, წვიმით
გალურჯებოდათ ტანი გამხმარი...
ეს სამი დღეა, რაც საწყალ გლახებს
არა ჰქონიათ თავ-შესაფარი.
ხეებთა შორის იმ ავ ამინდში
გლახებმა მოკრეს რაღაცას თვალი,
მიუახლოვდნენ—ნახეს ტაძარი
დაღლილ-დაქანცულთ შეაღეს კარი.
შევიდნენ შიგნით და დაინახეს
სამეფო ტახტზე მათ ამართული
ბუდას ქანდაკი მარმარილოსი,
ოქრო და ვერცხლით იგი მორთული.
კერპს თავზე ედგა ოქროს გვირგვინი,
ბრილიანტებით სულ მთლათ შემკული...
ამ საარაკო სანახაობამ
აუთამამა ჩვენ გლახებს გული.
„ძმებო, ღამეა—თქვა ერთმა გლახამ,
„მოდი ჩამოვხსნათ ძვირფასი ქვები...
„ბევრ ფულს მოგვცემენ, გვექნება ყველა:
„ტანისამოსი და ქვეშსაგები.
„ოქრო და ვერცხლი, ეს ბრილიანტი
„აბა მითხარით ბუდას რათ უნდა?!
„მოდი, ავიღოთ და თან წავიღოთ,
„არ გაგვიწყრება ძლიერი ბუდა.
„მას, ქვეყნის მპყრობელს, მოკირწყლული აქვს
„ლაჟვარდის ფერი ცისა კამარა
„ზურმუხტ-ალმასით, ბრილიანტებით...
„ნუ თუ იმისთვის ესეც არ კმარა?!
თქვა იმა გლახამ; მისცა ნიშანი,
მიუახლოვდა ბუდას ხატებას,
ათრთოლებული რა უპირებდა
იმ ქანდაკების ხელის შეხებას,
ამ დროს იელვა, შეინძრა მიწა,
დაჭექ-დაქუხა, მთამ მისცა ბანი
და იმ ღვთის რისხვით ყველა გაქვავდა,
ყველას დაეცა შიშისა ზარი...
მხოლოთ იმათგან ერთმა თამამათ
წარდგა ნაბიჯი და უთხრა კერპსა:
„შენ მტყუანი ხარ ცათამდე ჩვენთან
„თამამათ გეტყვი ქვეყნის მპყრობელსა;
„ან მოგვატყუეს მეხთა ქუხილთა,
„რომ შენ ხარ სათნო, ხარ კაცთ-მოყვარე,
„ყოველ ღარიბის, შიშველ-ტიტველის
„ხარ შენ, ძლიერო ბუდა, მომხმარე...
„არა, ტყუიან! შენ გვირისხდები,
„გვდევნი, გვაწამებ ძვირფასი ქვისთვის,
„რომელიც ამკობს შენს ოქროს გვირგვინს,
„შენთვის უბრალო, ბრილიანტისთვის!
„გვდევნი, მერე ვის?!. შენ გაჩენილებს,
„შენებრ უკვდავი სულის პატრონთა,
„მხოლოთ ღარიბთა, მშიერ მწყურვალთა,
„მტვერში გასვრილთა, უთვისტომოთა!..
„რა გმირობაა, რომ ისვრი რისხვას,
„გვაფრქვევ ზეციდან ცეცხლის ნაპერწკლებს?
„ნუ თუ იმისი არა გრცხვენია,
„რომ შეებრძოლე ბეჩავ მათხოვრებს!?
„დიახ! გრცხვენოდეს, გრცხვენოდეს ბუდა,
„რომ გვირისხდები, გვართმევ სარჩოსა!
„მე არ მეშინის შენებრ ძლიერსა,
„როგორც ამბობენ, შენებრ სათნოსა!
„...მეფეთ-მეფეო! დაჭექ-დაჰქუხე!
„მსტყორცნე ზეციდან რისხვის ისარი!
„მე ვდგევარ შენ წინ, ვით თანასწორი
„და გეუბნები შეუპოვარი:
შენ სტყუი ჩვენთან"!..
გაჩუმდა გლახა... ათრთოლებული
ჯერ კიდევ ზიზღით უცქეროდა ქანდაკს,
რომ ამ დროს რაღაც სასწაულთ-ძალით
გვირგვინოსანმა თავი დახარა
და იმ საწყალი ხალხის წინაშე
ძლიერმა ბუდამ მუხლთ-მოიყარა.

ვ. ჯაფარიძე.

## მშობლები.

— ჩემი შავთვალა, ჩემი გოგო! ბევრი იცელქე დღეს, მამა, დაიღალე, გენაცვალე!

ოთახში შემოსვლისათანავე მიუალერსა ლევანმა თავის პატარა ქალს, 6-7 წლის სოფოს. მამამ აიტაცა შვილი, ჩვეულებრივ ჩაუკოცნა ტუჩები, თვალები და მერე ტკბილეულობით სავსე კოლოფი მისცა მას.

ჩინებული კაცია ლევან ჯოჯგმანიძე! მარად მკვირცხლი, მხიარული, ცოლ-შვილის ერთგული და მოყვარული. თითონაც ხშირათ ამბობს, როცა სიტყვა მოიტანს: «ცოლ-შვილისთვის მინდა, თუ რამე გამაჩნიაო»

თავის პატარა სოფოსთვის ის ხომ არაფერს დაზოგავს. მშობლიური ალერსი ბევრი მინახავს და გამიგიანია: მაგრამ ლევანის ალერსი განსხვავებული, სამაგალითო რამ არის. ლევანი ერთხელაც არ დაბრუნდება შინ ისე, რომ რამე საჩუქარი არ მოუტანოს შვილს. ერთი სიტყვით, სულ იმის ცდაშია, როგორმე ასიამოვნოს, რითიმე გაახაროს თვისი პატარა ქალი; სამაგიეროთ, ესეც კარგათ აფასებს მამას. დედაც არა ნაკლებ ზრუნავს შვილზე. პატივცემული მაკა დღე და ღამე თავს დატრიალებს მას, მუდამ ფუსფუსებს, სულ იმის ფიქრშია, არაფერი დააკლდეს, არ მოშივდეს, არ მოწყურდეს ან არ შეცივდეს საყვარელ სოფოს. მართალია დედას, ცოტა არ იყოს, აწუხებს ის გარემოება, რომ შვილი მეტათ ჯიუტობს მასთან, მაგრამ რას იზამს, ვერას ახერხებს; მაკა შენატრის ქმარს, რომელსაც არავითარი უსიამოვნება არ მოსდის შვილთან.

მას შემდეგ, რაც ქალაქში დაბინავდნენ, ჯოჯგმანიძეები ოცნებობენ იმ ბედნიერ დღეზე, როდესაც შესაძლებელი იქნება სოფოს მიბარება „ღიმნაზიაში."

— მოუშივდა, გენაცვალე, დედამ არაფერი გაჭამა ხომ? გამოეხუმრა შვილს ლევანი.

სოფომ თავი აიქნია, კოლოფს თავი მოხადა და ჭამას შეუდგა.

— რაიო, რაიო? კი აღარ ვაჭამე სტორეთ! მოვკალი შიმშილით! გამოეხმაურა ქმარს მეორე ოთახიდან მაკა და კარები შემოაღო.

— მე მშიოდა... არ მომცა, გაბუტვით ჩაილაპარაკა სოფომ.

— ვაიმე, რაფერ ტყუის, მომკალი ვინცხამ! სიამოვნების ღიმილით წამოიძახა მაკამ: რაფერ ახერხებს ამფერ ტყუილს! შენ კი გენაცვალე სულში! დაუყვავა დედამ და რამდენჯერმე ჩაკოცნა ბავშვი.— საჭმელს ვიღან გჯერდება! შოკოლადი არ იყო, მარა იმაზე უკეთესი გამომართვა ქთამათ; იგი წეილო ხომ... უქთამოთ ახლა აღარ დგება დილას.

— რა იცოდა რომ იგი გქონდა შენ?

— რაცხა შემატყო! რავა ეშმაკობა არა აქ თუ?

— მოატყუე, მამა, დედა შენი? კმაყოფილებით ჩაეკითხა შვილს ლევანმა და მერე ცოლს მიუბრუნდა... დაგტყუა ჩემმა გოგომ? აა, იგი შენ! გადიხარხარა ლევანმა ო...დო..დო დოო,— თავისებურათ მიუალერსა მან ყმაწვილს და გულში ჩაიკრა.

— კაი ქალია, მარა პირის დაბანა რომ არ უყვარს... რამდენი ვეხვეწე დღეს, ქვეყანა დაიქცა და მისდღემჩი პირი არ დამაბანია! თქვა მაკამ.

— იგი შენ არ დაგიჯერა, თვარა აბა მე ვუთხრა, თუ არ გამიგონოს.

— ხომ დაიბან პირს, მამა?

— ველარა სტორეთ! აბა ნახე ერთი! შენიშნა მაკამ. სოფო ხმას არ იღებოა.

ლევანმა ჩუმათ, მაკას შეუმჩნევლათ, ვერცხლის ფული აჩუქენა შვილს, თვალითაც ანიშნა და თან ღიმილით უთხრა:

— დაიბანე, გენაცვალე, ხომ გეიგონებ.?

სოფომ თავი დაიქნია თანხმობის ნიშნათ.

— ხომ გითხარი! მხიარულათ გადიხარხარა გამარჯვებულმა მამამ.

— მაცალოს მაგ ფინთმა! ძალდატანებული ღიმილით სთქვა მაკამ.

დასტკბა რა შვილის ალერსით, ლევან გავიდა მეორე ოთახში. მაკა და სოფო იქვე დარჩნენ. აქ დედას მცირედი უსიამოვნება მოუვიდა შვილთან. თავის თავათ ეს შემთხვევა სრულიად ჩვეულებრივი იყო მაკასთვის და უმნიშვნელოთაც ჩათვლიდა იგი, რომ მას, ამ უსიამოვნებას, არ მოყოლოდა მეორე, უფრო საგრძნობელი უსიამოვნება, რომელმაც შესამჩნევათ ატკინა გული მოსიყვარულე დედას..

სოფო ტკბილეულობას შეექცეოდა.

— კაი, გეყოფა, გენაცვალე, არ გაწყინოს! მზრუნველობით შენიშნა დედამ.

— აბა, წადი იქიი! შენი კი არა, ჩემია! შეუტია სოფომ.

— ახლა შეინახე, დედა, მერე ჭამე კიდო ნასადილევს,—ისევ სცადა მაკამ და ხელი წაატანა კოლოფს.

— აბა. მე... გაწიწმატდა ბავშვი, კოლოფი კედელს მიახალა, ღრიალით იატაკზე დაეცა და ფეხების ბრაგუნს მოყვა.

— ა, ბატონო, წეილე შენი ჭირიმე, წეილე, შეშინებული - ჩისძახოდა მაკა შვილს და ასაყენებლათ ეწეოდა მას. ხმაურობაზე ლევან გამოვარდა.

— რა ამბავია, რაი? იკითხა მან აღშფოთებით.
— აღარ ანებებს ამას თავს და... — რაცხას იმისთანას იზამ! რავა არ გეშინია, რომ ავათ გახთეს! ვითამ არ იცი, რომ რავაც რამე ეწყინება ყმაწვილს, საშინელ სიცხეს აძლევს და ავათ ხდება! მე მოუტანე ისიამოვნოს, გაიხაროს მეთქი და შენართმევ... გაჯავრდა ლევან.

— მეშინია არ აწყინოს, რა ვიცი!. ამბობდა გავითრებული მაკა. ლევანმა ყმაწვილი აიყვანა, ჩაჰკოცნა და ალერსით უთხრა: — არა, შენია, მამა, შენი, ვერავინ ვერ წაგართმევს, აქ არა ვარ! მოართვით ჩქარა ჩემ გოგონას ყველაფერი...

— რას იზამს კაცი, დუუშლი რამეს იგიც სადარდელი შეიქნა და არ დუუშლი იგიც! წყენით წარმოსთქვა მაკამ

— უნდა უფთხილდე ყმაწვილს, რაცხა უნდა ასიამიავნო თვარა..

— ოჯო რომ უფთხილდები იგი უფრო წყინს მაგას .. სოფომ თვალები მოიწმნდა, გაბუტვით გახედა დედას და ბუზღუნი დაიწყო.

— გულ მოსული ხარ, მამა? ალერსით ჩაკითხა შვილს მამამ და თავზე ხელი გადაუსვა, მერე ზევით შეაგდო ყმაწვილი და ისევ დაიჭირა, რადგანაც იცოდა, რომ მას ესიამოვნებოდა ეს.

— ეტკინება მხრები, არ დაგივარდეს! მე რომ მიმტყუნებ შენ რეიზა არ უფრთხილდები, შენიშნა ქმარს მაკამ.

— ნუ გეშინია შენ! მე ამას არაფერს ვატკენ! მიუგო ლევანმა, სკამზე ჩამოჯდა, ყმაწვილი წინ დაიყენა და კითხა.

— ვინ გირჩონია, გენაცვალე, დედა თუ მამა? სოფომ ღრეჭით შეხედა მამას.

— ქე იცინი? რა ამბავი იყო ქვეყანა რომ დააქციე? თქვა მაკამ.

— თქვი, ვინ გირჩევნია, ვინ უფრო გიყვარს? განუმეორა ლევანმა.

— მამა!.. ღიმილით დაიწყო სოფომ და უკან გადიზნიქა

— ოჰო ჰოოო... სიამოვნებით გადიხარხარა ლევანმა —მამა გირჩონია, გენაცვალე, მამა?..

— რომ დავპირდები მაშინ კაი დედა ვარ და ახლა... იგი იქნება კაბას რომ შეგიკერავ... ვეღარ მოითმინა მაკამ.

— აბა ახლა მითხარი, სად გიყვარს მამა? – ისევ მიუბრუნდა შვილს ლევან.

— სოფომ ყელზე დაიდო ხელი.

— დედა? დედა სად გიყვარს?

— არსად! მოხუშვით თქვა ბავშმა.

— მე რომ რაცხა დაგპირდი გახსოვს? მოაგონა მაკამ.

— არ მინდა დედა, ფინთია!

— ხომ ასე? მაცა მე შენ! არ მომეკარო აწე სიახლოვეს! წყენით შენიშნა მაკამ და ოდნავ წამოწითლდა.

— წადი იქით! მე თითონ... მო, მო, მო!... დააჯავრა სოფომ.

— როგორ შეიძლება! დედას ასე კი არ უნდა, გენაცვალე! სიცილით უთხრა შვილს ლევანმა: მიდი, მიეფერე, ცოდვა არაა დედა!..

— არ მივალ, არ მინდა, მოკტეს მაგი...

მაკას თვალებზე ცრემლი მოადგა და აჩქარებით მეორე ოთახში გავიდა.

დედას გული ჩაუფუფქა შვილის ასეთმა ქცევამ. „მგონი დასურ არ ვუყვარვარ“, მღელვარებით გაიფიქრა მაკამ. ჩემი არაფერი ჯერა, არაფერს გამიგონებს, რამდენიც უნდა ვეხვეწო; ვინ იცის, რას არ მიძახის ხანდისხან, მაგინებს, ცემითაც კი არ მზოგავს, რომ შეეძლოს. მამა კი უყვარს, უსიამოვნოთ გაიფიქრა მაკამ; იმას მიაფართქალდება რავაც დეინახავს, იმის სიტყვას ყოველთვის იგონებს... არა მე იმას არ უყვარვარ, აშფოთებით ამოიკვნესა მაკამ ,,იმ უსვინდისომ გადირია‘‘, გაბოროტებით გაიფიქრა მან ქმარზე: ,,ტყუილაი კი არ უზიდავს იგი ნაირ ნაირ საჩუქრებს! რას მემართლება! აღარ ეყო იმ უნამუსოს, რომ ახალგაზდობა ჩამიმხამა, მომიწამლა! ახლა იგიც აღარ მაკმარა და შვილი წამართვა, გულიდგან მომტაცა იმ ულმერთომ! მაკას გულში დიდი ხნის დაგუბებული ნაღველი შხამათ იქცა .. შელახული თავმოყვარეობა, ახალგაზდობის შეურაცყოფილი გრძნობა, დამცირება, ყველაფერი ეს თვალწინ ედგა ახლა მას. დროებით მიყუჩებული კვლავ მძვინვარებდა... რისთვის ითმინა აქამდე, რატომ ერთხელ მაინც არ მოთხოვა პასუხი მის მტანჯველ ლეანს, რომელიც ამდენი ხანია აგერ მას აღარ ეკუთვნოდა? მარა ვერა. ვერ შეძლო ეს მან, ვერ მოახერხა, თუმცა განზრახვა კი ქონდა, მაინც ვერ გაბედა; მეტათ სუსტი იყო, იმედი არ ქონდა, ,,ვინ იცის, რა მოხთებაო‘‘ იფიქრა და ისევ გაჩუმება ამჯობინა. მისი ნუგეში ერთათ ერთი შვილი იყო; ვინ იცის, იქნება ამ შვილისთვის დათმო მან ყველაფერი და ნუ თუ აქაც გაუცრუვდა იმედი, ნუ თუ შვილმაც უარჰყო, წიხლი კრა მის გრძნობას? რა ქნას ახლა? ახალგაზდობა მას მოპარეს და ახლა უკანასკნელ იმედსაც ართმევენ, რას ემართლებიან!.. რათ უნდა მას ისეთი შვილი, რომელსაც იგი არ ეყვარება, რომელიც მას არ დააფასებს, არაფრათ ჩააგდებს! შებრალება, მოწყალება მას აღარავისგან არ უნდა, არა! ისიც ეყოფა, რასაც აქამდე ითმენს!.. გულწრფელ, წმინდა გრძნობისათვის ის ითხოვს ამგვარსავე გრძნობას!.. მარა [illegible] შესაძლებელია, რომ დედა არ უყვარდეს ცქრიალა ,,სონიჩკას?‘‘ არა, უსათუოთ უნდა გაიგოს ეს მაკამ, უნდა შეიტყოს, დარწმუნდეს...

მეორე დღეს თავშეხვეული კატო ლოგინში იწვა; ნახევრათ თვალები დაეხუჭა და ხან-და-ხან კიდეც კვნესოდა. სოფო იქვე ტახტზე დედოფალას ეალერსებოდა.

— დედა, გენაცვალე, მოდი ჩემთან ერთ წამს! მისუსტებული ხმით მიმართა შვილს მაკამ.

სოფომ ყურ-დღებაც არ მიაქცია დედის სიტყვას, თითქო არცკი გაუგონია მისი ხმა.

— მოდი, დედა, ავათ ვარ, მნახე ერთი, არ გეცოდები? განუმეორა მაკამ.—მოდი ელანძე, შენი ჭირიმე, ნახე სიცხე თუ მაქ; მეტი ხათრი და სიყვარული არ გაქ ჩემი? ამას მემართლები? მოდი, შვილო, მოდი, ერთი შენი ხელით ცივი ტილო დამადევი თავზე.

— ოჸ ნუენო! თავისთვის ჩაილაპარაკა სოფომ, ისე რომ დედისკენ არც კი მიუხედავს.

— რომ მოვკტე არ გეწყინება, არ იტირებ? არ ეშვებოდა მაკა

— არააა! დაფანტულ:თ გააგრძელა სოფომ, რომელიც განუწყვეტლივ დედოფალასთან ფუსფუსებდა

კატომ ამოიკვნესა, მღელვარება მოემატა,—არ გცხვენია, ამაზე უფრო არ გეცოდვები? მე დედა არ ვარ შენი?

— რა გინდა ვა? გაბრაზდა სოფო.

— შენ რომ მთხოვდი იმას მოგცემ, თუ მოხვალ ახლა ჩემთან!

— მოიტა ჯერა!

— ახლა სად მოვნახო, დედა, ვერ ავდგები, ავათ ვარ; მერე მოვნახავ და მოგცემ.

— მომატყუებ, ახლა მომეცი!

— ელანძე აქანაი მოსღას იმადლები.. მე თუ იმდენი ნაკტავი მქონდეს შენზე... ვეღარ დაასრულა გაცხარებულმა მაკამ.

— სოფო ყურსაც აღარ უგდებდა ახლა მას.

— ვოი, დედა ღვთისა გაგიწყლა შენ ნულარა! მიაძახა შვილს დედამ. ღმერთო ნუ მიკალონებ ამას! საჩქაროთ ჩაილაპარაკა თავისთვის გულმოსულმა მაკამ: რავა გამაცოფა მაინც ამ არ გასაცოფებელმა ..

— აი კარი მაინც მოხურე, რომ გადამილიე აქანაი, — მიმართა შვილს აცახცახებულმა დედამ.

— მიხურე შენა. ვოთ იშჩო! მკვახეთ მოუჭრა სოფომ და მეორე ოთახისკენ მიბრუნდა.

ეს კი ვეღარ მოითმინა გამწარებულმა მაკამ. სისხლი თავში აუვარდა მას. როგორღაც, ანგარიშ მიუცემლათ, წამოიჭრა ზეზე გაავთრებული დედა, სწვდა შვილს და დაუწყო თავ-დავიწყებით, შეუბრალებლათ ცემა.. მაკა ახლა ვეღარაფერს გრძნობდა. ცემდა ბავშვს გამხეცებით, განურჩევლათ თავში, პირში, ზურგზე, მუცელზე... ცემდა, სანამ მუხლმოკვეთილმა იქვე არ ჩაიკეცა. მოსამსახურე დედაკაცის კივილზე შეგროვილმა მეზობლებმა ძლივს მოაბრუნეს გულწასული დედა შვილი.. მაკას ასეთმა ქცევამ მთელი უბანი აალაპარაკა...

ლალიონ.

# სამწუხარო შედეგი*)

(ისტორიული რომანი 1841 წლის გურიის ცხოვრებიდან)

ეგ. ნინოშვილისა.

## I.

— უფ, რა გრილი ღამეა! პერანგის ამარა გამოვედი და საშინლათ მცივა!

— თუ გცივა, გულზე მომეკრნე და გათბები.

— გულზე? არ ჯობს. მოწიფული კაცის გული და ზღვაი ერთია. სხვაი რამე რომ გაგიპირდეს, მაშინ რაღაი? ხომ იცი, სიმონ, ჩვენი ჯვარის წერის საქმე ჯერე ცხრა ქედს გადაღმაა!

— მანა, გული მტკენია, რომ ამაზე მეტი დანდობა არ გაქ ჩემზე! რა გეივლე გულში აგი! აბა უნამუსო ვყოფილვარ, თუ ჯვარის დაწერამდე შენ საიმგვაროთ შეგეხე! ისე, ამასაც ვიტყვი, ჩვენი ჯვარის წერის საქმე, შენ რომ ფიქრობ, არც ისე დაკარქულია. გუშინ ჩემს დედ-მამასთან განგებ შენი ქება ვთქვი და ბოლოს დავატანე: ვინც გინდა თავმომწონე აზნაურმა შეირთოს, ზრახი არ ეთქმება-მეთქი. არა მე და ჩემმა ღმერთმა, ჩვენ სოფელში მანაის ფარდი ქალი არ მოიძებნებაო, დამემოწმა მამა. კაი დედ-მამის შვილია და კაი გამოვიდაო, თქვა დედა ემმა. თუ კაია ჩემია-მეთქი, გევივლე გულში. ერთი ორ-სამჯელ კიდევ მოვუყოლებ ამბავს და ბოლოს გავუტეხ ჩხირს: მანაი ჩემია, მე უნდა შევირთო-მეთქი. მგონია, უარი ვერ მითხრან. მეტყვიან და შენ მაინც ჩემი ხარ!

— შენი ვარ, სიმონ, შენი! რაც გინდა იგი მიქენი, მაინც ხომ შენი ვარ. აჰა გული, დანითაც რომ დასჭრა, იმ დღიდან მაინც შენია. ნუ გეწყინება, რომ ხანდახან ეჭვი შამომეპარება.

— ნუ, ნუ მოაკარეფ შენს გულს. მანა, იმ უხეთო ეჭვს. აა, ასე დაგიკოცნი თვალებს, ყელს, გულს. კოცნა აბა სხვაი რა? სხვაფერ ჯვარის დაწერამდი და-ძმაი ვართ.

ასე საუბრობდენ გურიის ერთ სოფელში 1841 წელს, მაისის მოწმენდილ ღამეს, ისლით ხურვილ ფიცრული სახლზე ცოტა მოშორებით, დიდი კაკლის ხის ძირში მსხდომნი მანა, გლეხი — შვილის ქალი და აზნაური სიმონ — ძე. პირველი, მანა — შვილის ქალი, იყო თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის, მომაღლო, მშვენივრათ მოყვანილი ტანისა; მის თეთრ-ყირმიზ ცისფერი, დიდრონი თვალებით გაბრწყინვებულ პირისახეს რაღაც ისეთ გვარი მომაჯადოებელი სხივი ეკერა, რომ ბერათ განყენებულ მოხუცსაც კი გულს უბრუნებდა და აუტოკებდა მანას მოტრფიალე აზნაური სიმონ — ძე ოცი-ოცდაორი წლის საშვალო ტანის ყმაწვილი კაცი იყო; მის ლამაზ, სუფთა პირის სახეს ძლიერ უხდებოდა ახალ-ამოშლილი, წაბლის ფერი წვერ-ულვაში და დიდრონი თაფლის ფერი თვალები. სიმონ, როგორც ახლო მეზობელი, თვით ბავშვობიდანვე მეგობრულათ განწყობილი იყო მანას მშობლებთან და მეტადრე მანას ძმა ბესიასთან, ხშირათ დადიოდა იმათ ოჯახში და, რა თქმა უნდა, მანასაც დაახლოვებით იცნობდა. „რა ლამაზია იი ყაზახის გოგო! რა მოხთენილი სიტყვა-პასუხი აქ! ერთ ქალათ მარტო იმის ჩეგურის დაკვრა და მღერა ღირს“, ფიქრობდა ის უწინ და უწინ მანას შესახებ. შემდევ ეს ფიქრი ნელ-ნელა სიყვარულათ შეეცვალა და ეს ყმაწვილი აზნაური შეიქნა «ყაძახის გოგოს» თაყვანის მცემელი. რა რომ მანამ ყმაწვილი, ლამაზი თვალ-ტანადი აზნაური მის მოტრფიალეთ დაინახა, თითონაც გაება სიყვარულის ბადეში და როცა სიმონმა მას განუცხადა «მიყვარხარ, ცოლათ უნდა შეგირთოო», რასაკვირველია, უარი აღარ უთქვამს სიმონისთვის.

რადვანაც ორივენი - მანაც და სიმონიც ერთმანეთთან შეუღლების თანახმანი და მოხარულნი იყვენ, იმათი ჯვარის წერაც ადრე უნდა მომხდარიყო. მაგრამ ამ საქმეს გადაეღობა წინ ერთი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი: ეს მიზეზი იყო სიმონის მშობლები, რომლებთანაც სიმონი ჯერჯერობით ვერა ბედავდა ეთქვა გლეხის ქალი მანა უნდა შევირთოვო. ამ უშველებელი მიზეზის გამო მანამ და სიმონმა თავიანთი ჯვარის დაწერა გადადვეს იმ დრომდე, როცა რაიმე ბედნიერი შემთხვევა ამ საქმის შესახებ სიმონის მშობლების ნება-რთვას მიცემდა, მიცეს ერთმანეთს პატიოსანი სიტყვა, რომ მანა სიმონს გარდა სხვა ქმარს არ გაყოლოდა და სიმონს მანას გარდა სხვა ცოლათ არ შეერთო, აგრეთვე დადვეს პაემანი, რომ ჯვარის დაწერამდე ყოველ კვირაში სამ-სამჯელ ნახონ ერთმანეთი და ამ საშუალებით მოიწყვიტონ სიყვარულისაგან აღძრული ნახვის წყურვილი. რადგანაც მანასა და სიმონს ეშინოდათ დღით ვინმეს ბოროტი თვალი შემოგვესწრება და ხალხში ცუდ ხმას დაგვიყრისო, ამიტომ გადაეწყვიტათ ღამით, როცა სოფელი ძილს მიეცემოდა, ენახათ ერთმანეთი. მართალია, სრულიად შიშს მოკლებულნი არც აქ იყვენ, აქაც ეშინოდათ გულფიცხელმა ბესიამ (მანას ძმამ) არ გაგვიგოს ეს მარტოთ-მარტოთ ერთმანეთის შეხვედრაო, მაგრამ იმათი სიყვარულის ძალა იმდენათ მძლავრი იყო, რომ ეს უკანასკნელი საშიშროება ვერ ურღვევდა დათქმულ პაემანზე ერთმანეთის ნახვას.

აი ერთი ამგვარი ნახვის პაემანი, ანუ დათქმულება ქონდათ მანას და სიმონს იმ ღამეს, როცა ჩვენ, მკითხველო, პირველათ გავიცანით ეს შეყვარებულები. მიჯნურთაგან დიდათ პატივცემული და საამურათ მიჩნეული მთვარე სრულის თავისი სიმრგვლე-დიდებით გამოკიდული იყო მოწმენდილი ცის ქვეშე და, თითქო დედამიწის მოვერცხლ-მოოქროება უნდაო, ჩამოეშვა მზისგან ნასესხები სხივები; მიჯნურთა მომღერალი ბულბულის ხმა გაუწყნარებლივ მოისმოდა ყოველის მხრით. ამ ორ მოწამეს გარდა მანას და სიმონის ტრფიალობა-საუბარს ჰყავდა კიდევ მესამე მოწამეც; ეს მესამე მოწამე იყო ერთი

*) ამ რომანს ორი სახელი აქვს ხელთნაწერში: „ჯანყი გურიაში“ და „სამწუხარო შედეგი“; პირველი სახელი ავტორს წაუშლია. ხელთნაწერს დართული აქვს ავტორის მიერ შემდეგი შენიშვნა: ამ რომანის („ჯანყი გურიაში“) წერა დავიწყე 21 ნოემბერს 1888 წელს და დავწერე იმავე წელს მეექვსე თავამდე (ესე იგი I, II, III, IV და V თავები), დანარჩენი ნაწილი ამ რომანისა ვწერე 1889 წელს მაისის დასასრულამდე. ვწერდი თვითო ორ-ორ საათს დღეში და იმასაც დრო გამოშვებით, ასე რომ იანვრის თვეში ვწერე მხოლოდ ერთ დღეს (9 იანვარს), თებერვალში ორს (2 და 11-ს); მარტში არ მიწერია. აპრილში ვწერე ოთხ დღეს (8, 12, 25 და 27-ს); მაისში 16-ს (1, 2, 3, 4, 6, 9, 17, 19, 20, 22, 23, 24, 25, 29, 30 და 31-ს). მერვე თავის ბოლო და სხვა თავები ვიდრე რომანის დასასრულამდე მაისშია დაწერილი. გადაწერის ანუ გადათეთრების დროს (სამჯელ გადავწერე) რამოდენიმე ადგილას შევაკეთე, ასე რომ ოთხი-ხუთი დღე მუშაობა გამომიდგება ზემო ჩამოთვლილ დღეებს გარდა. — ე — ი.

დიდი ძაღლი, რომელიც ისე ახლო მიმსხდარიყო მოტრფიალე ქალ-ვაჟთან, რომ გეგონებოდათ ეს მესამე მოტრფიალე უნდა იყვესო. იმ დროდან მოწყებული, რაც მანამ და სიმონმა ღამ-ღამობით ერთმანეთის ნახვა დაიწყეს, ეს ძაღლი ერთგულ დარაჯათ ემსახურებოდა ამ შეყვარებულებს; ის მუდამ ფხიზლობდა, გაბრაზიანებული ყეფით მივარდებოდა ყოველივეს, რაც კი რომ ამათ სიახლოვეს გაიჭაჭანებდა. ამ ძაღლის ერთგულების მიზეზი ის იყო, რომ მანამ ის თავისი მზრუნველობით გამოზარდა.

— მე არ მიამება გგონია გულში ჩაკონება?—უთხრა მანამ სიმონს, როცა ამ უკანასკნელმა მიიკრა ის გულზე,—მეც შენსავით გული და სისხლი მაქ, მარა მეშინია, სიმონ, ბოლოს ქვეყნის საყბო არ გავხთე-მეთქი. წეხანაი მისაყვედურე ექვიანობ, დანდობა არ გაქო. ექვიანობით არ ვექვიანობ, მარა მაინც რომ დავფიქრთები, ჩვენი ცოლ-ქმრობა არ მოხთება მგონია. აბა იფიქრე შენ გვარს აზნაური ქვია, ჩემსას—ყაძახი! არა, სიზმარია ჩვენი ცოლ-ქმრობა!..

— მანა, ან შენ რეზა იტეხ გულს და ან მე რეზა მაწვალებ?—უთხრა წყენით სიმონმა,—თავად-აზნაურობა და ყაძახობა კაცის გამონაფიქრია, ჩვენი სიყვარული ჩვენი გულ-ღვიძლის ნამდვილი შვილია, იმისთანა შვილი, რომ სანამდი ჩვენ ცოცხალი ვიქნებით, არ შეიძლება იგი რამემ მოკლას. ჩვენი სიყვარული იგია მაშვინ მოკტება, თვითან ჩვენ რომ აღარ ვიქნებით ქვეყანაზე. აზნაურიო! უნდა გითხრა ახლა რომ გვარის საქმეს შევხედე, კინტრათაც არ მიმაჩნია ჩემი აზნაურობა და, თუ დამიჯერებენ, არც იი თავადობაა საბოლოო საქმე. დღეს ვარ აზნაური, ასე ქვია, ხვალ ეგება მე ყაძახი შევიქნე და ჩემი ყაძახი აზნაური. ამას წამართვი-წაგართვი ქვია მეტი აფერი და ბევრათ ჯობს ყველას ერთი სახელი გვქონდეს. რაა, რომ გეიკვირე? დიდი საქმეა თუ ჩვენი გაყაძახება? მე გამიგონია, ჩვენი ძველი ყაძახი იყო თურმე.

— აბა რაფერ გააზნაურებულა ნეტაი? ადვილი აღარ იქნებოდა.—ცნობის-მოყვარეობით ჰკითხა მანამ.

— მიყურე და ქე გეტყვი, რა ადვილათ უშონია. დედოფალს თურმე მუცელს დაუცა ისე ურიგოთ, რომ გამობახთებოდა დედოფალი, თუ ჩვენი ძველი იქინეი არ შეხვედროდა. მარა იი ცხონებული ჩვენი ძველი ძაან მოხერხებული ყაძახი იყო თურმე, დედოფალის ნამოქმედი მიიმისა, ასე რომ გამოვიდა შვა დარბაზში და თქვა: მე დღეს იმისთანა საქმე მიყო ჩემმა ოხერმა მუცელმა, ისე გამაბახა ამდენ დარბაისელში, რომ ჩემი სიცოცხლე აღარ ღირს და აწი რაც გენებოს იგი მიყავითო. რაღამც შენ იმდონი ზდილობა გაქ, რომ ამგვარი ბოდიშის მოხთა გააკვლიე, აზნაურობა მიჩუქებიაო, უთხრა თურმე საჩქაროთ სხვისი პირის და ხერხის გამო ბოდიშ-მოხთილმა დედოფალმა. აა ამგვარათ ნაშოვარი აქ ჩვენ გვარს აზნაურობა!

— უჰ, სიმონ, რა ხუმარი ხარ, რაფერ მომკალი სიცილით!—უთხრა მანამ, რომელიც ამ დროს ვეღარ იჭერდა თავს სიცილისაგან,—დედოფალს მუცელმა დაუცა და თქვენ აზნაურობა მოგცეს! თითო მუცლის დაცემაზე რიგდებოდა აზნაურობა?

— ღმერთმანი, მანა, ასე იყო. ჩვენს გარდა კიდე ძაან ბევრს აქ ამისთანა ახირებული რამეით ნაშოვარი ბატონობა.

— არა, სიმონ, შენ ცრუობა გაგიგონია, ბატონობა და ყაძახობა ზეცას არის დაწესებული [illegible] რიგებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, უწინ მეც ასე მომატყუეს, მარა მერე რომ გავუყურე, აღარ დარჩა ასე.

— ამით მაიმედებ?

— მე იმით გაიმედებ, რომ ჩვენ შეყვარებული ვართ და ყაძახ-აზნაურობას აღარ აქ ჩვენთან ძალა. შენ ჩემი ცოლი ხარ და მე შენი ქმარი. შენი ყაძახობა და ჩემი აზნაურობა ვისაც უნდა, იმან წეიღოს. თუ ჩემი დედმამა მოშიშლის ამ ჭკუაზე ყოფნას, თვითან ახლოთენ იი აზნაურობა, ჩვენ გევიპაროთ სხვაგან და იქინეი ვიცოცხლოთ.

— სიმონ გაპარვა კაია, თვარა ისე ამ სოფელში არ გვაცოცხლებენ, ვიცი.

— ფიქრი ნუ გაქ, მანა, ჩვენ ერთმანეთის ვართ. სიკვტილს გარდა რაღაა ქვეყანაზე იმისთანაი, მე და შენ რომ გაგვაშოროს?!

— ვინ იცის, სიმონ, აგიც არ ითქმება რაღაა ქვეყანაზე მე და შენ რომ მოგვაშოროსო!..

— რაა, მიგეგონება?

— მე არ მიმევონება, მარა... რა ვიცი, ათასი უცნაურია...

— მანა, ხანდახან შენი გაბედულობა და გულის სიმაგრე მაკვირვებს და ხანდახან შენი გულ-გატეხილობა და მშიშარაობა! რა არის...

სიმონს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ზარის ხმამ, რომელიც გარკვეულათ გამოისმა დაწყნარებულ ღამეში, უცებ გააწყვეტინა ლაპარაკი.

— რა იყო, რა დაგემართა,—ჰკითხა მანამ.

— ყურობ, რეკენ!

— მერე საყდრის ყალაური იქნება.

— არა, თავის შეყრის რეკაა. ახლა ბესიე გამოვა გარეთ საყტარზე წასავალათ და თუ შეგვიტყო, მაშვინ... მანა, რამე გვარათ შეიპარე სახლში.

მანა წამოდგა და დააპირა სახლში წასვლა. მაგრამ ამ დროს შეიჭრიალა სახლის წინა კარებმა და გარეთ გამოვიდა მაღალი, ნაკვთათ მოყვანილი, ამაყი შეხედულების ყმაწვილი კაცი,—ეს იყო ბესია, მანას ერთათ ერთი ძმა. მანა და სიმონ ბესიას დანახვაზე უსაზომო შიშმა შეიპყრა; იმათ გაკმინდეს სულის თქმა და ისე მიეკრენ ნიგვზის ხეს, თითქო მის გულში შეძრომას აპირებდენ. იმათ საბედნიეროთ, ბესიას სრულიათაც არ შეუნიშნავს იმათი იქ ყოფნა, ისე გაიარა მათ სიახლოვეს და გაუდგა თავის გზას.

— ღმერთო შენ გმადლობ, რომ გადაგვარჩინე!—თქვა მანამ, როცა ბესია განშორდა თვალისაგან.

— ასე დადევს, მანა, სიყვარულს შიში და განსაცთელი. მარა ახლა მეც უნდა წევიდე საყტარზე, ვერ დავაკლტები.

— სიმონ, თუ გიყვარდე მითხარი რა ამბავია, რაზე გაქვან ამდენი თავის ყრა წრეულს? მერე კიდევ ღამ-ღამით! ბესიას ვკითხე და ქალის საქმე არ არისო, გამიწყრა.

— მანა, მე შენ ყველა გულის პასუხს გაგიმხელ, არ მეშინია, მარა ამ საქმეში ხატზე ფიცი ვარ არსად ვთქვა-მეთქი და ამიზა, მომიტევე, ვერ გეტყვი.

მანამ თითქო იწყინა ეგ პასუხიო, ცოტაოდენ ხანს გაჩერდა და შემდეგ წარმოთქვა:

— შენ თუ გაწყენს, ნუ მეტყვი.

სიმონმა დამშვიდობების ნიშნათ ერთი კიდევ მხურვალეთ გადაკოცნა მანა, შემდეგ წამოავლო თავის თოფს ხელი და გასწია იმ გზით, რომლითაც იმ რამდენიმე წამის წინეთ წავიდა ბესია. მანა კი წამოდგა ზეზე, მიეყრდნო ნიგვზის ხეს და უმზერდა მიმავალ სიმონს, რომლის თოფი ბჰყვრიალებდა მთვარის სინათლეზე. მაგრამ რა რომ სიმონი მიიკარგა სივრცეში და მანას თვალისაგან გადაეფარა, მანა მოწყენილათ მობრუნდა, შეხედა თავის ძაღლს და უთხრა:

— ყურშა, ჩვენო ერთგულო ყურშა, სიმონ წავიდა და ჩვენ რაღა გვინდა აქანაი, ახლა ჩვენც წავიდეთ და სიმონ რომ მოვა, კიდევ შევხთეთ.

ძაღლმა ამ ალერსზე გააქიცინა კუდი და მოუსვა თავისი სველი ენა მანას თეთრ ხელებზე; მაგრამ საჩქაროთ მოიბრუნა თავი, გაუყურა რაღაცას და გაბრაზებულის ყეფით გაექანა ბუჩქებისკენ; მას გაჰყვენ სხვა ძაღლებიც და ვიღაცას აუტეხეს გაცხარებული ყეფა. «დედაო!» წამოიძახა მანამ და შიშისაგან აერჟოლებული გაიქცა თავის სახლისკენ, ჩუმათ გაალო ამ სახლის უკანა კარები, შეიპარა შით და დაწვა თავის ლოგინში, ისე რომ არც ერთს მის მშობელთაგანს არ შეუტყვია ეს გარემოება.

(შემდეგი იქნება)

## მიწათმფლობელობის წესი საქართველოს სამეფოში.

საქართველოს ისტორიაში აქამდის არ არის გამორკვეული, რა გვარი მიწის მფლობელობა იყო აღიარებული და ცხოვრებაში განხორციელებული. თითო-ოროლა ცნობა მოიპოება ჩემს წიგნაკში „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“, და იქ მოყვანილ ფაქტებს ვავსებ დღევანდელი წერილით. ახლაც იმავე აზრს ვადგევარ, რომ საქართველოს დანაწილება და ცალკე საბატონოებათ გადაქცევა აშენდა იმავე ნიადაგზე, რომელმაც დაჰბადა ევროპაში ფეოდალიზმი. თვალსაჩინო მაგალითს ჩვენი და ევროპიული ფეოდალიზაციის ერთფეროვნებისას გვაძლევს სწორეთ სხვა-და-სხვა გვარი მიწის მფლობელობა საქართველოში. საქართველოში სამ გვარი მიწისმფლობელობა იყო გავრცელებული: ალოდი, ბენეფიცია და ფეოდი. ვხმარობთ ევროპიულ ტერმინებს და ამ წამსვე ავუხსნით მკითხველს მათ მნიშვნელობას.

ალოდი ერქვა ისეთ მამულს, რომელიც შეადგენდა სრულ საკუთრებას პატრონისას; ბენეფიცია ის ქონებაა, რომელიც ეძლევა მხოლოთ დროებით სახმარებლათ. გარდა ამისა, ბენეფიციის წართმევა შეიძლებოდა მიმცემის სურვილისამებრ და იგი უბრუნდებოდა პირდაპირ პატრონს, როცა კვდებოდა ის, ვისაც დროებით ეჭირა სასარგებლოთ. ფეოდი ის მამულია, რომლის ვასსალი ანუ შემკვიდრეობითი მფლობელი ვალდებული იყო მამულის უმაღლესი სინიორის (ბატონის) სასარგებლოთ ეწია საბატონო სამსახური, მაგალითათ, საჯარო და სხვ. მამულის მფლობელობა ფეოდალიზაციის დროს ისე იყო მოწყობილი, რომ მისი წარმოადგენა შეუდარებლათ საძნელოა. ჩვენ შევადარებთ ამ პროცესს კიბის საფეხურებს. საერთოთ ფეოდალური მიწა ერთი-ერთმანეთს ემორჩილებოდა და კიბის საფეხურებსავით იყო დაწყობილი: ერთი იდგა მაღლა, მეორე დაბლა, ერთი ნაწილის მფლობელი ემორჩილებოდა უფრო მოზდილი ნაწილის პატრონს და უფრო ხშირათ ერთსა და იმავე დროს საფეოდალო მიწის პატრონი ბატონიც იყო და ქვეშევრდომიც (მორჩილიც) და ამგვარათ იკლიტებოდა ჯაჭვი მემამულეთა, ერთმანეთისაგან დამოკიდებულთა, უბრალო მსახურისაგან მოკიდებული ვიდრე აზნაურს, დიდებულსა და ათაბეგამდის. ამაში მდგომარეობს განსხვავება ევროპიული ფეოდალიზმისა რუსეთის მიწისმფლობელობისაგან და აქ არის ნასკვი ჩვენი ფეოდალიზმის იმ თვისებისა, რომელიც მას უახლოვებს უფრო ევროპიულს წეს-წყობილებას, ვიდრე რუსეთისას.

ალოდათ ჩვენში ბევრი არ იყო დარჩენილი. დროთა მღელვარებამ იძულებულ ჰყო სრული მფლობელი შეჰფარებოდა დიდი მამულის პატრონს და ამისაგან მიეღო უკან საკუთარი მამული იმ პირობით, რომ ერთმანეთს სამსახურს გაუწევენ და დაიცვავენ გაჭირების დროს. ამ მოვლენას დასავლეთ ევროპაში ერქვა კომმენდაცია და იმ პირს, ვინც მფარველობის ქვეშ შედიოდა ეწოდებოდა კომმენდატორი. საქართველოს ისტორიამ იცის ამ გვარი თავის შეფარება. კანონმდებელნი ბექა-აღბუღა მას უწოდებენ „მინდობილ კაცად“. აქვე შევნიშნავთ, რომ რუსულათ ეს ტერმინი უკანონოთ არის ნათარგმნი სიტყვით: «дружелюбно принятый». მინდობა შეიძლება როგორც ეკკლესიის, აგრეთვე ძლიერი მემამულის მფარველობის ქვეშ.

ბენეფიციას წარმოადგენენ საერთოთ ის მამულები, რომელნიც ეძლეოდათ მეფე და ბატონ-პატრონთა მიერ სამსახურისთვის იმ პირს, რომელიც მათზე ქვემოთ იდგა. რადგან ასეთ მფლობელობას პირადი ხასიათი ქონდა, კერძო ჯილდოს წარმოადგენდა, ამის გამო როცა ან გამცემი მამულის, ან დროებით მფლობელი ანუ მიმღები მისი მოკვდებოდა, მათ მიაღგილეთ კვლავ უნდა განემეორებინათ პირობა, ბოძების ბარათი, გუჯარი ან სიგელი უნდა განეახლებინათ. აქედან წარმოდგა ჩვენი სიგელ-გუჯრების ფორმულა: გვეაჯეთ განახლებას და ჩვენც ვისმინეთ თქვენი აჯა და სიგელი (ანუ გუჯარი) გაგიახლეთ. ჩვენ თავად აზნაურობას მამული საბენეფიცოთ ეჭირა და მემკვიდრეობით გადადიოდა ეს უფლება ბატონ-პატრონის სურვილით და ნება-დართვით. ერთ ნაწილს მათი მამულისას შეადგენდა ალოდი—განსაკუთრებითი მათი ქონება.

ფეოდი უფრო ნაკლები იყო ჩვენში. საუკეთესო მაგალითს ფეოდისას წარმოადგენს სამცხე-საათაბაგო. ათაბაგი, რომელიც მეფის ამირ-სპასალარათ იწოდებოდა, თითქმის დამოუკიდებელი ბატონი იყო. ეს დამოუკიდებლობა იქამდის ადიოდა, რომ მეფის დაუკითხავათ კანონების გამოცემაც კი შეეძლო. მართალია, მეფის ნებით ჯდება ათაბაგათ ივანე და ბექა-აღბუღა, მაგრამ შინაგან საქმის გამგეობაში [illegible] ეკითხება-რა. საათაბაგო ეპისკოპოზიც, აწყურელი, განცალკევებული დგას, მცხეთის საპატრიარქო ტახტს არ ემორჩილება. ბექა-აღბუღას სამართალში კათალიკოსი სრულიად არ იხსენება. თვით ათაბაგს ემორჩილება ვასსალიტეტი მსახურიდან მოკიდ

ბული ვიდრე დიდებულამდის. ათაბაგს მეფის უფლებანი აქვს მითვისებული, მისი პიროვნობა, როგორც მეფისა, კანონზე მაღლა დგას (princeps, qui legibus solutus est). მას ეკუთვნის მეფის ეპიტეტი პატრონი და ამავე ტიტულს ატარებს აწყურელი.

აი ასეთს, თითქმის დამოუკიდებელს სენიორისაგან, პატრონს ეჭირა ევროპაში ფეოდი. ამგვარ მემამულეს საქართველოს საზღვარზე წარმოადგენს ათაბაგი. სამცხე იყო ფეოდი საქართველოს სამეფოსი.

ა. ხახანაშვილი.

## სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წელს.

შედარებით წინა წელთან გასული წლის სიტყვა კაზმული მწერლობა უფრო მდიდარი იყო როგორც რაოდენობით ისე ღირსებითაც. „მოგზაურ"-ში დაიბეჭდა და ამ დღეებში ცალკე წიგნათაც გამოვიდა ბ-ნი ნახუცრიშვილის ისტორიული დრამა «იანიჩარი». როდესაც დიუმამ დაწერა თავისი საუცხოვო მარგარიტა გოტიე, ის წარუდგინა ლიტერატორებს და კრიტიკოსებს უტყუარი მსჯავრის დასადებათ. შეიკრიბენ პარნასელნი, განსაჯეს დიუმას პიესა, აწონ-დაწონეს, იდავეს და გადაწყვიტეს ერთხმათ, რომ პიესა უზნეო იყო, სახელოვნო ღირსებას მოკლებული— ერთის სიტყვით არ ვარგოდა. პარნასელთა მსჯავრმა დიუმა არ შეაშინა,—მან თვით საზოგადოების მსჯავრს მიმართა და აღტაცებულმა საზოგადოებამ ერთხმათ აღიარა, რომ პიესა თავისი მაღალი ზნეობით, ჰუმანიური იდეით, გრძნობით სავსე ლირიზმითა და სხვ. საუცხოვო ლიტერატურულ ნაწარმოებს და დრამას წარმოადგენდა. ჩვენი დრამატიული საზოგადოების კომიტეტს უსათუოთ კარგათ ესმებია დიუმას დრამის თავგადასავალი და ამიტომ სასტიკი შეცდომების თავიდან ასაცილებლათ მოწონების გზას დადგომია. მაგრამ დახეთ ფათერაკს! ეს გზა უფრო სახიფათო ყოფილა, ვიდრე დაწუნების გზა. ამის საუცხოვო მაგალითს წარმოადგენს „იანიჩარი", რომელიც კომიტეტმა არა თუ მოიწონა, პრემიითაც კი დააჯილდოვა. დრამატიული ხელოვნება უმაღლეს დარგს წარმოადგენს ხელოვნებისას, იმიტომ კი არა, რომ ბელეტრისტიკას გინდ პოეზიას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს, არა:—იმიტომ რომ დრამატიული ხელოვნება გაცილებით მეტ ნიჭს ითხოვს, ვიდრე ლიტერატურული ხელოვნების სხვა დარგი; გარდა იმისა რომ მწერლის ყოველგვარი სიმპატია, ანტიპატია, იდეალი, მისწრაფებანი ცოცხალ მომქმედ პირებშია აქ ჩამოსხმული, გარდა იმისა, რომ ხასიათების შემუშავება აქ უფრო საძნელო საქმეა, დრამატიულ მწერალს ერთი დაბრკოლება ელობება წინ, რასაც სხვა მწერალი მოკლებულია; ეს არის პიესის ტეხნიკური მხარე. ყოველი პიესის ასპარეზი სცენაა; პიესის მიზანია, სცენიდან უქადაგოს მაყურებელს ესა თუ ის აზრი, სცენიდან ამხილოს ის ამა თუ იმ უზნეობასა და უსამართლობაში. ამიტომ ლიტერატურულ ღირსებას გარდა პიესას უნდა ქონდეს ტეხნიკური ღირსებაც; მისი მოქმედებანი იმდენათ ბუნებრივი და მასთან იმდენათ შემუშავებული და შეწყობილი უნდა იყონ ერთმანერთთან, რომ მისი სცენაზე დადგმაც ადვილი იყოს, მაყურებელსაც არა ღალავდეს. პრემიით დაჯილდოებული პიესა კი როგორც სახელოვნო, ისე ტეხნიკურ ღირსებას მოკლებულია. თვითოეული მოქმედება იმდენათ არის გაჭიანურებული, მომქმედი პირები ისე უმიზეზოთ და უთავბოლოთ გადიან და შემოდიან სცენაზე, მოქმედებათა შორის ისეთი სუსტი კავშირია, რომ სცენაზე ამ პიესის დადგმა შეუძლებელია: ეს დატანჯვაა როგორც მსახიობების, ისე მაყურებელი საზოგადოების. სახელოვნო ღირსება ყოველი ლიტერატურული ნაწარმოებისა სამი ნაწილისაგან შედგება: ლიტერატურულ ნაწარმოებში ერთის მხრით უნდა იყოს ისეთი იდეა, რომელიც მკითხველის გულსა და გონებაში სასარგებლო კვალს ტოებდეს; მეორე მხრით ხასიათისა და მოქმედების შემუშავებასა და განვითარებაში უნდა იყოს სრული ბუნებრივობა, ძალდაუტანლობა; ხელოვნება მით განირჩევა მშრალი მეცნიერებისაგან, რომ უკანასკნელი მხოლოთ გონებას მიმართავს ხოლმე, მხოლოთ გონების საზომით ხელმძღვანელობს, პირველი კი ერთსა და იმავე დროს გონებასაც ემსახურება და გრძნობასაც; მან მარტო გონება კი არა გრძნობაც უნდა დააკმაყოფილოს,—აი ამისათვის კი საჭიროა სახელოვნო ფორმა, ანუ ენის პოეზია; ორ ლიტერატურულ ნაწარმოებში, რომლებსაც ერთი და იგივე იდეა აქვს დასახული, თავის მიზანს ის უკეთ აღწევს, რომელშიაც ენის პოეზია უკეთ არის დაცული. ენისა და აღწერილობის პოეზიას „იანიჩარი" სრულებით მოკლებულია, ხასიათები სრულებით მკრთალი და უფერულნი, ბუნებრიობა ხომ არც ერთ ალაგას არ არის დაცული. გამორკვეულ მკაფიო ხასიათს თქვენ ვერ იპოვით მთელ პიესაში; ცოცხალი ადამიანების მაგიერ აქ თავი შეუყრიათ რაღაც ფანტომებს, რომლებიც პტყელ-პტყელ სიტყვებს გაიძახიან მამულის სიყვარულის შესახებ; აქვე ნახავთ ამაზონკებს, რომელთა ტრაბახს საზღვარი არა აქვს, აქვეა თავმომაბეზრებელი ერთფეროვბა, გრძნობათა გასაოცარი სიყალბე და მრავალი სხვა. ჩვენი ძველი მამები და დედები თუ თავდადებული მამულისშვილნი იყვენ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომ ისინი ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას მოკლებული ყოფილიყონ. მათში გრძნობის სინაზე და სიძლიერე ერთათ იყვენ შედუღებული მამულის სიყვარულთანა და ვაჟკაცობასთან, რაც საუცხოვოთ დახატა ილ. ჭავჭავაძემ „დედა და შვილ"-ში; „იანიჩარ"-ში კი ავტორმა დაგვიხატა რაღაც უგულო არსებანი, რომლებსაც სისხლის ღვრის მეტი არაფერი რწამთ. თუ ჩვენ ძველ დედას უზენაეს სიხარულსა და ნეტარებას აგრძნობიებდა მამულის გამარჯვება, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ბრძოლაში მოკლულ შვილს აუღელვებლათ დაჩერებოდა თავზე; მას თუ გამარჯვება ახარებდა, შვილის დაკარგვა გულს უკლავდა, მისი ვაჟკაცურათ სიკვდილი მხოლოთ ანუგეშებდა. ჩვენ ძველ წინაპართა ღირსება სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ მათ მკლავის სიძლიერესთან ერთათ გულის სიძლიერე და გრძნობათა სინაზე შეირჩინეს, რაც ასე იშვიათათ მოხდება ხოლმე. ბ-ნმა ნახუცრიშვილმა კი ეს სრულებით ვერ დაგვანახვა: პატრიოტულმა იდეამ, წინაპართა მამულისადმი თავგამეტებულმა სიყვარულმა ის იმდენათ გაიტაცა, რომ სრულებით მიავიწყდა წინაპართა ბუნების მეორე მხარე, რაც ვაჟკაცობაზე არა ნაკლებ ამაღლებს მათ. აი ბრძოლის ველი; ზედ გდია სასიკვდილოთ დაჭრილი არჩილ-ასლანი, რომელსაც სიცოცხლის ნიშანი აღარც კი ეტყობა და ერთი ყური დაუგდეთ, როგორ შეჰხვდება მას დედა:

უი მე!.. ჩემი არჩილი!..
ვაი შენს დედას ბედკრულო შვილო!..
როგორ ვუშველოთ, ახლა რა ვუყოთ?..

ასე გვგონებათ, თითქოს ანნას თავის არჩილი საშუშაოზე ყავს, ლობიოს გაგზავნა დაუგვიანდა და იმას წუხსო!

მოულოდნელათ ნაპოვნ შვილს ჯიმშერი მოულოდნელათვე კარგავს, ეკარგება ერთადერთი ქალიშვილიც და ამ მეხს შეხეთ როგორ ეგებებიან ისა და მისი კნეინა:

ჯიმშერ. ხალხო, შვილები მე აღარა მყავს...
გამხმარ ხესავით დავრჩი ტიალი...
ანნა. მაგრამ სამშობლო განთავისუფლდა,
ეს იყოს მისთვის უკვდავი მსხვერპლი!..

განა ეს ბუნებრივია?! განა ეს მამულისადმი ღრმა სიყვარულს ამტკიცებს?! ეს ამტკიცებს მხოლოთ უგულობას, გულქვაობას, უგრძნობლობას, სიმხეცეს და ავტორს რომ ჯიმშერისა და ანნასთვის გაკიებული შვილების გარშემო ლექსური ჩამოკონებულები, ეს უკეთესი მაგალითი იქნებოდა სამშობლოსადმი ძლიერი სიყვარულისა!

მივმართოთ ახლა პიესის იდეას. წარსულ გმირთა წამოყენებით ავტორს უნდოდა პატრიოტული გრძნობა აღეძრა და გაეძლიერებია მაყურებელში, და ძმური სიყვარულის სქესობრივ სიყვარულთან დაპირდაპირებით ავტორს წადდა თვითეული მათგანის აწონვა. პირველი დედააზრი ახალს არაფერს არ წარმოადგენს, ის იმდენათ მობეზრებული აქვს მკითხველსაცა და მაყურებელსაც, რომ მარტო ამგვარი შინაარსიართმევს პიესას პრემიის უფლებას, სხვა ღირსებით შემკულიც რომ იყოს;—წინაპრების საფლავებიდან წამოყენება მხოლოთ იმიტომ, რომ მათი გმირობითა და თავგანწირვით მკითხველი გააკვირო, დღეს ან უსაქმური და უდარდელი კაცის ხელობაა, ან ისეთის, რომელსაც ცხოვრების მავლელობისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესახებ სრულებით არაფერი არ გაეგება. ცხოვრება იცვლება, ცვლილება იწვევს ახალ მოთხოვნილებებს, ახალ მისწრაფებათ და ლიტერატურა თუ თავში არ მოექცევა ცხოვრების მსვლელობას, უკან მაინც აღარ უნდა ჩამორჩეს. ბ-ნი ნაცრიშვილი კი პირუკუმა გადამჯდარა დახავსებულ პატრიოტულ იდეაზე, ჩვენი აწმყოსათვის ზურგი შეუქცევია და ჰგონია, თუ ქართველ ქალს შიშველი ხანჯალი ხელში დაეკავებინე და „ჰოი, სამშობლოვ, შენთვის მოვკვდები“ ვაძახებინე, ამით სამშობლოს დიდ სამსახურს გაუწევს.

მეორე დედააზრი—ორნაირი სიყვარულის დაპირდაპირება—ორიგინალური და მასთან ფრიად საყურადღებო თემაა და მარტო ეს სრულებით საკმარისი იყო, რომ ცოტა ფხიან ნიჭს ზედ მთელი დრამა აეშენებია, მაგრამ ავტორმა ამ თემას არც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, ვერც შეძლო იმ სულიერი მოძრაობის გადმოშლა, რომელიც აღძრა ასლანსა და ნინოში ორნაირი სხვა-და-სხვა სიყვარულის შეტაკებამ. მათში ძლიერი ბრძოლა და მღელვარება, სულიერი ტანჯვა და მწუხარება, სულიერი ალტაცება ერთი-მეორეს ებრძვიან, მაგრამ ავტორმა ვერ ჩაგვახედა ამ ბრძოლაში, ვერ წარმოგვიდგინა ამ ორი სხვა-და-სხვა გვარი სიყვარულის ზერელი ფსიხოლოგიური ანალიზიც კი. ორი საუცხოვო მომენტია პიესაში: ერთი ის, როდესაც ანნა და სალომე ტყობილობენ, რომ ასლანი და ჯიმშერი მათი შვილები არიან, მეორე ის, როდესაც შეყვარებული ასლანი და ნინო ერთმანეთს შეიცნობენ მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ და-ძმა იყვნენ.

როგორ, ასლანი ჩემი შვილია?!
ჩემი არჩილი, ჩემი ბიჭუნა?
ოჰ, მოდი, შვილო, მაშ ჩამეკონე,
დამიტკბე დიდ ხნის ნადაგი გული!..

აი როგორ შეეყრება ანნა თვრამეტი წლის შემდეგ დაკარგულ შვილს! ეს „მოდი“ და «მაშ» ხომ ყოველგვარ შთაბეჭდილებას უფუჭებენ მკითხველს. ასეთი მომენტის დროს ენა დადუმებულია, მხოლოთ გრძნობა და იპყრობს ადამიანის მთელ არსებას და სად არის ეს გრძნობა? «მოდი» და «მაშ»-ში?!

მეორე მომენტი უკეთ დახატა ავტორმა. აქ მარტო «ძმაო» და «დაო»-ს შეყვირება ასლანისა და ნინოს მიერ საკმაოთ უხატავს მაყურებელს მათს სულიერ მდგომარეობას, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას სრულებით აქრობს და-ძმის შემდეგი ლაპარაკი.

პიესაში ბევრი სხვა სიყალბეა და ნაძალადევობა, რომელთა ჩამოთვლას მე აქ არ გამოვუდგები. საუკეთესო ალაგათ უნდა ჩაითვალოს ასლანის მონოლოგი უკანასკნელ მოქმედებაში:

ამ ქვეყანაზედ ბედის ღიმილი
ცრუპენტელაა და ცვალებადია და სხვ.

„მოგზაურის“ ფურცლებზე „გამოქანქარიკა“ გასულ წელს ერთმა საკვირველმა პოეტმა ბ-ნმა ლასურიძემ. რომელსაც მწერალის პოეტის ნატამალი მაინც აკლია, მაშინ კიდევ შეიძლებოდა თავისი ნაწარმოების შესახებ გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონოდა, მაგრამ რადგანაც მას პოეტური ნიჭი სრულიად არ ეტყობა და „საშინელი ტანჯვის შიგან“ შობავს ყველა ჯიგლიგ რითმას, თავმოყვარეობა ნებას არ უნდა აძლევდეს საჯაროთ გამოსვლისას. თუ ბ-ნ ლასურიძეს ჰგონია, რომ მას პოეტის ნიჭი აქვს, შესაბრალისია; თუ მას რწამს, რომ რაიმე მნიშვნელობა აქვს ძველი წიგნებიდან ისეთი სიტყვების ამოკრებას, რომელთა აზრი მასაც არ ესმის კარგათ, საცოდავია. მთელი წლის განმავლობაში «მოგზაურმა» ვერ მისცა მკითხველ საზოგადოებას ვერც ერთი სახელოვანი ნაწარმოები, რომელშიც რაიმე ღირსება მოიპოვებოდეს, და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ მისმა რედაქტორმა ის სამადლო თავშესაფარათ გახადა.

წარსული წლის განმავლობაში «კვალში» დაიბეჭდა ორი საყურადღებო მოთხრობა: „ცოლი და ქმარი“ ეკ. ნინოშვილისა და „ეფემიას ოცნება“ ლოლოაშვილისა. განსვენებული ეკ. ნინოშვილი ნიჭიერი და მასთან ნაყოფიერი მწერალი იყო; თითქოს გრძნობდა, რომ დიდი დღე არა ჰქონდა, და ამიტომ მისი ყოველი ნაწარმოები აჩქარებული შრომის ნაყოფია. ზოგიერთი მისი მოთხრობა, როგორც მაგ. „პარტახი“, გაუმართავი მინებელია, ზოგი კი სრულებით შეუმუშავებელი დარჩა ავტორს. «ცოლი და ქმარიც» ასეთ შეუმუშავებელ მოთხრობას წარმოადგენს. დედააზრი ამ მოთხრობისა იგივეა, რაც «პარტახისა»;—თუ როგორ არღვევს და ღუპავს ოჯახს ხანგადასული ჩვეულებანი. ზოგიერთი სურათები და თვით წვრილმანებიც კი ორივე მოთხრობაში ერთი და იგივეა, ხოლო მოქმედება «ცოლსა და ქმარში» უფრო ბუნებრივათ არის განვითარებული, ავტორი თავის ნიჭს აქ ძალას არ

ატანს და ამიტომაც მოთხრობაში არ არის ის ტენდენცია, რომელიც პარტახის სუსტ მხარეს შეადგენს. რამოდენიმე ხასიათი მკაფიოთა და უნაკლულოთ არის დახატული, ჩვენი ცხოვრების სურათები სინამდვილითა აქვს ავტორს გადმოღებული, მაგრამ მოთხრობის თემა, რომელიც ახალი და მასთან ფრიად საყურადღებო იყო ამ 7-8 წლის წინეთ, დღეს უკვე მოძველდა და მკითხველს ველარ დააინტერესებს. ნინოშვილის მოთხრობები იგივე პუბლიცისტიკაა; ყოველი თემა ავტორს იმდენათ აინტერესებდა, რამდენათაც ეს თემა ცხოვრების დამახასიათებელი იყო; ის, რაც ცხოვრებას არ ეხებოდა, ნინოშვილის ნიჭს ვერ იზიდავდა. ამიტომ ნინოშვილის მოთხრობათა ძალა მათს სოციალურ მნიშვნელობაში მდგომარეობს; ნინოშვილის ნიჭი უტყუარი სარკეა თავისი დროის,—სხვა მნიშვნელობა მას არა აქვს. ამგვარსავე გზას ადგია ბ-ნი ლალიონიც, მაგრამ სამწუხაროთ ამ ავტორის ნიჭი მეტათ სუსტი ნაყოფიერებისაა. მისი „ეფემიას ოცნებანი“, რომელიც „კვალში“ იბეჭდებოდა, დაუმთავრებელი მოთხრობის შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე; ავტორმა ისე მოასწრაფა ბოლო, რომ მკითხველი გრძნობს, რომ რაღაც აკლია; მოთხრობაში არის გამოყვანილი სოფლის ქალი ეფემია, რომელიც დანარჩენებისაგან ბევრში განირჩევა, მაგრამ ამ ქალის სურათი ავტორს მკრთალი გამოუვიდა. აღნიშნულ ნაკლულევანებათა უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ავტორის მთელი ყურადღება გიორგი პინტილიანსა აქვს მიქცეული. გიორგი პინტილიანი საუცხოვო ტიპია ჩვენი ბურჟუაზიისა. ასე ნათლათ და მკაფიოთ დახატულ ტიპს დღევანდელი ქართველი ბურჟუაზიისას სხვა ჩვენ ბელეტრისტებს ვერ უპოვით. ფირალ დავლაძესა და ეფემიას ოცნებას შორის სულ ექვსი წლის მანძილი არც კი არის და მიუხედავათ ამისა შეხეთ, რა შესამჩნევი ცვლილება განუცდია ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ცხოვრებას! შეადარეთ ერთმანეთს პირველი მოთხრობის ნიკო კალაძე და მეორის გიორგი პინტილიანი და აშკარათ დარწმუნდებით ამაში. გიორგი პინტილიანი იგივე «მოწიფული» ნიკო კალაძეა. ამ ორ პირთა შორის დიდი მსგავსებაა,—ერთიცა და მეორეც ნაყოფია ახალი დროის, ერთიცა და მეორეც ვაჭრობის გზას დადგომია, ორივეს ფული, მოგება და სიმდიდრე აინტერესებს მხოლოთ და ფულის საზომით ზომავენ ყოველისფერს; ზნეობა, უზნეობა, სინდისი, პატიოსნება არც ერთისათვის არ არსებობს: მათ რწამთ მხოლოთ სიღარიბე და სიმდიდრე, ორივეს ახალი დროის კაცათ მოაქვთ თავი, მაგრამ ამ დროისაგან მათ შეუძენიათ მხოლოთ მისი ცუდი, გასაკიცხი თვისებანი და ფული. ამავე დროს ამ ორ პირთა შორის დიდი განსხვავებაა. ამ 7-8 წლის წინეთ იმ წრიდან გამოსულთა შორის, რომელსაც ავტორი აგვიწერს, გიორგი პინტილიანებს იშვიათათ წააწყდებოდით,—ყველა ნიკო კალაძეს წააგავდა; დღეს კი ნიკო კალაძეები გაიზარდენ, გამოიცვალნენ და პინტილიანებათ იქცენ. ნიკო კალაძე ჯერ დაუჯღუღებელი კაცია თავისი რწმენა-შეხედულებით,—მართალია ის სოფელს მოშორდა, მაგრამ სრულებით არ მოწყვეტია მას, სოფელი მას კიდევ ძლიერათ იზიდავს, ქალაქში მას მხოლოთ ფულის შეძენის სურვილი აჩერებს, ქალაქის უპირატესობას სოფელთან ის მხოლოთ ფულში ხედავს. თავისი რწმენითა და შეხედულებით ის ჯერ კიდევ ბევრში ჰგავს სოფლელებს, მას მოსწონს ბევრი რამ ისეთი, რაც საზოგადოთ სოფლის კაცს იზიდავს, ერთის სიტყვით მისი გემოვნება, მისი შეხედულებანი ჯერ არ დაშორებია სრულებით სოფლის გემოვნებასა და შეხედულებას. სულ სხვაა გიორგი პინტილიანი. ის სრულებით მოწყვეტია სოფელს, რომელთანაც მას სრულებით აღარაფერი აღარ აერთებს. სოფელი ძულს მას, რადგანაც ის მის გემოვნებას სრულებით არ შეეფერება. ქალაქი კი იზიდავს მარტო იმიტომ კი არა, რომ იქ ფულია, არამედ იმითიც, რომ ქალაქში ადამიანი სრული ცხოვრებით ცხოვრობს, რასაც კი სული და გული ინატრებს, ყოველისფერი იშოვება. გიორგის სოფლელებთან საერთო აღარაფერი აღარა აქვს, ის ყველას მაღლიდან დაცქერის დამცინავის ღიმილით და გულში ფიქრობს, ჩემთან შედარებით რა შესაბრალისი ხართ ყველაო. ის დაცინის მათ დროს ტარებას, მათ სიმღერას, მათ მუსიკას, მათს ჩაცმულობას, ეზო-სახლკარს და სხვ. არასფერი სოფლური მას აღარ აკმაყოფილებს.—ესაა თქვენი დროს ტარება!.. ამით კმაყოფილი ხართ თქვენ, არა? აი როგორ პასუხს იძლევა ის ელენეს ყოველ მეცადინეობაზე, რომ მას მოაწონოს რამე და როგორმე გაართოს. არა თუ გემოვნებით, გონებითაც გაცილებით მაღლა აყენებს გიორგი თავის თავს სოფლელებთან შედარებით; ის ისე ელაპარაკება ყველას, როგორც ბევრის მცოდნე მათთან შედარებით. ეს ტიპი ავტორს საუცხოვოთა აქვს დახატული და თუ ის ბევრში განირჩევა კალაძისაგან, ეს მხოლოთ იმის ნიშანია, რომ ჩვენი ცხოვრება შეუჩერებლათ მიდის წინ კაპიტალისტური წარმოების გზაზე და თანდათან მეტ ცვლილებას იწვევს ჩვენს საზოგადოებრივს წყობილებაში.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ბ. ჯორჯაძე და მისი „ცნობის ფურცელი“ უპასუხოთ ვერ დატოვებდენ მოსაუბრის უკანასკნელ წერილს, თუმცა ამ ბოლო ხანებში ზოგიერთ შემთხვევებში ჩაჩუმებაც შემოიღო ხმარებაში წლის განმავლობაში ორჯელ განახლებულმა გაზეთმა. ჩვენი წინათგრძნობა ასრულდა კიდეც, მაგრამ ისე კი, რომ არ გვგონია ბევრი „ცნობის ფურცლის“ თანამგრძნობელი დარჩენილიყოს კმაყოფილი ამ პასუხით. ბ-ნი ჯორჯაძე თავის მყვირალა სათაურიან პასუხში წამოყენებულ კითხვას გაურბის, სიტყვას ბანზე აგდებს, და თან ისე საცოდავათ იკლაკნება, როგორც კუდზე ფეხდადგმული რამე სულდგმული, არც საკვირველია. გარდა «ფურცლის» ლობე-ყორეს მოდებული რედაქციისა, ყველამ შეამჩნია, რომ ამ უკანონო შეუღლებულთა გაზეთმა უკანასკნელ ხანებში სულ სხვა კრიმანჭულები დაიწყო. თუ წინეთ ქვეყნის მარილი ინტელიგენცია იყო, ახლა ხალხს ეპოტინება; თუ წინეთ მისი იდეალი ბურჟუაზიის გაძლიერება იყო, ახლა უმრავლესობის ინტერესები შეიქნა; თუ წინეთ ძველი თუ ახალი გაბატონებული თაობის მეთაურობა იყო აუცილებელი საჭირო, ახლა ის ფურთხის ღირსი გამხდარა და ბევრი სხვა. აი, ასეთი ცვლილება მოხდა ბ. ჯორჯაძის აზროვნებაში, და ეს სულ ორი კვირის სიჩუმის შემდეგ. ყვე-

ლო ამჩნევდა ამას და ამბობდა კიდეც, მაგრამ ყველაზე ულმობელი და შეუბრალებელი ჩვენი მოსაუბრე გამოდგა: მან დაუხატა ბ. ჯორჯაძეს მისი წინანდელი სურათი და მოთხოვა ყოფილისა და აწმყოს შეთანხმება, წინანდელი ნაწერების გადასინჯვა და მისი ნამდვილი ფიზიონომიის გარკვევა, და ადვილი წარმოსადგენია რამდენათ ეჭაშნიკებოდა ეს ბ. ჯორჯაძეს. მწერლის აზრების გამოცვლის წინააღმდეგი მაინცა და მაინც რა უნდა გვქონდეს, ნამეტურ ისეთი მწერლის, როგორიც ბ. ჯორჯაძეა, მაგრამ ყოველი მიმართულების და შეხედულების გამოცვლა უნდა დასაბუთებული და განმარტებული იყოს, როცა ეს საჯაროთ ხდება. აი ეს აკლდა ბ. ჯორჯაძეს. ის ვერ მოიქცა ასე, რადგან ამისთვის მეტი ბაგაჟია საჭირო, ვიდრე ბ. ჯორჯაძეს მოეპოვება, და თან მეტი მოქალაქობრივი გამბედაობა და სიმტკიცე, ვიდრე ჯორჯაძეს და ძმათა მისთა სიზმარშიაც მოელანდებიათ. ამიტომ ბ. ჯორჯაძე სხვა გზას დაადგა, თავის შესაფერს და საკადრისს. და ნაცვლად პასუხისა «კვალს» ლაზღანდარობა დაწამა, თავისი თავი კი წარმოუდგინა საზოგადოებას უმანკო მსხვერპლათ, რომელსაც ჩვენი გაზეთი უმართლოთ დევნის და „ისეთ რასმე წამებს, რაც მის რწმენებს და გრძნობებს ეწინააღმდეგება". ჩვენი აზრით ეს გზა ლაჩრული გზაა და თავის პატივისმცემელ მწერალს არ შეეფერება. ყოველი რიგიან მწერალი, რომელიც მკითხველ საზოგადოებასაც ცემს პატივს, ჩვენი კრიტიკით ისარგებლებდა, და გასაგებათ და მარტივათ განმარტებდა თავის მდგომარეობას; ხელახლა გადასინჯავდა თავის შეხედულებებს და მით გამოურკვეველ მდგომარეობას ააცილებდა თავის თავსაც და მკითხველსაც. გვეგონა ასე მოიქცეოდა ბ. ჯორჯაძეც, მაგრამ სამწუხაროთ შევცდით, და მისმა პასუხმა გამოაშკარავა, რომ მას ამისი შეძლებაც არა ქონია. გამოაშკარავდა ისიც, რომ ეს მწერალი „ზოგ რასმე ვერ ამბობს", «საშუალებითა დასახელებაში უმთავრესს აზრს ფარავს» და სხვ. ე. ი. ის ვერ ყოფილა გულახდილი მწერალი, თუმცა თითონ ყოველივე ამ ნაკლულევანებათ თვისი ახალგაზდობით ხსნის. უკანასკნელზე უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენი მწერლობა არც ისე აბუჩათ ასაგდებია, რომ ის მოსწავლე ბალღების სავარჯიშო ასპარეზათ გავხადოთ და საჭირო იყო ამაზე ადრე ეფიქრა ბ. ჯორჯაძეს. რაც შეეხება მის მკითხველ საზოგადოებასთან მალულობიას თამაშს, ეს კი მეტისმეტი თავის აგდებაა; თანამედროვე მკითხველი იმდენათ მომხადებული და განვითარებულია, რომ იგი გარდა საბუთიანი მსჯელობისა მწერლისგან გულახდილობასაც თხოულობს; თხოულობს, რომ მწერალი გულის სიღრმიდან, თავისი სისხლით წერდეს და არა მარტო წყალნარევი მელნით. აი სწორეთ ეს აკლია ბ. ჯორჯაძეს, და მისმა პასუხმა დაგვარწმუნა, რომ ის ყოველგვარ მიმართულებას მოკლებულია და მხოლოთ ზურგის ქარს უმარჯვებს თავის აზრებს. მისთვის პოპულიარობაა საჭირო და არა რომელიმე აზრთა და მიმართულებათა გამარჯვება და ცხოვრებაში გატარება. თუ ეს ასე არ იყოს, ის არ შეუშინდებოდა თავის ნაწერების გადასინჯვას, რომელთა რაოდენობა არც ისე დიდია, რომ დიდი შრომა მოთხოვოს, და არ მიმართავდა ისეთ ლაჩრულ ხერხს. ვარწმუნებთ ბ. ჯორჯაძეს, რომ ის არც ისეთი დიდი ვინმეა, რომ ჩვენ რამე იარაღათ გამოგვადგეს; არც მასავით გამოურკვეველია ჩვენი სახე, რომ ამისთვის ვისიმე პიროვნების დამცირება ვიკადროთ და ან საჭირო იყოს ეს. ჩვენ წმიდა მოვალეობათ მიგვაჩნია სხვათა შორის, ცხოვრებაში თუ მწერლობაში მონაწილეთა ფიზიონომიის [illegible] ჩვენ მკითხველებს. ეს მოვალეობა არც იმდენათ სასიამოვნოა, ნამეტურ როცა ჯორჯაძისთანა პირებთან გვხვდება საქმის დაჭერა, და თუ იგი ერთ-ორ წერილს კიდევ დაწერს ისეთს, როგორც მისი «როდემდის?» არის, ჩვენ სამუდამოთ გაგვათავისუფლებს მაზე მსჯელობიდან, რისთვისაც დიდი მადლობელი დავურჩებით.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. ჯორჯაძე არც მალულობაით კმაყოფილდება მწერლობაში და ოპონენტების გასაჩუმებლათ თურმე ქრთამსაც იძლევა. ბ. ჯორჯაძეს გონებია, რომ რაკი ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებს მისმა პარტიამ თეთრი კენჭი მისცა წერა-კითხვის არჩევნებზე, «კვალი» მაზე არაფერს იტყოდა, რაც რამ უნდა ეჩმახა „ცნობის ფურცლის" გვერდებზე. საბრალო, რა გულუბრყვილო ყოფილა. აი, ეს წამოგვაყრა თავის საპასუხოში ბ. ჯორჯაძემ, თუმცა მისი გაზეთის რედაქცია 29 დეკემბრის „საწკიპურტო" ფელეტონში აცხადებს, რომ იმ კრებებზე რედაქციის წევრები კი არ ყოფილან, წ. კ. საზოგადოების წევრები იყვნენ. საკვირველია, სანამდე დაეცემა კაცის გონება და კიდევ უფრო საკვირველია საზოგადოების ერთი ნაწილის იმ ზომამდე დაქვეითება, რომ ასეთი კაცი პარტიის მეთაურათ და ახალი სიტყვის მქადაგებლათ მოეჩვენება.

---

## წერილი ბათომიდან.

როგორც გვკავთ, აქაური ქართული შკოლის ბედ-იღბალი აბარია სამზრუნველო კომიტეტს, რომელიც შედგება ერთი თავმჯდომარისაგან ბ-ნი გრ. ვოლსკი და ოთხი წევრებისაგან, ივ. ს. მესხი, ნ. ა. სახოკია, დ. ს. კლდიაშვილი და ბ-ნი ქრისტიანე ბერძენიშვილი. აქაურ სხვა-ქვესი წლეწადი, რომ ადგილობრივმა საზოგადოებამ, რომელსაც ამ შკოლის შენახვა აწევს კისერზე, არ უწყის თუ, როგორ მიდის შკოლის საქმე, რადგან თავიანთ სხდომებზე კომიტეტი ნებას არ აძლევს გარეშე პირს დასწრების და ამნაირათ მისი მოქმედება დღემდე ბურუსით იდუმალებით, ასე გასინჯეთ მარშან, თვითმეტ ინგრის ანგარიში ჯერაც არ გამოუცხადებია კომიტეტს და არავინ უწყის თუ რამდენი იყო შემოსავალი, რა დაიხარჯა და რა დარჩა წმინდა შემოსავალი და მსგავსი ამგვარი დაუდევრობა გამოიჩინა კომიტეტმა. ამ ბოლო ხანებში, როდესაც მესამე მასწავლებელზე აღიძრა კითხვა, შკოლის მასწავლებლებმა კანდიდატები გამოაჩინეს და კომიტეტის სხდომას დაესწრნენ; მასწავლებელთა ამნაირი საქციელი არ მოეწონა კომიტეტის ბერებს და მეტადრე სხდომას ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნა და არა შკოლის შენობაში. და ასეთი თავისი კარჩაკეტილობით აქაურმა კომიტეტმა საქმე გააფუჭა.

26 დეკემბერს ბ. კლდიაშვილმა და ქ. ბერძენიშვილმა თავი ისახელეს და სასიცოცხლო საქმე მოიმოქმედეს: ნება დართეს გარეშე პირთაც დასწრებოდნენ ამ დღის სხდომაზე და თავიანთი აზრი წარმოუდგინეს აღძრულ კითხვების შესახებ. ეს ფრიად სასიხარულო მოვლენა უბრალო შემთხვევას უნდა დავუმადლოთ, ე. ი. იმას, რომ ბ. გრ. ვოლსკი დღეს პეტერბურგშია და არა ბათომში, თორემ კომიტეტის ამნაირი საქციელი აქაურ საზოგადოებას სიზმარშიაც არ მოელანდებოდა. სხდომას დაესწრნენ ოცამდი გარეშე პირები და კომიტეტის

წევრები გარდა ზ. კოლხგისა და ივ. მესხისა. მიზეზი იმისა, თუ რათ მოიმოქმედა ასეთი საარაკო საქმე კომიტეტმა, რომ თავის სხდომაზე გარეშე პირი დაისწრო, ზ. კლდიაშვილმა თვით აღიარა: «23 ნოემბერს ჩვენ მივიღეთ მოწერილობა წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობისაგან, რომლითაც გვავალებს დაუყონებლივ ვაცნობოთ, „შეუძლია თუ არა ადგილობრივ ქართველ საზოგადოებას მესამე მასწავლებლის შენახვა და რათ მოხდა, რომ შკოლაში 200 შეგირდია და არა 120“. ჩვენ ამის შესახებ არა მიგვიწერიარა; გუშინ დეპეშა მივიღეთ ბ. ცხვედაძისაგან შემდეგი შინაარსით: „დაუყონებლივ გვაცნობეთ მესამე მასწავლებლის შესახებო“. შკოლის საქმე გართულდა და ჩვენ, კომიტეტის წევრებს, გვიძნელდება შკოლის მოვლა-პატრონობაო“. ბ. ექვ. ბერძენიშვილმა, ამ ერთათ ერთმა მოძრავმა და მხნე კომიტეტის წევრმა წარმოუდგინა საზოგადოებას ხმეტა და დასძინა, თუ კომიტეტის წევრები მხნეთ მოეკიდებიან თავიანთ ვალდებულებას, მაშინ შეიძლება ამ ხმეტაში ნაჩვენებ თანხაზე მეტიც შემოვიდესო. ხმეტაში იყო აღნიშნული შემდეგი წყაროები: 1) ქალაქის თვითმართველობისაგან სუბსიდია—500 მ., 2) 14 იანვარს გამართულ საღამოდან—800 მ., 3) საწევრო ფულიდან—700 მ., 4) სწავლის ფული—700 მ., 5) ქართული წარმოდგენიდან—300 მ., და 6) სახალხო სეირნობიდგან—300 მან. სულ შემოსავალი 3300 მ. გასავალი კი უდრის 3200 მ. (ამ თასში 500 მანათიც არის შეტანილი მესამე მასწავლებლის ჯამაგირათ). შემდეგ კამათი გამოიწვია იმან, თუ რამდენი დაუნიშნოთ მესამე მასწავლებელს ჯამაგირიო. თვით ამავე შკოლის მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ 500 მ. მალიან ცოტაა, მით უმეტეს, რომ მესამე მასწავლებელს ბინა არ ექნება შკოლაში და მაშასადამე მას არ ექნება არც ოთახი, არც შეშა და ნავთი და ყველა ესენი მან უნდა იყიდოს თავის ხარჯით, ჩვენ კი ყველა ესენი გვაქ და ჯამაგირიც 600 მ. და მესამე მასწავლებელმა რა დააშავაო. ბ-ნმა ნ. საბაევმა განაცხადა, თუ დაგვირჩება, მეტსაც მივცემთ, სოლო ოფიციალურათ 500 მ. წარვადგინოთო. ეს აზრი ერთხმათ მიიღეს. დაასრულეს თუ არა შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განხილვა, ადგა ბ-ნი ის. რამიშვილი და მიმართა საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ ეხლა განვიხილეთ შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, ყველა ის შემოსავლის წყაროები, გარდა იმ ხუთასი მანეთისა, რომელსაც ქალაქი გვაძლევს, სათუოა და რომ ყველა ხმეტაში მოხსენებული ფულები შემოვიდეს საჭიროა საქმიანობა, რაც აკლია დღევანდელ კომიტეტის წევრებს, გარდა ერთი ორისა (იგულისხმე ექ. ბერძნიშვილი) და მიტომ არის, რომ დღეს ბათომის ქართული შკოლა ეკონომიურათ დაცემულია და დავალიანებულია.—შეიძლება კომიტეტის წევრები საუკეთესონი იყვნენ, მარა ის ყველასათვის ცხადია, რომ მათ იმდენი კერძო საქმეები აბარიათ, რომ დრო არ რჩებათ შკოლისთვის იზრუნონ, ამიტომ, ჩემი აზრით საჭიროა კომიტეტის წევრთა რიცხვის გამრავლება და ახლანდელ წევრებს კიდევ სამი დამხმარე წევრი მიუმატოთ, რომ საქმე უფრო მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ და კომიტეტსაც შევუმსუბუქოთ ტვირთი“-ო. კომიტეტის წევრებმა ვერ უარ ყვეს ის ფაქტი, რომ ისინი აფერხებენ შკოლის საქმეს, თუმცადა აღნიშნეს კი, ჩვენ ყველანი კარგნი ვართ, მარა შკოლის მოვლა-პატრონობა ძნელი საქმეაო. დამსწრე პირებმა ითხოვეს ადგილობრივი ქართველი საზოგადოების მოწვევა ამ ფრიად საყურადღებო კითხვების გადასაწყვეტათ. კომიტეტის წევრმა ნ. ა. საბაევმა თქვა: „ჩვენ, კომიტეტის წევრებს, ნება არა გვაქვს გამგეობის ნება დაურთველათ კრება დავნიშნოთ, ჩვენ შევუმდგომლოთ გამგეობის წინაშე, რომ მან ნება მოგვცეს კრების და კომიტეტის წევრების არჩევისაც, მასთან მე საჭიროთ მიმაჩნია კომიტეტის წევრთა რიცხვი ათამდე ავაყვანოთ“. ეს აზრი ყველას მოეწონა და ასე დასრულდა სხდომა, რომელმაც დაადგინა შემდეგი: „მოხსენდეს წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას, რომ ბათომის ქართული შკოლის სამზრუნველო კომიტეტმა 26 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: ა) მოწვეულ იქნეს მესამე მასწავლებელი პირველ იანვრიდან 500 მ. წლიური ჯამაგირით, *) ბ) გამოეცხადოს მადლობა ბ-ნ ი. გოგებაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოწირა შკოლას 200 მანეთი; გ) ეთხოვოს გამგეობას, რომ მან ნება დართოს ადგილობრივ წევრებს თვით ამოირჩიონ ათი წევრი სამზრუნველო კომიტეტისა სამი წლის ვადით და ეს არჩეულნი პირნი წარუდგინოს გამგეობას დასამტკიცებლათ.“-ო.

ნ. ჩ.

---

## † თამარა ქუჩუკაშვილის ხსოვნას.

ბევრს ენახვება ჩვენ ქართულ საქმეების გულ-შემატკივარ პატარა წრეში ახალგაზდა, ლამაზი, ჟუჟუნა თვალებიანი, მორცხვი თამარა ქუჩუკაშვილი, რომელიც მუდამ მზათ იყო ყველა კეთილ საქმეს დახმარებოდა. სახალხო თეატრში თავგამოდებით იღებდა მონაწილეობას; დაუზარებლათ ასწავლიდა ქალ'ების საკვირაო სკოლაში. ობლათ გამოზრდილს მას არ ქონდა შეთვისებული ქალის ეშმაკობა და გაიძვერაობა, მის პატარა გულში უზომო იყო ყველასადმი სიყვარული და ის ვერც ადვილათ აიტანდა თავის სათაყვანებელ კერპის დამსხვრევას.

1897 წელს თამარამ გაათავა ქალების საეპარქიო სასწავლებელი და ავლაბარში პეტრე-პავლეს ეკკლესიაში მასწავლებლათ იყო. მასწავლებლის დაფასება ყველაზე უფრო მოსწავლეებს შეუძლიათ და სწორეთ ამათ დააფასეს განსვენებული თამარა. როდესაც მან დატოვა სამრევლო სკოლა და გადავიდა საქალაქო სკოლაში ქართული ენის მასწავლებლათ, ყმაწვილების მწუხარებას საზღვარი არა ქონდა. მაგრამ რამ აიძულა ამისთანა მუშაკი ქალი, რომ ის ასე უდროოვოთ გამოესალმა სიცოცხლეს? ეს ჩვენი დროის სენია! არც ჩვენი სასწავლებლები და არც ჩვენი ოჯახი არ ზრუნავენ ხასიათის განმტკიცებისათვის, რომ უკუღმართ ბედთან ბრძოლამ ახალგაზდა არ შეაშინოს და ის გაბედვით დაუხვდეს ყველა შემთხვევებს. სანამ ძირითადი ცვლილება არ მოხდება ჩვენ აღზრდაში, ამისთანა შემაძრწუნებელი მსხვერპლი არ მოაკლდება ჩვენ საზოგადოებას.

ანასტასია წერეთლისა.

---

## მცირე შენიშვნა.

(განჯელი ქართველების საყურადღებოთ).

ამას წინათ „ცნობის ფურცელში“ ამოვიკითხეთ: განჯის ქართველობას კრება ქონიათ და გადაუწყვეტიათ წევრებათ ჩაეწერონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიო. მართლაც რომ სასიამოვნო ამბავია; სოლო ამავე კრებაზე არა

---

*) მეტათ სასიამოვნოა, რომ ბათომელებმა თვით მოაგვარეს თავის შკოლის საქმე და არ დარჩენ, თუნდ განახლებული, გამგეობის შემყურე, რომელიც, როგორც ვავიგეთ, არც ისე იტკივებდა თავს ბათომის შკოლის ანორმალური მდგომარეობიდან გამოსაყვანათ.

რედ.

საპატიო დადგენილებაც მოუსმენიათ. ქართულ სადამოებს, რომელიც აგერ რვა წელიწადია იმართებოდა, ნულარ გავმართავთო. ეს მეტად სამწუხარო ამბავია. იმის გარდა რომ ეს სადამოები ორმოც თუმანზე არა ნაკლებს აძლევდა წელიწადში წერა-კითხვის საზოგადოებას, ან სხვა რაიმე საქველმოქმედო საქმეს—იმ სადამოებს სხვა მიზანი და სარგებლობაც ქონდა... ამიტომ სამწუხაროა, მაგრამ ალბათ რამე საბუთი ქონდა პატივცემულ საზოგადოებას, რომ ასე მოიქცა. სამაგიეროთ სომ დაადგინეს, სხვა ნაირი დახმარება აღმოუჩინონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას? ესე იგი წევრებათ ჩაეწერონო. თუმცა წევრებათ ჩაწერა მატერიალურათ იმდენს ვერ შემენს საზოგადოებას, რამდენსაც სადამოები—მაგრამ არა-რაობას, მოგეხსენებათ ცოტაც ჯობიაო. ხოლო რათა ეს დადგენილება განხორციელდეს და იგიც ისეთ დადგენილებათ არ დარჩეს, როგორათაც ამ ათი წლის წინეთ, იქვე განჯაში ერთი კრების დადგენილება დარჩა—მე მსურს ერთ გარემოებას მივაქციო პატივცემულ განჯელ საზოგადოების ყურადღება. ამ ოთხი წლის წინეთ განჯაში შედგა წრე, რომელმაც განიზრახა პატარა, სახალხო სასარგებლო წიგნაკების თარგმნა და იაფათ გამოცემა. ამის შესახებ ფულის მოგროვება მოგვანდეს სადგურზე ამ სტრიქონების დამწერს და ქ. განჯაში ბ. ნიკო ბაქრაძეს. პირველათვე მოგროვდა სადგურზე 40 მანეთი, ხოლო ქ. განჯაში 60 მ. რადგანაც წრემ ვერც ერთი წიგნი ვერ გამოცა, ფულის მოგროვებაც შეჩერდა. მას აქეთ ბევრი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი იყო კრებით თუ გაზეთებში, მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველა რა. ეს მოგროვილი ფული კი ამდენი ხანია უსაქმოთ არის, რის უფლებაც, თქვენც დამერწმუნებით, არა გვაქვს. ამიტომ, რადგანაც წიგნების გამოცემის იმედი აღარ არის, შესაძლებელია ამ მოგროვილი ფულით ეხლავე განხორციელდეს თქვენი კეთილი დადგენილება. ამით მიზანიც, რამდენიმეთ მიხწეული იქნება, რადგან ფული იმავე დანიშნულებას (სწავლა-განათლებას) მოხმარდება. მე აქვე მომყავს სახელი და გვარი და ვის რამდენი აქვს შემოტანილი. ვისაც 6 მან. სრულათ აქვს—ის ერთი წლით თავისუფალია საწევრო ფულისაგან. ვისაც ნაკლები აქვს შემოტანილი და სურვილს განაცხადებს წევრობისას—ის დაუმატებს და საქმე უფრო ადვილათ შესრულდება. აი სიაც: სოლომონ ყაზბეგი, 6 მან., იოსებ კონჩუხიძე 6 მან., ს. დოლიძე 6 მ., მერაბ წულუწიძე 2 მ., ნესტორ ცხვირაშვილი 2 მ.; მიხეილ მიქაბერიძე 2 მ., ივანე ბარუხია 1 მ. 50 კ., მიტროფანე უშვერიძე 2 მ. 50 კ., ერმოლოზ გენძეხაძე 1 მ., იოსებ კეზელი 1 მ. 50 კ., სარდიონ ჭუმბურიძე 1 მ, 50 კაპ., იაგორ გოგიბერიძე 1 მ., გიორგი ზალდასტანიშვილი 3 მან., 50 კ., პეტრე მემარიაშვილი 1 მ. 50 კ., მიხეილ ჩიქოვანი 1 მ., ლევანტი სიხარულიძე 1 მ. 25 კ., ივანე გოგოხია 1 მ., ალექსანდრე ხოფერია 1 მ., გიორგი სისარულიძე 1 მ., ბესარიონ თოფურიძე 1 მ. სულ 40 მ. 75 კაპ. ამ ფულიდან 25 მანეთი გადავეცი ბ-ნ ნიკო ბაქრაძეს, დანარჩენი კი ჩემთან არის, რომელსაც, დავკითხები რა ფულის შემომტანთ, ვალდებულათ ვთვლი ჩემს თავს ან რაიმე საქველ მოქმედო საქმეს გადავსცე, ან პატრონთვე დავუბრუნო, თუ ზემოხსენებული აზრი არ განხორციელდება.

პატივის ცემით სოლომონ დოლიძე.

*) ამ ათი წლის წინეთ განჯაში ერთ კრებაზე გადავწყვიტეთ ჩავწერილიყავით წერა-კითხვის საზოგადოებაში წევრათ. ფულის მოგროვებაც დავიწყეთ რამდენიმე თვე ბეჯითათ შევქონდა ათ-ათი შაური თვეში, მაგრამ.. როგორლაც დავიწყებას მიეცა საქმე და აი ათი წლის შემდეგ ძლივს ისევ წამოყო თავი. იმედია ახლა მაინც განხორციელდება. ს. დ.

## წერილები რედაქციის მიმართ.

როდესაც საჯარო-საერთოთ დაიწყებენ [illegible] რამე ნაკლულევანებაზე, მაშინ უთუოთ ეს ნაკლ[illegible] საზოგადოებამ სინამდვილით უნდა მიიღოს და შეეცადოს მის მოსპობას, რათა საზოგადოებამ დაამტკიცოს, რომ მას კიდევ უცემს სიცოცხლის ძარღვი.

ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი ხანია შეიგნო სახალხო წიგნების უქონლობა ქართულ ლიტერატურაში და ამასთანავე ისიც კარგა იცის იმავე ინტელიგენციამ, რომ ხალხს დიდათ ესაჭიროება ზემო მოყვანილი დარგის წიგნები.

მარტო საჯა-ბაასი-გოდება რომელიმე ნაკლულევანებაზე არაფერს არ უშველის, ამისათვის საჭიროა, როგორც საქმით, ისევე ნივთიერი დახმარებით, შევებრძოლოთ ამ ნაკლს და მივცეთ შეება ხალხის გონებით წინ-სვლა-განვითარებას, რასაც უსაჭიროეს საგნათ უნდა ვთვლიდეთ ჩვენი კეთილ-დღეობისათვის.

ჩვენ ხალხში მაგრათ აქვს გადგმული ფესვი ფუქსავატ-უსარგებლო ხარჯების ჩვეულებას; მაგალითათ: დამარხვისა, ნათლობისა, ქორწინებისა, დღეობებისა და მილოცვ-მოლოცვის დროს. რადგანაც ჩვენს გვსურს ჯერ-ჯერობით ეს უგვანსვნელი უსარგებლო ხარჯი ე. ი. მილოცვ-მოლოცვა თავიდან მოვიშოროთ, რაზედაც იმედი გვაქვს ჩვენი ნაცნობ-ნათესაობა არ დაგვემდურება, ამისათვის გგზავნით 27 მანათს სახალხო წიგნაკის გამოსაცემათ, იმ იმედით, რომ მომბაძველნი გამოგვიჩნდებიან და საერთო ძალით გამოიცემა კარგი-სასარგებლო, ხალხის გონების გასავითარებელი წიგნი, რომლის ამორჩევა და დაბეჭდვა, ვთხოვთ „კვალის“ რედაქციას, იკისროს თვითონ. ნახევარი ამ დაბეჭდილი წიგნებისა დაურიგდეს უფასოთ მივარდნილ-მიყრუებულ ადგილებში და სამკითხველოებ-სოფლის შკოლებს; ნახევარი კი გადაეცეს წ. კ. საზოგადოებას, რომლის შემოსავლიდანაც უნდა შედგეს განსაკუთრებული თანხა „სახალხო წიგნების გამოსაცემი“. თუ ვინიცობაა რამე მიზეზისა გამო რედაქციამ თვითონ არ იკისრა წიგნის გამოცემა, იმ შემთხვევაში გარდაეცეს ფული წ. კ. საზოგადოებას ზემო მოყვანილ მიზნისთვის.

ივანე თვალაძე, გიორგი გრიგოლია, მიხეილ კავსაძე, ლეონტი კუხიანიძე, კალისტრატე ჩიქოვანი, აკაკი ანჯაფარიძე, ვასილ ალასანიძე, იოსებ ჭითავა, რუისელი ია... ფა—ლი.

სადგური ევლახი.

**გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალ «ჯეჯილის» № 4.**

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადებანი.

**«ჯეჯილის» რედაქციაში** იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი—1 მ. 50 კ. (გასაგზ. 50 კ.)
ალბომი «ბუნება სურათებში» ყდით—1 მ. 20 კ. (გას. 40 კ.)

| | |
|---|---|
| ხუთი ამბავი | 15 კ. |
| პატარა ლორდი | 30 „ |
| ჩვენი ძველი გმირები | 30 „ |
| თეთრი და ზანგი | 15 „ |
| სოლომონ მეფე | 10 „ |
| ოცი წლის წინეთ | 5 „ |
| ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა | 10 „ |
| „მოთხრობანი“ ქალების თარგმანი | 40 „ |
| გუსტავ ვაზა | 5 „ |
| ნელო და პატრაში | 10 „ |

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

**ნახატებიანი გაზეთი**

# „კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეათე)

გამოვა **1902** წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ:

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა. სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე — პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ხონში — სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში — არსენ წითლიძე'სთან. ოზურგეთში — დომენტი შავიშვილთან. საბუნჩაში — დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

# „მოამბე“-„ცნობის ფურცელზე“

**სურათებიანი დამატებით.**

ყოველთვიური ჟურნალი „**მ ო ა მ ბ ე**“

(წელიწადი მეცხრე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ-გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით . . . | 10 მ. | 1 წლით . . . | 13 მ. |
| 6 თვით . . . . | 6 „ | 6 თვით . . . | 7 „ |
| 3 „ . . . . | 3 „ | 3 „ . . . | 5 „ |

ყოველ დღიური გაზეთი „**ცნობის ფურცელი**“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ-გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით . . . | 6 მ. | 1 წლით . . | 11 მ. — კ. |
| 6 თვით . . . | 4 „ | 6 თვით . . | 6 „ 50 „ |
| 3 „ . . . . | „ 75 კ. | 1 „ . . | 1 „ 10 „ |

ვინც «**მოამბეს**» მთელი წლით გამოიწერს, «**ცნობის ფურცელი**» უფასოთ გაეგზავნება, მხოლოთ ქალაქ გარეთ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის მოწერისთანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**სურათებიანი დამატება** გაეგზავნება მხოლოთ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად — 6 მ., 1-ლ მარტამდე — 3 მ., 1 აგვისტომდე — 2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი — 10 კ., მე-4-ზე — 5 კაპ. თუ განცხადება 3 ჯერზე მეტათ დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე.

ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ Пурцели“.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ.**

(XIй г. изданія)

на ежемѣсячный литературный и научный журналъ

# РУССКОЕ БОГАТСТВО.

издаваемый

**Вл. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.**

*Подписная цѣна:*

| | |
|---|---|
| На годъ съ доставкой и пересылкой | **9** руб. |
| Безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ | **8** „ |
| За границу . . . . | **12** „ |

*Подписка принимается:*

Въ С.-Петербургѣ — въ конторѣ журнала — уг. Спасской и Басковой ул., д. 1—9. Въ Москвѣ — въ отдѣленіи конторы — Никитскія ворота, д. Гагарина.

При непосредственномъ обращеніи въ контору или въ отдѣленіе, допускается разсрочка:

| | | |
|---|---|---|
| при подпискѣ . . 5 р. | или | при подпискѣ . . 3 р. |
| и къ 1-му іюля . 4 р. | | къ 1 му апрѣля . 3 р. |
| | | и къ 1-му іюля . 3 р. |

Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылка журнала прекращается.

Книжные магазины, библіотеки, земскіе склады и потребительныя общества, доставляющіе подписку, могутъ удерживать за коммиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра.

Подписка въ разсрочку отъ книжныхъ магазиновъ, библіотекъ, земскихъ складовъ и потребительныхъ обществъ не принимается.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 г.**

На ежедневную газету политики, литературы и общесгвенной жизни

# „КУРЬЕРЪ“

ВЪ ГАЗЕТѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:

А. П. Алексѣевскій, Леонидъ Андреевъ, В. И. Анофріевъ, В. Л. Бинштокъ, П. Д. Боборыкинъ, Г. Н. Браунъ, Б. Н. Быстренинъ, В. А. Вагнеръ, А. А. Вербицкая, В. А. Гиляровскій, Сергѣй, Глаголь, М. Горькій, Е. П. Гославскій, М. Ф. Громницкій, И. А. Данилинъ, Н. П. Дружининъ, В. Е. Ермиловъ, А. С. Изгоевъ, В. В. Каллашъ, М. С. Кауфманъ, проф. А. И. Кирпичниковъ, П. С. Кинмечтовъ, П. С. Коганъ, А. Р. Крандіевская, В. А. Крандіевскій, Н. Н. Крашенинниковъ, В. М. Лавровъ, К. В. Лаврскій, В. Н. Ладыженскій, проф. А. П. Левицкій, проф. М. А. Липинскій, Максъ-Ли (псевд.), Д. Н. Маминъ-Сибирякъ, И. И. Митропольскій, В. М. Михеевъ, Д. Л. Мордовцевъ, П. М. Невѣжинъ, Вас. И. Немировичъ-Данченко, И. Д. Невикъ, В. П. Острогорскій, А. В. Пошожевъ, В. А. Поссе, И. М. Потапенко, М. Н. Ремезовъ, проф. А. Р. Свиршевскій, Н. А. Селивановъ, кн. А. И. Сумбатовъ (Южинъ), Н. Д. Телешовъ, Н. И. Тимковскій, Д. И. Тихомировъ, Н. В. Туляповъ, Р. А. Калькъ, Я. А. Ф—инъ, Физико-Химикъ (псевд.), Н. Н. Фирсовъ, (Л. Рускинъ), М. И. Фридманъ, В. М. Фриче, А. С. Хахановъ, Р. М. Хинъ, проф. В. К. Цераскій, А. А. Черевкова, В. Д. Черевковъ, Ев. Чириковъ, А. П. Чеховъ, проф. Е. Ф. Шмурло, В. М. Шулятиковъ, А. И. Яцимирскій и др.

Газета имѣетъ постоянныхъ корреспондентовъ въ Берлинѣ, Бѣлградѣ, Вѣнѣ, Константинополѣ, Лондонѣ, Мюнхенѣ, Неаполѣ, Нью-Іоркѣ, Парижѣ, Римѣ, Софіи и другихъ городахъ.

**Подписная цѣна**

съ доставкой въ Москвѣ и пересылкой въ другіе города Россіи:

на годъ — **6** рублей, на 1/2 года — **3** р. **50** к., на 3 мѣсяца — **2** руб., на 1 мѣсяцъ — **75** коп.

Для воспитанниковъ высшихъ учебныхъ заведеній на 1 мѣс. 60 к.

**Заграницу вдвое.**

При годичной подпискѣ допускается разсрочка, при непремѣнномъ условіи непосредственнаго обращенія въ контору газеты: при подпискѣ 2 р., къ 1-му апрѣля — 2 р. и къ 1-му іюля — 2 р.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе 31 декабря и одинъ годъ съ другимъ не сливается.

При перемѣнѣ адреса уплачивается 20 коп.

Главная контора редакціи газеты помѣщается въ **Москвѣ**, Петровскія линіи, подъѣздъ № 2-й.

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

გამოვა 1902 წელსაც **გადიდებული** იმავე პროგრამით, როგორც წინეთ.

ფასი გაზეთისა: ერთი წლით—10 მან., ½ წლით—6 მან., 1 თვით—1 მ. 50 კ.; საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელი წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელი წლით დაეთმობათ 8 მ.

თუ თფილისში დაბარებული გაზეთი თფილისს გარეშე ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში 1 მან.; ხოლო თუ თფილისის გარეშე ხელისმომწერელი ერთი ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა გამოგზავნოს 40 კ.

შეღავათი წლიურ ხელისმომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელი წლით დაიბარებს, იმას შეუძლია წლის ხელმოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანოს ამგვარათ: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1-ლ მარტს—2 მ., 1-ლ მაისს—3 მ. და 1-ლ სექტემბერს—2 მ.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი—5 კაპ., პირველზე—10 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით: თფილისი, „ივერიის" რედაქციას, ნიკოლოზის ქ., 21. და „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზ." კანცელარიას, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლი.

საფოსტო ადრესი: *Тифлисъ. Редакція „Иверія"*.

დროებით რედაქტორი ალ. ი. სარაჯიშვილი.

გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.



**Открыта подписка на 1902 годъ**

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ

финансово-экономическую, торговую и промышл. техническую газету

## „Промышленный Міръ"

**(3-й годъ изданія).**

Газета „Промышленный Міръ" выходитъ еженедѣльно, въ объемѣ около 3 листовъ текста, и содержитъ слѣдующіе отдѣлы:

I. Правительственныя распоряженія.
II. Статьи, обзоры и корреспонденціи по финансово-экономическимъ и торгово-промышленнымъ вопросамъ.
III. Хроника.
IV. Кредитъ и банковое дѣло.
V. Акціонерное дѣло.
VI. Фабрично-заводскій отдѣлъ.
VII. Горное дѣло
VIII. Хлѣбная торговля и мукомольная промышленность.
IX. Страховое дѣло.
X. Пути сообщенія, тарифы, фрахты.
XI. Обзоръ печати и библіографія
XII. Вопросы и отвѣты (практическія свѣдѣнія, указанія и сообщенія промышленнымъ дѣятелямъ).
XIII. Политехника
XIV. Объявленія.

Редакція газеты „Промышленный Міръ" относится съ полнымъ безпристрастіемъ ко всякому обоснованному мнѣнію по вопросамъ нашего экономическаго быта.

Столбцы газеты открыты какъ для представителей экономической науки, такъ и для просвѣщенныхъ практическихъ дѣятелей, которые прямо заинтересованы въ томъ, чтобы нужды разныхъ отраслей торгово-промышленной дѣятельности своевременно останавливали на себѣ вниманіе общества и правительства.

**Подписная цѣна съ пересылкой и доставкой: на годъ 1[illegible] руб., полгода—5 руб. и четверть года—3 р.**

**Подписка принимается въ конторѣ редакціи:** *С.-Петербургъ, Коломенская ул. д. № 1* и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

Пробные №№ высылаются по первому требованію БЕЗПЛАТНО.

Редакторъ-Издатель *А. С. Залшупинъ.*



# ХОЗЯИНЪ

Еженедѣльный иллюстрированный безъ предварительной цензуры экономическій и сельскохозяйственный журналъ.

*Открыта подписка на 1902 годъ (IX годъ изданія).*

Кромѣ 52 №№ журнала, даны будутъ слѣдующія 6 „книжекъ хозяина":

1—2) **Пособіе при выборѣ и уходѣ за с.-х. машинами и орудіями.** *Д. Д. Арцыбашева.* **2 выпуска.** Со многими рисунками.

3) **Раціональное воздѣлываніе корм. растеній.** *Ф. Г. Штеблера.* Съ 141 рис.

4) **Почва, ея природа, свойства** и проч. *Ф. Г. Кинга.* 45 Съ рис.

5) **Уборка и сохраненіе кормовыхъ средствъ.** *Д-ра К. Бемера.*

6) **Ранняя выгонка овощей.** *И. Беттнера.* Съ 84 рис.

На годъ **6** руб., на полгода **3** руб. съ перес. Разсрочка по 1 руб. въ первые 6 мѣс.

С.-Петербургъ, Невскій, 92.

Ред. *А. П. Мертваго.* Изд. *И. А. Машковцевъ.*



**Открыта подписка на 1902 годъ. IX годъ изданія,**

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

## „Кавказское Сельское Хозяйство"

органъ Импер. Кавк. общества сельскаго хозяйства.

Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры, по слѣдующей программѣ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты" газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельскаго хозяйства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкой и пересылкой: на годъ—**4** руб., полгода—**2** руб., 3 мѣс.—**1** руб. и 1 мѣсяцъ—**40** коп

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинская ул., собст. домъ.

Отвѣтственный редакторъ **А. А. Калантаръ.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 декабря 1901 г. სტამბა. კ. ი. მარტიროსიანცისა, დიდი ვანქის ქ., № 1—2.